დაზვერვის და კონტრდაზვერვის ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტები

შალვა ლომიძე - ანალიტიკურ ცენტრ ჯეოქეისის მრჩეველი, თადარიგის გენერალ-მაიორი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ხატიაშვილი - ანალიტიკურ ცენტრ ჯეოქეისის უფროსი მკვლევარი

მაისი 2025

სარჩევი

შესავალი

დაზვერვა და კონტრდაზვერვა წარმოადგენს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ქვაკუთხედს. თანამედროვე მსოფლიოში ეს სფეროები გადამწყვეტ როლს თამაშობენ როგორც მშვიდობის უზრუნველყოფაში, ასევე ომის წარმოებაში. მრავალი საუკუნის განმავლობაში დაზვერვა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკოსების, სამხედროების, ქვეყნის მეთაურების და რიგითი ადამიანების ცხოვრებაში. სადაზვერვო ინფორმაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებით, ბევრი ერი დაეცა და აყვავდა. დღევანდელობაში ინფორმაცია, ცოდნა და სწორი დაგეგმვა დიდ ძალას ნიშნავს.

სადაზვერვო საქმიანობამ მრავალსაუკუნოვანი ისტორია განვლო, რომ დღევანდელი ფორმებით ჩამოყალიბებულიყო, უძველესი იმპერიების მიერ თავისი მტრების სტრატეგიულ შეცდომაში შეყვანიდან დაწყებული, თანამედროვე სახელმწიფოების ეფექტური **„ჯაშუშური ქსელებით“** დამთავრებული. ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და მისი გამოყენება განსაზღვრავდა ცივილიზაციების აღზევებასა და დაცემას, გავლენას ახდენდა ომებზე და აყალიბებდა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას. ამავდროულად, კონტრდაზვერვა – ჯაშუშური საფრთხეების აღმოჩენა და განეიტრალება – არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოების შეღწევადობისა და დივერსიისგან დასაცავად.

დაზვერვის წარმოშობა უძველესი დროიდან იწყება, როდესაც მმართველები და სამხედრო ლიდერები მტრების წინააღმდეგ უპირატესობის მოსაპოვებლად ინფორმატორებს, ჯაშუშებს და დაშიფრულ შეტყობინებებს იყენებდნენ. ძვ. წ. V საუკუნეში ჩინელმა სამხედრო სტრატეგმა - სუნ ძიმ, ***„ომის ხელოვნებაში“***[1] აღწერა დაზვერვის მნიშვნელობა და მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების მიზნით მისი გამოყენების აუცილებლობა. მსგავსად, რომის იმპერიამ შექმნა ინფორმატორებისა და საიდუმლო პოლიციის ფართო ქსელი, რათა უზარმაზარი ტერიტორიები კონტროლს დაექვემდებარებინა. შუა საუკუნეებში დაზვერვით საქმიანობას მონარქები და რელიგიური ინსტიტუტები ახორციელებდნენ, რომლებიც დიპლომატიური წარმომადგენლების, ელჩების და საიდუმლო აგენტების საშუალებით აგროვებდნენ ინფორმაციას.

სადაზვერვო საქმიანობა მნიშვნელოვნად განვითარდა თანამედროვე ეპოქაში, განსაკუთრებით XIX და XX საუკუნეებში. დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებამ, გლობალურმა კონფლიქტებმა და ტექნოლოგიურმა წინსვლამ დაზვერვა პროფესიულ დარგად აქცია, რომლის შესწავლაც სამეცნიერო დონეზე ხორციელდება. რიგ ქვეყნებში არსებობს სპეციალური ინსტიტუტები, რომლებიც იკვლევენ სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობას და ცდილობენ ამ სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითიცაა ისრაელი.

ნაპოლეონის ომების დროს სისტემური სამხედრო დაზვერვის ჩამოყალიბება დაიწყო, ხოლო ამერიკის სამოქალაქო ომში აქტიურად გამოიყენებოდა ჯაშუშები და დაშიფრული შეტყობინებების გადაჭერა და გაშიფვრა. დაზვერვისა და კონტრ-დაზვერვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ნათლად გამოიკვეთა პირველი და მეორე

[1] https://classics.mit.edu/Tzu/artwar.html

მსოფლიო ომების დროს. ბრიტანეთის "**ბლეჩლი პარკის**"[2] კრიპტოლოგიის ცენტრმა, ევროპაში საბჭოთა კავშირის აგენტურულმა ქსელებმა და ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიც იყო **OSS – Office of Strategic Services** (CIA-ს წინამორბედი) და **MI6**, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სპეცსამსახურების შექმნას.

ცივი ომის პერიოდში დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ოპერაციებმა უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. **ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირებამ ჯაშუშობის, თვალთვალისა და ფარული ოპერაციების მასშტაბური გაფართოება გამოიწვია.** ისეთი სააგენტოები, როგორიც იყო CIA და KGB, გლობალური გავლენის მოსაპოვებლად აქტიურად იყენებდნენ პროპაგანდას, დეზინფორმაციას, დივერსიებს, ორმაგ აგენტებს და სხვა სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო მეთოდებს. კონტრდაზვერვით საქმიანობას გადამწყვეტი როლი ჰქონდა უცხოელი ჯაშუშების გამოვლენასა და შეღწევადობის პრევენციაში. ისტორიის განმავლობაში არაერთი ცნობილი ჯაშუშური ქსელის იდენტიფიცირება მოხდა, რამაც გავლენა იქონია მსოფლიო პოლიტიკური პროცესებზე.

სადაზვერვო საქმიანობას დიდი ისტორია გააჩნია. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ბევრი ომი და კონფლიქტი, რა დროსაც ჩნდებოდა ინფორმაციის მოთხოვნა მოწინააღმდეგის გეგმებისა და სამხედრო შესაძლებლობების შესახებ. დროთა განმავლობაში ომის წარმოების მეთოდებმა, ასევე როგორც სადაზვერვო ღონისძიებებმა ევოლუცია განიცადეს. ანტიკურ პერიოდში, შეზღუდული ინფორმაცია ძალიან ფასობდა, თუმცა არსებობდა ბევრი დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა ინფორმაციის მოპოვებას, მის გადამოწმებას, რისკების შეფასებას და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.

სადაზვერვო საქმიანობის ჩამოყალიბების საწყისები

ბიბლიური ცნობა **მოსეზე**[3], რომელმაც **თორმეტი ჯაშუში** გააგზავნა **ქანაანის მიწის**[4] შესასწავლად წარმოადგენს სადაზვერვო საქმიანობის პირველ ისტორიულ



მაგალითს. სადაზვერვო ოპერაციები, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ როგორც ძველ, ისე თანამედროვე ომებში, მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას იმისთვის, რომ მიღებულ იქნას სტრატეგიული გადაწყვეტილებები. მოსემ შეარჩია 12 ადამიანი, რომ ისინი ფარულად წასულიყვნენ ქანაანში და შეესწავლათ მიწის ნაყოფიერება, მოსახლეობა და მათი თავდაცვითი შესაძლებლობები. მათი სტრატეგიული მიზანი ქანაანის მიწაზე დასახლებას წარმოადგენდა, ხოლო ტაქტიკური ამოცანა ქანაანის მიწის ცხოვრებისთვის ვარგისიანობის და

[2] https://www.britannica.com/place/Bletchley-Park

[3] https://jewishencyclopedia.com/articles/11049-moses

[4] https://www.britannica.com/place/Canaan-historical-region-Middle-East

ადგილობრივი მოსახლეობის სიძლიერის დადგენა იყო. ეს სადაზვერვო ოპერაცია ნათლად გამოხატავს უშუალო ინფორმაციის მნიშვნელობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. 12 ჯაშუშის დაბრუნების შემდეგ წარმოდგენილი ინფორმაცია არაერთგვაროვანი აღმოჩნდა, კერძოდ, მზვერავების შეფასებით ქანაანის მიწა იყო ძალიან უხვი და ცხოვრებისთვის ხელსაყრელი, თუმცა ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ძლიერები იყვნენ და მათთან გამკლავება რთული იყო. ამ ინფორმაციამ მოსეს და ებრაელი ხალხის ენთუზიაზმი შეასუსტა და ყოყმანი გამოიწვია. საპასუხოდ, მოსემ გადაწყვიტა მეტი ინფორმაციის შეგროვება. უფრო ზუსტი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მან მეორედ გააგზავნა ჯაშუშები ქანაანის მიწაზე. ისინი შეიმოსნენ ადგილობრივი მოსახლეობის მსგავს ტანსაცმელში და ველზე თავისუფლად აგრძელებდნენ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას. დაბრუნებულმა ჯაშუშებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის თავდაცვამ დატოვა ტერიტორია და ღმერთის დახმარებით უკვე შესაძლებელი იყო მიწაზე შეჭრა. საბოლოოდ, ისინი ვერ შეთანხმდნენ გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც დამთავრდა მათი უდაბნოში ყოფნით მანამ, სანამ ისინი მზად არ იქნებოდნენ შეტევისთვის. ბევრი ისტორიკოსი და მკვლევარი ვერ მიდის საბოლოო დასკვნამდე, თუ როგორ მოხდა ქანაანის მიწის დაპყრობა. ამის გარდა, რთულია ზუსტი თარიღების განსაზღვრა, თუმცა ნათელია, რომ სწორედ აღნიშნული პერიოდიდან დაწყებული, უკვე გამოიყენებოდა სადაზვერვო ღონისძიებები. ეს პრეცედენტი გამოხატავს სადაზვერვო საქმიანობის ძირითად ასპექტებს, კერძოდ: **ობიექტური ანალიზის აუცილებლობას, დეზინფორმაციის საფრთხეებს და სადაზვერვო ინფორმაციის ფსიქოლოგიურ გავლენას.** ასევე, სადაზვერვო საქმიანობაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანური დაზვერვა (HUMINT). როგორც საომარ მოქმედებებში, ასევე, სახელმწიფოებრივ პროცესებში, სადაზვერვო საქმიანობა უნდა იყოს ზუსტი და მიუკერძოებელი, ხოლო კონტრდაზვერვამ უნდა გამოავლინოს და აღკვეთოს ყალბი/მტრული ნარატივები, რომლებსაც შესაძლოა სტრატეგიული მარცხი მოჰყვეს.

სადაზვერვო საქმიანობის შესახებ ცნობები გხვდება ძველ საბერძნეთშიც. **არისტოტელეს**[5] ფილოსოფიური სკეპტიციზმიდან **ალექსანდრე დიდის**[6] მტკიცე პრაგმატიზმამდე, სადაზვერვო საქმიანობის ევოლუცია კარგად ასახავს მმართველებისა და სახელმწიფოების ცვალებად პრიორიტეტებს. არისტოტელე, ძვ.წ



IV საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფილოსოფოსი აღიარებდა ღვთიური ცოდნის არსებობის შესაძლებლობებს, თუმცა სკეპტიკურად იყო განწყობილი მისი სანდოობის მიმართ. მის ნაშრომებში ღვთაებრივი სწავლებების შესახებ ის წინასწარმეტყველურ სიზმრებს უბრალოდ დამთხვევად მიიჩნევდა და არა რაიმე სამომავლო მოვლენის შესახებ ღვთის გზავნილად. მისი აზრით, რადგან ცხოველებიც ხედავენ სიზმრებს, ეს არ შეიძლება ყოფილიყო ღმერთთან კომუნიკაციის საშუალება და ეს სიზმრები ვერ იქნებოდა გამოყენებული საფრთხის ასაცილებლად.

[5] https://plato.stanford.edu/entries/aristotle/

[6] https://www.bbc.co.uk/history/historic_figures/alexander_the_great.shtml

საპირისპიროდ, პოლიტიკურ ფილოსოფიაში არისტოტელე აღიარებდა დაზვერვის საჭიროებას სტაბილურობის შესანარჩუნებლად და მომავალი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. თავის ნაშრომში **„პოლიტიკა“** ის ხაზს უსვამდა მმართველების მხრიდან დისიდენტების მიმართ ყურადღების გამახვილების საჭიროებაზე, რომ თავიდან აცილებული ყოფილიყო პოლიტიკური გადატრიალებები და სხვა სახის საბოტაჟი. იგი ურჩევდა ავტორიტარულ მმართველებს, რომ საზოგადოებრივ შეკრებებში მონაწილეობისთვის გამოეყენებინათ ჯაშუშები, როგორც ამას **სირაკუზელი ჰერონი** [7]აკეთებდა. ჰერონი უშვებდა თავის ჯაშუშებს ხალხში, რათა მათ მოესმინათ საზოგადოების განწყობები და ადამიანების საუბრები. არისტოტელეს ეს რჩევა ნათლად გამოხატავდა დაზვერვის მნიშვნელობას პოლიტიკური კონტროლის დამყარებაში, განსაკუთრებით ავტოკრატიულ რეჟიმებში.

დროთა განმავლობაში, სადაზვერვო საქმიანობა უკვე სცილდებოდა მმართველობას და იკავებდა მნიშვნელოვან როლს სამხედრო ოპერაციებში. ალექსანდრე მაკედონელი მთელი თავისი მმართველობის განმავლობაში აქტიურად იყენებდა სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობას. მაკედონიის ავტორიტარულ გარემოში გაზრდილი ალექსანდრე დიდი თავიდანვე კარგად იყო გათვითცნობიერებული შეთქმულებების და საიდუმლო სადაზვერვო ღონისძიებების შესახებ. მისი ძალაუფლებისკენ სწრაფვა იყო ინტრიგებით სავსე და არსებობს დაუდასტურებელი ვარაუდი, რომ ის დაკავშირებული იყო მამამისის - **ფილიპე-II**[8] მკვლელობასთან.

ალექსანდრე მაკედონელს მემკვიდრეობით გადაეცა ძლიერი რეგულარული ჯარი და სამხედრო ფლოტი. მას ჰქონდა მკაფიო ხედვა, რომ უნდა შეენარჩუნებინა და გაეფართოებინა მისი სახელმწიფო. პირველ რიგში მან დაიწყო სამეფოს შიგნით არსებული პრობლემების მოგვარება. სადაზვერვო საქმიანობამ მას დიდი დახმარება გაუწია თავისი მიზნების მიღწევაში. მან სამეფო კარი დააკომპლექტა ერთგული თანამებრძოლებით. შიდა რეფორმების განხორციელების პროცესში, საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქებში მეფის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო. დროული ინფორმაციული უზრუნველყოფის და კონტრ-სადაზვერვო მოქმედებების შედეგად, გამოსვლები წარმატებით იქნა ჩახშობილი. მაკედონელისთვის ყოველთვის ცნობილი ხდებოდა სამეფო კარზე, მოსახლეობაში, ჯარში და უცხო სამეფო კარზე არსებული განწყობები და ინტრიგები.

კონტრდაზვერვის კუთხით, მაკედონელის მიერ კონტროლის, გადამოწმებისა და გამორიცხვის მიზნით, წარმატებით გამოიყენებოდა დეზინფორმაციის მეთოდი. მაკედონელმა მიზანმიმართულად გაავრცელა ინფორმაცია მისი სიკვდილის შესახებ, რის შედეგადაც ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, რომელიც დასაწყისშივე იქნა ჩახშობილი. ამ ფაქტის შემდეგ მოხდა დიდი წმენდა ყველა

[7] https://www.britannica.com/biography/Hieron-II

[8] https://education.nationalgeographic.org/resource/philip-ii-macedon/

სფეროში და მაკედონელის უსაფრთხოების სისტემა კიდევ უფრო მტკიცე გახდა. მაკედონელის ინიციატივით, საბერძნეთის სამეფო დაზვერვაში დაინერგა საფოსტო ცენზურა, რის შედეგადაც ხორციელდებოდა საიდუმლო კონტროლი სამხედრო დანაყოფებში მეომართა კორესპონდენციასა და დიპლომატიურ ფოსტაზე.

ალექსანდრე მაკედონელი მთელი თავისი მმართველობის პერიოდში აქტიურად იყენებდა სხვადასხვა სახის შეთქმულებებს თავისი ძალაუფლების გასამყარებლად. ხშირად ის ცრუ ბრალდებებით სასტიკად უსწორდებოდა თავის ოპონენტებს და თანამოაზრეებს. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე უკავშირდებოდა მაკედონელის კავალერიის მეთაურს - **ფილოტასს**.[9] როდესაც გამოიკვეთა, რომ ფილოტასი ყალიბდებოდა მაკედონელის კონკურენტად, მან მყისიერად იმოქმედა მის წინააღმდეგ. ალექსანდრე მაკედონელმა გამოიყენა ფილოტასის სიძის და მისი საყვარლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, თითქოს ის აპირებდა მაკედონელის წინააღმდეგ შეთქმულებას. ამის საპასუხოდ მაკედონელმა დააპატიმრა ფილოტასი, რომელიც წამებით იქნა მოკლული, ხოლო ფილოტასის მამა - **პარმენიონი**[10], ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი გენერალი მაკედონელის კარზე მოკლული იყო დაქირავებული მკვლელების მიერ. ეს მოვლენა ნათლად ასახავს, რომ ალექსანდრე მაკედონელი აქტიურად იყენებდა დაზვერვას და კონტრდაზვერვას ძალაუფლების შესანარჩუნებლად და სასტიკად უსწორდებოდა პოტენციურ საფრთხეებს.

საომარ მოქმედებამდე და მის შემდეგ მაკედონელის კარზე მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისა და ანალიტიკური საქმიანობის საკითხები. ადგილობრივი და მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობაში ვრცელდებოდა დეზინფორმაცია, რომ ალექსანდრე მაკედონელი უძლეველი იყო. სწორედ ასეთი ხმების დახმარებით და დადებითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებით მან შეძლო უბრძოლველად ეგვიპტის დამორჩილება.

მაკედონელის ჯარი დაკომპლექტებული იყო სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეებით, ისტორიკოსებით, გეოგრაფებით, ფილოსოფოსებით და მჩხიბავებით, რაც ჯარში სამხედრო ძალის პარალელურად, ქმნიდა ინტელექტუალურ პოტენციალსაც, რომელიც ეხმარებოდა სადაზვერვო-ანალიტიკური საქმიანობის უკეთ განხორციელებაში. მათი ეფექტური მუშაობის შედეგად, სადაზვერვო სამსახურმა შეძლო მოეპოვებინა ინფორმაცია, რომ სპარსელების მხრიდან ხდებოდა ბერძნების გადაბირება ანაზღაურების სანაცვლოდ. ამ ვითარების განეიტრალების მიზნით, სპარსელებთან ყველა სახის ურთიერთობა აიკრძალა. სპარსეთის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ქალაქებში სწორედ კონტრ-დაზვერვის ეფექტური მუშაობით მოხდა აჯანყების განეიტრალება.

[9] https://www.livius.org/articles/person/philotas/
[10] https://www.britannica.com/biography/Parmenio

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე მაკედონელი იყენებდა ჯაშუშებსა და ინფორმატორებს, ის მეტად ენდობოდა წინასწარმეტყველებსა და ღვთის მსახურებს ვიდრე სადაზვერვო სისტემას. საომარ მოქმედებებში მისი ყველაზე გავლენიანი მრჩეველი იყო არა გენერალი ან მაღალი დონის მზვერავი, არამედ მჩხიბავი **არისტანდერი თელმესიდან**[11], რომელიც ჩიტების ქცევას, სიზმრებს, ხილვებსა და სხვადასხვა ნიშნებს აქცევდა ყურადღებას და ამით ხშირად ახდენდა გავლენას ალექსანდრე მაკედონელის გადაწყვეტილებებზე. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაში, არისტანდერმა მაკედონელს ურჩია, რომ არ გადაეკვეთა **ტანაისის მდინარე**, რადგან მისი წინასწარმეტყველებით ამას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. ალექსანდრემ მისი რჩევა არ გაითვალისწინა და მაინც გადაკვეთა მდინარე, რის შედეგადაც დაბინძურებული მდინარის წყლიდან მოწამლვის გამო ის ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ეს შემთხვევა გამოხატავდა მაკედონელის რწმენას, რომ ხშირად წინასწარმეტყველება სანდო იყო. ასეთი მისწრაფებები ზებუნებრივ ნიშნებთან დაკავშირებით ხშირად კვებავდა მის პარანოიას, რაც გენერლებისგან და მზვერავებისგან განსხვავებით, აისახებოდა მჩხიბავების მიმართ დიდი ნდობით.

მაკედონელის მმართველობის მიწურულს, მისი დამოკიდებულება მჩხიბავებზე კიდევ უფრო გაიზარდა. ეგვიპტეში ყოფნისას, მან **ზევს-ამონის წინასწარმეტყველი მოინახულა** და საკუთარი ღვთიური წარმომავლობის რწმენა განიმტკიცა. სიცოცხლის ბოლოს, მისი ბაბილონის სასახლე სავსე იყო მჩხიბავებით და ღვთისმსახურებით. ეს გარემოება კარგად ასახავდა მაკედონელის მმართველობის გარდაქმნას სადაზვერვო მმართველობიდან ზებუნებრივ და მისტიურ მმართველობაზე. ეს დამოკიდებულება კარგად აჩვენებს კონფლიქტს, რაციონალურ სადაზვერვო საქმიანობის უპირატესობას და ზებუნებრივ რწმენაზე, რომელმაც ჩამოაყალიბდა დაზვერვა სხვადასხვა ცივილიზაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ მაკედონელმა შექმნა ძლიერი იმპერია, რომელიც ფლობდა უამრავ ტერიტორიას და ჩამოაყალიბდა უძლიერესი ჯარი, მან არ გაითვალისწინა ისეთი ფაქტორები, რომლებიც უკავშირდებოდნენ მის პირად უსაფრთხოებას. სწორედ ასეთმა უყურადღებობამ გამოიწვია მისი მოწამლვა და შემდგომი სიკვდილი.

სუნ ძი

სუნ ძის **„ომის ხელოვნება“** წარმოადგენს თანამედროვე სადაზვერვო და სამხედრო სწავლების ერთ-ერთი საწყისს. სწორედ ომის ხელოვნებაში ასახულია ყველა ის ძირითადი მიმართულება, რითიც მოქმედებენ თანამედროვე სამხედრო ძალები და სპეცსამსახურები. **„ომის ხელოვნება“** ყოველი ჯარისკაცის, ოფიცრის, გენერლის, მზვერავის, პოლიტიკოსის და უსაფრთხოების სპეციალისტის სამაგიდო წიგნად იქცა.

სუნ ძის შესახებ ბევრი ლეგენდა დადის და მისი მოღვაწეობა ყოველთვის განხილვის საგანია. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის ზუსტი წლები უცნობია, თუმცა ისტორიკოსებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, **რომ იგი დაახლოებით ძვ.წ აღრიცხვამდე 500-400 წლებში მოღვაწეობდა**. სუნ ძი ანტიკური ჩინეთის გენერალი, სამხედრო სტრატეგი და ფილოსოფოსი იყო. თავის ნაშრომში სუნ ძი საუბრობს

[11] https://www.pothos.org/content/indexca7f.html?page=aristander

სამხედრო სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხების შესახებ, ასევე, მას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული აქვს დაზვერვის მნიშვნელობაზე.

სუნ ძი განიხილავს და ერთმანეთს ადარებს 5 ძირითად ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ომის შედეგზე. ესენია: პოლიტიკა, ამინდი, რელიეფი, მეთაური და დოქტრინა. სუნ ძის აზრით, პირველ რიგში საჭიროა ბუნების და რელიეფის კარგი ცოდნა, იმისთვის, რომ ჯარი მომზადებული დახვდეს ყველა ბუნებრივ დაბრკოლებას, რაც შეიძლება შეხვდეს მას გადაადგილებისას. მნიშვნელოვანია კარგი მეთაური, რომელსაც შეეძლება მოვლენების წინასწარი გათვლა. ამისთვის მეთაურს ესაჭიროება ინფორმაცია მოწინააღმდეგეზე, რომელიც მიიღება არა ღმერთების და ასტროლოგიური გათვლების საშუალებით, არამედ ჯაშუშებით. მხოლოდ განათლებულ და ბრძენ მეთაურს, რომელიც ჭკვიან ადამიანებს იყენებს ჯაშუშებად, შეუძლია დიდი გამარჯვების მოპოვება.

სუნ ძი გამოყოფს 5 ტიპის ჯაშუშს:

- ადგილობრივი ჯაშუშები - ინფორმატორები;
- შიდა ჯაშუშები - უცხო ქვეყნის ჯაშუშები საკუთარ კარზე;
- მოქცეული ჯაშუშები - მოწინააღმდეგის ჯაშუშები;
- სიკვდილის ჯაშუშები - დივერსანტი ჯაშუშები;
- სიცოცხლის ჯაშუშები - ჯაშუშ-რეიდერები;

ადგილობრივი ჯაშუშები - მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის მოწოდებას სხვა ქვეყნის სასარგებლოდ. ისინი განეკუთვნებიან პირველ კატეგორიას - **ინფორმატორებს.**

შიდა ჯაშუშები - თანამდებობის პირები და საჯარო მოხელეები, რომლებიც არიან მოწინააღმდეგე ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში და ამავდროულად არიან სხვა ქვეყნის ჯაშუშები. ისინი განეკუთვნებიან მეორე კატეგორიას - **უცხო ქვეყნის ჯაშუშები საკუთარ კარზე**;

მოქცეული ჯაშუშები - ჯაშუშები, რომლებიც გადაიბირეს იმ ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომელთა წინააღმდეგაც ისინი ახორციელებდნენ სადაზვერვო საქმიანობას. განეკუთვნებიან მესამე კატეგორიას - **მოწინააღმდეგის ჯაშუშები**;

სიკვდილის ჯაშუშები - ჯაშუშები, რომლებიც იგზავნებიან მოწინააღმდეგესთან და სიკვდილის ფასად ასრულებენ თავის დავალებას. ისინი შედიან მეოთხე კატეგორიაში - **დივერსანტი ჯაშუშები**;

სიცოცხლის ჯაშუშები - ჯაშუშები, რომელთა მთავარი მისია არის მოწინააღმდეგისგან ინფორმაციის მოპოვება, ნებისმიერ ფასად ცოცხლად დარჩენა და ინფორმაციის მიტანა დანიშნულების ადგილზე. განეკუთვნებიან მეხუთე კატეგორიის ჯაშუშებს, რომლებსაც უწოდებენ **ჯაშუშ-რეიდერებს**;

სუნ ძის აზრით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი სადაზვერვო საქმიანობაში აგენტურული პოზიციების მოპოვებაა. მისი დოქტრინის მიხედვით, "ადგილობრივი ჯაშუშების" გადაბირება მარტივდება მაშინ, როდესაც ადგილობრივი მაცხოვრებლები ვერ იღებენ ანაზღაურებასა და დაფასებას ხელისუფლებისგან. შესაბამისად, მათი ქვეყნის წინაშე ვალდებულებები ძალიან დაბალია. თუ მოხერხდება მათი დაინტერესება თანხით ან რაიმე სხვა სახის სიკეთით, მათგან ადვილი იქნება მოწინააღმდეგის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ ინფორმაციის მიღება. სიძუნწე, სამოქალაქო ვალდებულების არარსებობა, ეგოიზმი და სიამაყე ის თვისებებია, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადამიანის მანიპულირებისთვის.

"სიკვდილის ჯაშუშები" იგზავნებიან მოწინააღმდეგესთან ცრუ ინფორმაციის მისაწოდებლად, რომელმაც შეიძლება მოწინააღმდეგეს დიდი შეცდომა დააშვებინოს. ასეთმა ქმედებებმა შეიძლება გამოააშკარავოს ჯაშუშის ნამდვილი მიზანი, რაც ადვილად გამოიწვევს მის სიკვდილს. ასეთ ჯაშუშებს ხშირად ამოძრავებს პატრიოტიზმის და იდეოლოგიის ძლიერი გრძნობა. რაც შეეხება "სიცოცხლის ჯაშუშებს", მათ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობათ. სუნ ძი გამოყოფს რიგ თვისებებს, რომლებიც უნდა გააჩნდეთ მათ. იმის გათვალისწინებით, რომ სიცოცხლის ჯაშუში ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს თავის ქვეყანაში, იგი შესაძლოა აღმოჩნდეს მრავალი გამოწვევისა და სირთულის წინაშე, რადგან მისი საქმიანობა ძალიან სარისკოა. მნიშვნელოვანია მისი ფიზიკური მდგომარეობა. ის უნდა იყოს ჯანმრთელი, ამტანი და შეეძლოს მძიმე ფიზიკური დატვირთვის ატანა, რადგან არ არის გამორიცხული ეჭვის შემთხვევაში, განხორციელდეს მასზე ფიზიკური ზეწოლა, რათა მან გათქვას თავისი თავი. ამის გარდა, საჭიროების შემთხვევაში მას უნდა შეეძლოს შიმშილის და წყურვილის ატანა, ვინაიდან უკან დაბრუნებისას შესაძლებელია იგი რთულ ბუნებრივ პირობებში აღმოჩნდეს, სადაც მიუწვდომელი იქნება საკვები და წყალი. სიცოცხლის ჯაშუში უნდა გამოირჩეოდეს გამჭრიახი გონებით, განათლებით, ფიზიკური ამტანობით, შინაგანად სიძლიერითა და სიმამაცით.



ჯაშუშების მართვის კონტექსტში სუნ ძის თავის დოქტრინაში ჩამოყალიბებული აქვს 3 ძირითადი თვისება, რომელიც უნდა გააჩნდეს მეთაურს, რათა მან შეძლოს ჯაშუშების ეფექტური მართვა.

1) მეთაურს უნდა გააჩნდეს რაციონალური აზროვნება, რადგან მან უნდა შეაფასოს ჯაშუშის ხასიათი, გულწრფელობა, ჭეშმარიტება და მრავალმხრივი გონება. მეთაურისთვის მნიშვნელოვანია რაციონალური აზროვნება, რათა მან შეძლოს განასხვავოს ტყუილი და სიმართლე ჯაშუშის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჯაშუშის გამოყენება. ჯაშუშის გამოყენებისთვის საჭიროა ადამიანის ცნობა, ხოლო თუ მეთაურს გააჩნია სრულყოფილი აზროვნება იგი შეძლებს ადამიანების შეცნობას.

2) მეორე თვისება, რაც მოეთხოვება მეთაურს არის ჰუმანურობა და სამართლიანობა. ჰუმანურობით ხდება ჯაშუშების მოზიდვა შინაგანად, ხოლო სამართლიანობით ხდება მათი ერთგულების განმტკიცება. სწორედ ჰუმანურობითა და სამართლიანობით ადვილდება ადამიანების მართვა.

3) სინატიფე და გამჭრიახობა - არის შემთხვევები, როდესაც ჯაშუში მიიღებს მაღალ ანაზღაურებას თავისი საქმიანობისთვის, თუმცა ვერ მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას მოწინააღმდეგის შესახებ. ამ შემთხვევაში თავისი წარუმატებლობის გადასაფარად ჯაშუშმა შესაძლოა მეთაურს არასწორი ინფორმაცია გაუზიაროს. სწორედ ამ დროს საჭიროა სიფრთხილე და გამჭრიახობა, რათა მეთაურმა შეძლოს გაიგოს რამდენად სიმართლეს შეესაბამება ჯაშუშის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. გამჭრიახობა ასევე საჭიროა მოწინააღმდეგის მიერ მოგზავნილი ჯაშუშისგან თავდაცვისთვის. სუნ ძის დოქტრინის მიხედვით, ადამიანს რომელსაც გააჩნია გამჭრიახი გონება, მას შეუძლია წინასწარ ყველაფრის ცოდნა და გათვლა.

სუნ ძის სადაზვერვო დოქტრინის მთავარი ელემენტია მოწინააღმდეგის კარგი ცოდნა. ყოველთვის საჭიროა იცოდეს მეთაურმა თუ ვისთან აქვს საქმე, რათა განსაზღვროს თავისი სტრატეგია და ტაქტიკა მასთან საბრძოლველად. მოწინააღმდეგის ცოდნა ასევე საჭიროა სადაზვერვო საქმიანობაშიც. ჯაშუშებს შეუძლიათ კარგად მუშაობა მხოლოდ მაშინ, როდესაც იციან თუ ვისთან აქვთ საქმე.

დაზვერვა და კონტრდაზვერვა ისლამურ კულტურაში

ისლამურ სამყაროში, **მუჰამედმა**[12] მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არაბეთის ნახევარკუნძულზე ისლამის გავრცელებასა და განმტკიცებაში, რასაც ის ძალისმიერი მეთოდებითა და ომით ახორციელებდა. ცხოვრების განმავლობაში მისი მეთაურობით დაახლოებით **27 ბრძოლა და 50-მდე სამხედრო თავდასხმა მოხდა**. როგორც სამხედრო მეთაური, მუჰამედი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სადაზვერვო საკითხებს. **მექაში** მისი ადრეული დღეებიდან დაწყებული, **მედინაში** ძალაუფლების კონსოლიდაციამდე და შემდგომ, წინასწარმეტყველი მუჰამედის საქმიანობაში სადაზვერვო ოპერაციებს უდიდესი როლი გააჩნდა. მისი საქმიანობა ისლამურ მმართველობასა და სამხედრო სტრატეგიაში დაზვერვის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბებას უკავშირდება. მას კარგად გაანალიზებული ჰქონდა დაზვერვის და კონტრდაზვერვის მნიშვნელობა მისი თემის გადარჩენისა და წარმატებისთვის.

[12] https://www.biography.com/religious-figures/muhammad

მექაში მისი ყოფნის დროს, ის და მისი მიმდევრები იდევნებოდნენ **კურაიშების**[13] ტომისგან. თავის გადარჩენის მიზნით, საჭირო გახდა საიდუმლო ღონისძიებები, თვალთვალი და კონტრ-სადაზვერვო ღონისძიებები. იმ დროის ყველაზე მნიშვნელოვანი საიდუმლო ოპერაცია გახდა მუჰამედის და მისი მიმდევრების გაქცევა ქალაქ მედინაში. როდესაც მუჰამედმა საიდუმლო არხებით გაიგო, რომ კურაიშები გეგმავდნენ მის მკვლელობას, მან შეიმუშავა გაქცევის გეგმა. მუჰამედმა ღამით დატოვა მექა, ხოლო მისი ბიძაშვილი დარჩა ადგილზე მტრის მოსატყუებლად. ეს ოპერაცია გახდა კონტრდაზვერვითი ღონისძიების მაგალითი, რომელიც მოიცავდა მტრის მოტყუებას და სტრატეგიულ მოქმედებას მტრის შეცდომაში შესაყვანად.

მედინაში გადასვლის შემდეგ, მუჰამედმა შექმნა ორგანიზებული სადაზვერვო ქსელი, რომლის მიზანი იყო შიდა და გარე საფრთხეების იდენტიფიცირება და დაკვირვება. იგი პერიოდულად აგზავნიდა მზვერავებს მოწინააღმდეგე ტომების, მტრის გადაადგილების და სხვა ტომებთან პოტენციური ალიანსების შექმნის შესაძლებლობების შესასწავლად. მუჰამედის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მზვერავი იყო **ჰუზაიფა იბნ ალ-იამანი,**[14] რომელიც ეფექტურად აღწევდა მტრის ბანაკებში და ახორციელებდა სტრატეგიული ინფორმაციის შეგროვებას.

624 წელს "**ბადრას ბრძოლაში**",[15] დაზვერვამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მუსლიმების გამარჯვებაში. მუჰამედმა სადაზვერვო ღონისძიებების დახმარებით მოახდინა მტრის რიცხოვნობის, სტრატეგიული მარაგების, ლოგისტიკისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება. მისი მზვერავების მიერ შეგროვებულმა ინფორმაციამ, მუსლიმებს ეფექტური ტაქტიკის შემუშავების საშუალება მისცა და მოულოდნელი გამარჯვება მოაპოვებინა გაცილებით უფრო ძლიერ მტერზე.

აღსანიშნავია ასევე 627 წელს "**თხრილის ბრძოლაც**",[16] სადაც მუჰამედმა კვლავ გამოიყენა სტრატეგიული დაზვერვითი და კონტრდაზვერვითი ღონისძიებები წარმატების მისაღწევად. ებრაელების და არაბების კოალიციასთან დაპირისპირებისას, მუჰამედმა **სალმან სპარსელის**[17] რჩევით, მედინას გარშემო მოაწყო თხრილები და არსებული რელიეფის გათვალისწინებთ, არაბთა კავალერია უსარგებლო გახდა. ამავდროულად, მუჰამედმა გამოიყენა ფსიქოლოგიური ომი და სადაზვერვო ღონისძიებების დახმარებით შეძლო მტრის ბანაკში უთანხმოების დათესვა. საბოლოოდ, უამინდობამ, რელიეფმა, ეფექტურმა დიპლომატიამ და სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო ოპერაციების ეფექტურობამ, უკან დახია მტერი და სტრატეგიული უპირატესობა მოაპოვებინა მუჰამედს.

მუჰამედს კარგად ესმოდა სადაზვერვო საქმიანობაში ფსიქოლოგიური გავლენის ოპერაციის მნიშვნელობა. ის ეფექტურად იყენებდა პროპაგანდას, დეზინფორმაციას და დიპლომატიას მისი მოწინააღმდეგეების დასასუსტებლად. მაგალითისთვის,

[13] https://www.britannica.com/topic/Quraysh
[14] https://yaqeeninstitute.org/watch/series/hudhayfah-ibn-al-yaman-ra-the-secret-keeper-the-firsts
[15] https://theclearislam.org/the-battle-of-badr/
[16] https://www.britannica.com/event/Battle-of-the-Trench
[17] https://www.britannica.com/biography/Salman-al-Farisi

შეგვიძლია მოვიყვანოთ “**ჰუდაიაბის სამშვიდობო შეთანხმება” (628 წ.)**[18]**,** რომელიც ითვალისწინებდა მუსლიმებსა და კურაიშებს შორის 10 წლიან მშვიდობას. ეს შეთანხმება იყო არა მხოლოდ დიპლომატიური შეთანხმება, არამედ სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც მუჰამედს ეხმარებოდა ძალაუფლების კონსოლიდირებასა და მისი გეგმების შესახებ მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას.

630 წელს მუჰამედმა გადაწყვიტა მექას დაპყრობა. ამ ბრძოლაში მან ეფექტურად გამოიყენა სადაზვერვო ღონისძიებები, კერძოდ, მტრის შეცდომაში შეყვანის ტაქტიკა. მან კურაიშებს დაუმალა მისი რეალური განზრახვები, კერძოდ, მან გაავრცელა დეზინფორმაცია, რომ გეგმავდა სირიაზე თავდასხმას, ამავდროულად მან ფარულად შეკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარი მექასთან სიახლოვეს. როდესაც მექაში მცხოვრებლებმა გაიგეს ამის შესახებ, უკვე გვიანი იყო თავდაცვისთვის. მუჰამედის ინფორმაციის მანიპულირების და დეზინფორმაციის უნარმა შესაძლებელი გახადა მექას უბრძოლველად ჩაბარება, რაც სტრატეგიული დაზვერვის თვალსაჩინო ადრეული ისტორიული მაგალითია.

მუჰამედის ეპოქაში განვითარებულმა სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო მეთოდებმა საუკუნეების განმავლობაში გავლენა **იქონია ისლამურ მმართველობასა და სამხედრო სტრატეგიაზე.** შემდგომი ხალიფატები სისტემატურად იყენებდნენ სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო მოქმედებებს, კრიპტოგრაფიას, დეზინფორმაციას და ჯაშუშურ ქსელებს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის შიდა აჯანყებების და გარე შემოსევების თავიდან ასაცილებლად. მუჰამედის სადაზვერვო საქმიანობის საფუძვლებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ისლამური სახელმწიფო მართვის ისტორიაში და ხელი შეუწყო თანამედროვე ისლამური სპეცსამსახურების ჩამოყალიბებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ **ალ-ქაიდას სასწავლო სახელმძღვანელოში**[19] მუჰამედის სადაზვერვო მეთოდებს დიდი როლი ეკავა.

ევროპული რენესანსის პერიოდი

დაზვერვას და კონტრდაზვერვას მნიშვნელოვანი როლი ეკავა **რენესანსის ევროპის** ერის, ეკონომიკის, უსაფრთხოების და საზოგადოების ჩამოყალიბების ისტორიაში. რენესანსის ევროპაში ვენეცია გამორჩეული იყო საიდუმლო მმართველობის ელემენტებითა და სადაზვერვო საქმიანობით. შესაბამისი სამსახურების მიერ საიდუმლო ინფორმაციის შენახვა და ფარული საშუალებებით მისი მოპოვება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა ცენტრალური მნიშვნელობა ეკავა დაზვერვას და კონტრდაზვერვას სახელმწიფო მმართველობაში, კონკურენტებთან ბრძოლასა და გეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებში.

[18] https://www.britannica.com/event/Pact-of-Al-Hudaybiyah

[19] https://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/network/alqaeda/manual.html

ვენეციური დაზვერვა დაფუძნებული იყო საიდუმლოების კულტურაზე. **„ათთა საბჭო“** წარმოადგენდა სახელმწიფო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურას. საბჭოს მუშაობა იყო დაფუძნებული პრინციპზე **„ნუ გაამჟღავნებ საიდუმლოს“ ("jura, perjura, secretum proderi noli")**. ეს მიდგომა ვენეციის მმართველობის შიდა და საგარეო პოლიტიკას აყალიბებდა. სენატის, კოლეგიის და საიდუმლო საბჭოების წევრებს ეკრძალებოდათ უცხოელ ელჩებთან ურთიერთობა ან მათთან სახელმწიფო საკითხების გამჟღავნება, რადგან ამას შეეძლო გამოწვია ინფორმაციის

გამთქმელების მიმართ ჯარიმა, დაპატიმრება ან სიკვდილით დასჯა. ამის ნათელი მაგალითია ვენეციის კანცლერის, **ანტონიო დი ლანდოს** მაგალითი, როდესაც ის 1498 წელს სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნების გამო სიკვდილით დასაჯეს. ასეთი საიდუმლო რეჟიმის დაცვა საჭირო იყო ვენეციის სავაჭრო იმპერიის დასაცავად. **ვენეციისთვის, რომელიც ვაჭრობაში მსოფლიო ლიდერი იყო,** წარმოებული საქონლის და მომარაგების მარშრუტების საიდუმლოს დაცვა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა. ვენეციელი ვაჭრები ხშირად აგროვებდნენ სადაზვერვო ინფორმაციას კონკურენტების ტექნოლოგიურ ინოვაციებზე და სავაჭრო სტრატეგიებზე, რაც ვენეციას საშუალებას აძლევდა ადაპტირება განეხორციელებინა ახალ რეალობაზე და დარჩენილიყო მაღალ კონკურენტულ სახელმწიფოდ. ვენეციისთვის სადაზვერვო ინფორმაცია არ იყო მხოლოდ თავდაცვითი საშუალება, ის ეკონომიკური დომინირების შენარჩუნების ბერკეტსაც წარმოადგენდა. სწორედ ამ პერიოდმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე კორპორატიულ შპიონაჟსაც.

ვენეციის კონტრ-სადაზვერვო მეთოდები დახვეწილი და ამავდროულად უსასტიკესი იყო. ანონიმურობისა და ფინანსური წახალისების მოტივაციით, ინფორმატორებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საფრთხეების გამოვლენაში. ისინი, ვინც ღალატში იყვნენ ბრალდებულები, მკაცრი სასჯელი ელოდათ. ძირითადად ეს სასჯელი საჯაროდ, სამაგალითო სიკვდილით დასჯას წარმოადგენდა. სასჯელის გარდა, ვენეციაში შეიქმნა სისტემური კონტროლი საიდუმლოების უზრუნველსაყოფად. **ვენეციის არქივებში მეტწილად ამუშავებდნენ წერა-კითხვა არმცოდნე არქივარიუსებს,** რათა თავიდან აეცილებინათ საიდუმლო ინფორმაციისა და ჩანაწერების გაჟონვა.

„ათთა საბჭოს“ საიდუმლოებისადმი ერთგულება ვრცელდებოდა ასევე დიპლომატიურ ურთიერთობებზეც. ვენეციელი ელჩები არა მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლები, არამედ გამოცდილი მზვერავებიც იყვნენ. ისინი ავითარებდნენ სადაზვერვო ქსელებს და სისტემატიურად აწვდიდნენ ინფორმაციას დედაქალაქს ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მდგომარეობის შესახებ. პერმანენტული საელჩოების შექმნამ, ვენეციას საშუალება მისცა შეენარჩუნებინა დაზვერვის უწყვეტი ციკლი, რომელიც შემდგომში მთელ ევროპაში დიპლომატიის მოდელად იქცა.

ვენეციაში საფუძველი ჩაეყარა კომუნიკაციაში კრიპტოგრაფიის გამოყენებას. **ჯოვანი სორო**[20] იყო პირველი ცნობილი კრიპტოგრაფი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დარგის განვითარებაში. 40 წლის განმავლობაში ჯოვანი სორო ახორციელებდა გადაჭერილი დაშიფრული ინფორმაციის გაშიფვრას. მისმა საქმიანობამ დოჟების სასახლეს დაანახა უსაფრთხო კომუნიკაციის კრიტიკული მნიშვნელობა ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებაში. კრიპტოგრაფია მომავალშიც ეხმარებოდა იტალიას სხვადასხვა ომში ერთი მხრივ უსაფრთხო კომუნიკაციის წარმოებაში, ხოლო მეორე მხრივ მტრის საიდუმლო კომუნიკაციის გადაჭრასა და მის გაშიფვრაში.



„ათთა საბჭომ“ ეფექტურად გამოიყენა ჯოვანი სოროს უნარები მოკავშირეების მხარდასაჭერად და დიპლომატიური სარგებლის მისაღებად. ვენეციაში განვითარებულმა კრიპტოგრაფიამ მნიშვნელოვანი უპირატესობა მოუტანა იტალიას თავის მტრებთან, მათ შორის ოსმალეთის იმპერიასთან, რომელსაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილება არ გააჩნდა.

მაშინ როდესაც ევროპაში ძლიერდებოდა დაზვერვის მიმართულება, სხვა იმპერიები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ მათ. მიუხედავად იმისა, რომ **ოსმალეთის იმპერიას** გააჩნდა უძლიერესი სამხედრო შესაძლებლობები, სადაზვერვო საქმიანობის კუთხით ისინი ჩამორჩებოდნენ ვენეციას ისეთი სფეროებში, როგორიც იყო პოლიტიკური დაზვერვა და კრიპტოგრაფია. ოსმალეთის იმპერიის დამოკიდებულება დროებით საელჩოებზე და ბეჭდვის აკრძალვამ შეასუსტა მათ მიერ ინფორმაციის ანალიზი და გავრცელება.

ამის საპირისპიროდ, ამერიკაში არსებულმა **აცტეკების და ინკების იმპერიებმა** მოახერხეს ძლიერი შიდა სადაზვერვო სისტემის ჩამოყალიბება, თუმცა ვერ შეძლეს ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა გარე სადაზვერვო სტრატეგიებთან. **ჰერნან კორტესის**[21] მიერ 1521 წელს აცტეკების იმპერიის დაპყრობამ ნათლად გამოაშკარავა დაზვერვის ძალა სამხედრო კამპანიებში. კორტესის თანამშრომლობამ ადგილობრივ უკმაყოფილო ჯგუფებთან და კარგი თარჯიმნების მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ, კორტესს აცტეკების შიდა იერარქიაში დაპირისპირების გამოწვევის და დაყოფის საშუალება მისცა. ეს ტაქტიკა კარგად ასახავს დაზვერვის მნიშვნელოვან როლს დაპყრობით ომებში.

მიუხედავად სადაზვერვო უპირატესობისა, ვენეციის დომინანტობა დასრულდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში. პორტუგალიელმა მოგზაურებმა ვენეციის

[20] https://www.atlasobscura.com/articles/cryptography-renaissance-venice

[21] https://www.britannica.com/biography/Hernan-Cortes

გვერდის ავლით, ინდოეთისკენ ახალი სავაჭრო გზების გაკვალვა მოახერხეს, რის შედეგადაც დაიმსხვრა ვენეციის სავაჭრო მონოპოლია. გეოგრაფიული და ეკონომიკური ნაკლოვანებების გამო, გლობალური ვაჭრობის განვითარებას წინ ვერ აღუდგა ვენეციის სადაზვერვო შესაძლებლობები, იმისდა მიუხედავად, რომ რენესანსის დროს, ვენეციამ შეძლო ევროპაში მისი დიპლომატიური სადაზვერვო სიძლიერის შენარჩუნება. ვენეციელი ელჩები აგრძელებდნენ ფართო სადაზვერვო ქსელების მართვას, რაც მათ ეხმარებოდა ფართო გეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა ფაქტორმა ვენეციის სადაზვერვო უპირატესობა შეარყია, სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების ეს შესაძლებლობა ხაზს უსვამს მზვერავების მუდმივ მნიშვნელობას.

ვენეციის დაზვერვის განვითარების ისტორია დაზვერვის და კონტრდაზვერვის მნიშვნელობის ნათელი მაგალითია. საიდუმლოების დაცვა, ახალი გარემოსადმი ადაპტაცია და ტექნოლოგიური ინოვაციები ნათლად ასახავს მათ, როგორც კრიტიკულ ფაქტორებს სახელმწიფოს სიძლიერის შენარჩუნებისთვის. თუმცა, ვენეციის გამოცდილება ასევე კარგად ასახავს დაზვერვის ისეთ შეზღუდვებსაც, როგორიცაა **გლობალური სავაჭრო ქსელების გაჩენა და საერთაშორისო განვითარება,** რომლის შეჩერება ვენეციურმა დაზვერვამ ვერ მოახერხა.

დღევანდელ მსოფლიოში, სადაც ინფორმაციული ომი და ეროვნული უსაფრთხოება დომინანტურ სტრატეგიულ საკითხებად იქცნენ, ვენეციური დაზვერვის მოდელი კარგად აჩვენებს ცოდნის დაცვის და მისი გამოყენების მნიშვნელობას. დაზვერვის ისტორიულ ჭრილში შესწავლა, რაც გულისხმობს წარმატებებისა და წარუმატებლობების მიზეზების კარგად გაანალიზებას, გვეხმარება საფრთხეებთან უკეთესად გამკლავებაში და გეოპოლიტიკური სირთულეების გადალახვაში.

რუსული უსაფრთხოების სამსახურების ჩამოყალიბება

რუსული სპეცსამსახურების შექმნა და მათი იდეოლოგიური ჩამოყალიბება უკავშირდება **ივანე IV მრისხანეს**[22] მეფობის პერიოდს. მისი მეფობა რუსეთის

ისტორიაში გარდამტეხი აღმოჩნდა, როგორც ძალაუფლების სისასტიკით კონსოლიდაციის, ასევე, სპეცსამსახურების შექმნის მიმართულებით. სწორედ ივანე მრისხანეს სპეცსამსახურების მოქმედების იდეოლოგიაზე და მიდგომებზე დგას დღევანდელი რუსული სპეცსამსახურებიც. მან ჩამოაყალიბა უსაფრთხოების სამსახური **„ოპრიჩნინა“ (Опричнина)**, რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. „ოპრიჩნინას“ გააჩნდა როგორც მმართველობითი ფუნქციები, ასევე, ის პასუხისმგებელი იყო სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე. სწორედ „ოპრიჩნინა“-ს იდეოლოგიაზე **ჩამოყალიბდა მომავალი რუსული სპეცსამსახურების მიდგომები**. ივანე მრისხანეს ღრმა პარანოიამ და საფრთხეების მიმართ დაუნდობელმა ხასიათმა, შექმნა თვალთვალის და მიყურადების კულტურა, რომელიც გახდა შემდგომი **რუსული რეჟიმების სავიზიტო ბარათი,** განსაკუთრებით კი სტალინის მმართველობის დროს.

ივანე IV-ის მმართველობამდე რუსეთს გააჩნდა მხოლოდ ელემენტარული დაზვერვის სისტემა, რომელიც უმეტესწილად ეფუძნებოდა დიპლომატების, ვაჭრებისა და მეფის კარზე არსებული ინფორმატორების აქტივობებს. ივანე მრისხანეს უსაფრთხოებით და კონტროლით გამოწვეულმა პარანოიამ ხელი შეუწყო სადაზვერვო ღონისძიებების ორგანიზებულობას და მათ ინსტიტუციონალიზაციას.

რუსული დაზვერვის ერთ-ერთი პირველი თვალსაჩინო მაგალითი უკავშირდება **ივანე ვისკოვატის**,[23] რომელსაც რუსეთის პირველი დიპლომატიური სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები ერგო. მას მნიშვნელოვანი გავლენები გააჩნდა უცხოეთში. ვისკოვატი გამოირჩეოდა დარწმუნების არაჩვეულებრივი უნარით და ადვილად ახერხებდა ძვირფასი საჩუქრებითა და ფულით უცხოელი მაღალჩინოსნების მოსყიდვას. მას ადვილად შეეძლო უცხოეთში შიდა დაჯგუფებების მანიპულირება და საიდუმლო ოპერაციების მართვა. ასეთი მიდგომით მან შეძლო არაერთი ევროპელი ბიუროკრატის გადაბირება, რომელიც შემდგომში ეხმარებოდა მას **„პრო-რუსული“** პოლიტიკის გატარებაში. მიუხედავად მისი არაერთი წარმატებისა, ის ივანე მრისხანეს პარანოიას მსხვერპლი

[22] https://www.biography.com/royalty/a45896491/ivan-the-terrible

[23] https://encyclopedia2.thefreedictionary.com/Viskovatyi%2C+Ivan

გახდა და შეთქმულების ბრალდებით სიკვდილით დაისაჯა, რამაც ხაზი გაუსვა ივანე მრისხანეს დაზვერვის სისტემაში არსებულ ნდობის სიმცირეს.

„ოპრიჩნინა“ შეიქმნა 1565 წელს. ის წარმოადგენდა რუსეთის პირველ ორგანიზებულ საიდუმლო პოლიციას, რომლის მთავარი მიზანი იყო ღალატის აღმოფხვრა და მეფის აბსოლუტური ძალაუფლების დაცვა. შექმნიდან მცირე პერიოდში, „ოპრიჩნინა“ გადაიქცა რეპრესიების სასტიკ მანქანად. „ოპრიჩნინა“-ს თანამშრომლების - **„ოპრიჩნინკების“** გარეგნობა შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას. ისინი მოძრაობდნენ შავ სამოსში შავი ცხენებით და ცხენებზე მიმაგრებული ქონდათ ძაღლის თავები, რაც მიზნად ისახავდა შიშის დათესვას.

„ოპრიჩნინკები“ ძირითადად ფოკუსირებულები იყვნენ კონტრ-სადაზვერვო მოქმედებებზე, რაც გამოიხატებოდა რეალური, თუ წარმოსახვითი გადატრიალებების აღმოფხვრასა და მეფის გარემოცვის კონტროლში. ისინი მოქმედებდნენ შეუზღუდავი ძალაუფლებით, ასრულებდნენ მასობრივ სიკვდილით დასჯებს, ძალადობდნენ მოსახლეობაზე და კონფისკაციას უკეთებდნენ კერძო საკუთრებას. მათი სისასტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო 1570 წელს განხორციელებული **ნოვგოროდის ხოცვა-ჟლეტა,**[24] როდესაც ათასობით ადამიანი, მათ შორის ქალი და ბავშვი დაიღუპა მეფის უსაფუძვლო ღალატის ეჭვების გამო. როგორც სტალინის **„ნკვდ“**-ს მოქმედებები **„დიდი წმენდის“**[25] დროს, ასევე „ოპრიჩნინკების“ ძალადობრივი ნაბიჯები აყალიბებდნენ მოკლევადიან მორჩილებას, თუმცა, საერთო ჯამში ეს ნეგატიურად ისახებოდა უსაფრთხოების სისტემის მიმართ საზოგადოებრივ ნდობაზე და ასუსტებდა რუსეთის სტაბილურობას.

ივანე მრისხანეს მმართველობისთვის დამახასიათებელი იყო შეთქმულებების მუდმივი შიში. მისი რწმენა, რომ მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ როგორც შიდა, ასევე, გარე ძალები, იწვევდა მაღალი რანგის საჯარო მოხელეების, მეფესთან დაახლოებული პირების და სამხედრო მეთაურების მასობრივ ხოცვას. ამ შიშის საფუძველზე ჩამოყალიბდა თვალთვალის და დასმენების სისტემა, სადაც მოახლეები, დაბალი რანგის საჯარო მოხელეები და სასულიერო პირები წახალისებულნი იყვნენ „ღალატის“ შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის. ამ სისტემაში ერთგულება ძირითადად გამოიხატებოდა სხვა პირების დასმენებით.

ივანე IV-ის საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის სადაზვერვო საქმიანობასთან. რუსეთის ახლო ურთიერთობები ისეთ მეზღვაურებთან და ვაჭრებთან, როგორებიც იყვნენ **რიჩარდ ჩენსლერი**[26] და **ენტონი ჯენკინსონი**,[27]

[24] https://therussianreader.com/tag/massacre-of-novgorod-1570/
[25] https://www.britannica.com/event/Great-Purge
[26] https://www.britannica.com/biography/Richard-Chancellor
[27] https://www.rmg.co.uk/stories/topics/anthony-jenkinson

ეხმარებოდა ივანე მრისხანეს ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში. მიუხედავად ამისა, ივანე IV-ის მთავარი დიპლომატიური და საგარეო დაზვერვის დასაყრდენის - ივანე ვისკოვატის მოკვლის შემდეგ, კარგად გამოჩნდა მისი უუნარობა განასხვავოს ლეგიტიმური უსაფრთხოების პრობლემები და პირადი პარანოია.

ივანე მრისხანეს დაზვერვის და კონტრდაზვერვის მეთოდები დიდხანს დარჩა რუსეთის სახელმწიფოს მართვის ნაწილად. მის მეთოდებს იყენებდნენ ისეთი მმართველები, როგორებიც იყვნენ **პეტრე დიდი** და **იოსებ სტალინი.** ძირითადი ელემენტები, რომელიც გამოიყენება ივანე მრისხანეს მმართველობის შემდგომ მოიცავს:

1) **დაზვერვის ცენტრალიზებულ კონტროლს** - ივანე IV-ის უშუალო ჩარევები სადაზვერვო ოპერაციებში გახდა რუსეთის მმართველობის ტრადიცია;
2) **საიდუმლო პოლიციის გამოყენება** - ოპრიჩნინა გახდა რუსეთში მომავალი საიდუმლო პოლიციური ორგანიზაციების პროტოტიპი;
3) **კონტრ-დაზვერვის მიმართ პარანოიდული მიდგომები** - რუსეთის მეფეებისა და საბჭოთა ლიდერების პრაქტიკაში არაერთხელ განმეორდა ეჭვების საფუძველზე წამოწყებული მასობრივი რეპრესიები და მკვლელობები;
4) **შიშის იარაღად გამოყენება** - ფსიქოლოგიური ტერორი გახდა რუსეთის სახელმწიფო მმართველობის დამახასიათებელი ნიშანი;

ამრიგად, ივანე მრისხანეს მმართველობამ ფუნდამენტურად შეცვალა რუსეთის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის პრაქტიკული მიდგომები. მისი მეთოდები, რომლებიც ეფუძნებოდა ძალადობას და შიშის დათესვას, ხანმოკლედ ქმნიდა მორჩილებას, მაგრამ საბოლოოდ ასუსტებდა ქვეყნის სტაბილურობას. ოპრიჩნინკებმა, რომლებიც ეფექტურად ახდენდნენ რეალური თუ წარმოსახვითი საფრთხეების შეჩერებას, საზოგადოებაში გამოიწვიეს ქაოსი და უნდობლობა. ასეთი მმართველობის მოდელი არაერთხელ განმეორდა რუსეთის ისტორიაში და დღემდე აისახება ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკაში.

ინგლისის დაზვერვის და კონტრდაზვერვის ჩამოყალიბება

დიდ ბრიტანეთს გააჩნია დიდი გამოცდილება სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობის კუთხით. ბრიტანული სპეცსამსახურების ინსტიტუციური განვითარება დაკავშირებულია ინგლისის ოქროს ხანასთან და **დედოფალ ელიზაბეთ I**[28]- თან. 1588 წელს, **ესპანეთის არმადის**[29] წარუმატებელმა შეჭრამ ინგლისში, განაპირობა ინგლისის სადაზვერვო საქმიანობის ეფექტურობამ, რაც გახდა ნათელი მაგალითი იმისა თუ როგორ

[28] https://www.britannica.com/biography/Elizabeth-I
[29] https://www.historic-uk.com/HistoryUK/HistoryofEngland/Spanish-Armada/

შეუძლია სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობას ისტორიის მსვლელობის შეცვლა.

შუასაუკუნეების პერიოდში სადაზვერვო ოპერაციები მეტად კომპლექსური და სტრუქტურირებული გახდა, რადგან სამეფოები ფართოვდებოდა და ერთმანეთთან კონკურენციაც იზრდებოდა. რენესანსის პერიოდში ევროპის ქვეყნების პროფესიონალი დიპლომატების გამოჩენამ, ევროპას უფრო სისტემატური სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას საშუალება მისცა. ასევე, ადრეული მზვერავები ძირითადად იყვნენ ვაჭრები, კარისკაცები ან სასულიერო პორები, რომლებსაც წვდომა ქონდათ სენსიტიურ ინფორმაციაზე. სადაზვერვო ოპერაციები ძირითადად არაფორმალურად ხორციელდებოდა და დიდ წილად დამოკიდებული იყო ცალკეულ უნარებსა და ინდივიდების პირად აგენტურულ ქსელებზე.

ინგლისის დედოფალ **ელიზაბეთ I-ის (1533-1603)** მმართველობის პერიოდში სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობა განსაკუთრებით განვითარდა ესპანეთიდან მზარდი საფრთხეების ფონზე. ინგლისის გადარჩენა დამოკიდებული იყო ესპანელების სამხედრო მოქმედებების წინასწარ განჭვრეტაზე, რაც დაზვერვას ინგლისის სამეფოს ეროვნულ უსაფრთხოებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებდა. ელისაბეთ I-ის სახელმწიფი მდივანმა - **სერ ფრენსის უოლსინჰემმა**[30] მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინგლისის სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარებაში და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ბრიტანეთის სპეცსამსახურების ჩამოყალიბებას. **იგი აქტიურად იბირებდა ოქსფორდის და კემბრიჯის კურსდამთავრებულებს**, რომლებსაც აგზავნიდა საფრანგეთში სასწავლებლად. საბოლოოდ ისინი იწყებდნენ მუშაობას საფრანგეთის მეფის კარზე და მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდნენ ინგლისს. მან ჩამოაყალიბდა ფართო ჯაშუშური ქსელი ევროპის მასშტაბით, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ესპანეთის გეგმების ჩაშლაში.

ესპანეთის **მეფე ფილიპე II**[31] ცდილობდა ინგლისზე თავდასხმის გეგმა საიდუმლოდ შეენახა. მცდელობის მიუხედავად, ინგლისელმა ჯაშუშებმა მოიპოვეს ეს ინფორმაცია, რაც მოიცავდა ესპანური ფლოტის ზომას, თავდასხმის სავარაუდო დროს და სტრატეგიას, და შესაძლო სადესანტო წერტილებს. ამ კრიტიკულმა ინფორმაციამ ინგლისს საშუალება მისცა, რომ მოემზადებინათ თავისი ფლოტი მტრის გეგმების შესაბამისად და თავიდან აეცილებინათ მოულოდნელი თავდასხმა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ესპანური არმადის და სხვა მომდინარე საფრთხეების განეიტრალებაში.

უოლსინჰემის სადაზვერვო ქსელი იყენებდა მრავალ მეთოდს, მათ შორის უშუალო დაკვირვებას, წერილების გადაჭერას და ინფორმატორებისგან მიღებული ანგარიშების ანალიზს. ამ სისტემის ეფექტურობა გამოვლინდა ესპანეთის არმადას

[30] https://www.britannica.com/biography/Francis-Walsingham
[31] https://www.britannica.com/biography/Philip-II-king-of-Spain-and-Portugal

წინააღმდეგ, სადაც ინგლისელი ჯაშუშები უზრუნველყოფდნენ სტრატეგიულ დაზვერვას, რომელიც აყალიბებდა ინგლისის თავდაცვით მზაობას მომდინარე საფრთხის წინაშე. ესპანური არმადის წინააღმდეგ ეფექტურმა სადაზვერვო ღონისძიებებმა შექმნეს პრეცედენტი, რომელიც სამაგალითო გახდა მომავალი ბრიტანული სპეცსამსახურებისთვის და წარმოაჩინა კოორდინირებული სადაზვერვო საქმიანობის აუცილებლობა.

დაზვერვასთან ერთად ინგლისი ავითარებდა კონტრ-სადაზვერვო შესაძლებლობებსაც. უოლსინჰემის სადაზვერვო ქსელი არა მხოლოდ აგროვებდა

ინფორმაციას მოწინააღმდეგის შესახებ, არამედ ეწეოდა კონტრ-სადაზვერვო საქმიანობასაც, რაც გამოიხატებოდა ელიზაბეთ I-ის წინააღმდეგ შეთქმულებების მხილებასა და მეფის კარსა და ჯარში მტრის ჯაშუშების იდენტიფიცირებას. ამ საქმიანობაში უოლსინჰემი იყენებდა სხვადასხვა წერილის გადაჭერის, მათი წაკითხვის და შემდგომ კვლავ დაბეჭდვის და ადრესატთან გაგზავნის მეთოდს. ამ მეთოდით, უოლსინჰემის ქსელმა მოახდინა "**ბაბინგტონის შეთქმულების"**[32] მხილება 1586 წელს, რომელიც მიზნად ისახავდა დედოფალ ელიზაბეთის მკვლელობას და **შოტლანდიის დედოფალ მერით**[33] მის ჩანაცვლებას.

ინგლისის „ოქროს ხანის" პერიოდში განვითარდა და თვალსაჩინო გახდა ისეთი მიმართულებები, როგორიც არის სტრატეგიული და ტაქტიკური დაზვერვა. სტრატეგიული დაზვერვა გულისხმობდა გრძელვადიანი სადაზვერვო ანალიზის ჩატარებას მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობებისა და ზრახვების შესახებ, ხოლო ტაქტიკური დაზვერვა ფოკუსირებული იყო უშუალო ოპერატიულ დეტალებზე, როგორიცაა თავდასხმის დრო და ადგილი, ასევე, სწრაფი ნაბიჯები მოწინააღმდეგის შესაკავებლად.

უოლსინჰემის სადაზვერვო ქსელმა უზრუნველყო ფასეული სტრატეგიული სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, **რომელმაც მოახდინა ესპანეთის გრძელვადიანი სამხედრო გეგმების იდენტიფიცირება.** მიუხედავად ამისა, ტაქტიკური სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება შედარებით რთული იყო, რადგან ფილიპე II ხშირად ცვლიდა თავის გეგმებს და საზღვაო ბრძოლებში არაპროგნოზირებადი იყო.

ესპანეთის სამხედრო გეგმების შესახებ ინფორმაცია ხშირად ურთიერთგამომრიცხავი იყო, რაც ინგლისის ხელისუფლებაში გაურკვევლობას იწვევდა. ეს გარემოება წარმოადგენდა სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას, კერძოდ: ინფორმაცია შეიძლება ზუსტი ყოფილიყო, მაგრამ არასაკმარისი კონკრეტული ტაქტიკური პროგნოზებისთვის.

[32] https://voyagerofhistory.wordpress.com/2022/01/08/anthony-babington-and-the-babington-plot/
[33] https://www.royal.uk/mary-queen-scots-r1542-1567

ინგლისისა და ესპანეთის დაპირისპირებამ თვალსაჩინო გახადა სადაზვერვო საქმიანობის და ტექნოლოგიური ინოვაციების ურთიერთდამოკიდებულება. XVI საუკუნის ბოლოს საზღვაო ომი მნიშვნელოვნად განვითარდა, ესპანეთის ფლოტში **"გალეონის"**[34] ტიპის გემების გამოჩენით, რომლებმაც საზღვაო სამხედრო შესაძლებლობებში გარდატეხა მოახდინეს. ინგლისმა მოახერხა ესპანური საზღვაო

ტექნოლოგიების ზუსტი შეფასება და შესაბამისი კონტრ-მექანიზმების შემუშავება. ინგლისური ხომალდები დაპროექტებული იყო სისწრაფისა და მანევრირებისთვის, რაც სადაზვერვო მონაცემების საფუძველზე განისაზღვრა. ინგლისის საზღვაო სტრატეგია, რომელიც გრძელ მანძილზე ზარბაზნების გამოყენებას ეყრდნობოდა, დაფუძნებული იყო დაზვერვის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე ესპანური „გალეონების" სისუსტეების შესახებ. ამ გარემოებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ინგლისის გამარჯვებაში, რაც ცხადყოფს, რომ დაზვერვა ინფორმაციის შეგროვების გარდა, მისი ეფექტურად გამოყენებასაც გულისხმობს.

ინგლისსა და ესპანეთს შორის კონფლიქტის დროს შემუშავებულმა სადაზვერვო მეთოდებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სადაზვერვო სამსახურების საქმიანობას. უოლსინჰემის ქსელმა კარგად აჩვენა სადაზვერვო მეთოდების შემდეგი მიმართულებების ეფექტურობა:

1) **ადამიანური დაზვერვა** - მტრის ტერიტორიაზე ჩანერგილი ჯაშუშები აწვდიდნენ ინგლისს მუდმივ ინფორმაციას მტრის გეგმებისა და ქმედებების შესახებ;
2) **ტექნიკური დაზვერვა** - შეზღუდული ტექნოლოგიების მიუხედავად, გადაჭერილმა წერილებმა და სამხედრო გზავნილებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს ინგლისის მიერ განხორციელებულ სადაზვერვო ოპერაციებში;
3) **კონტრ-დაზვერვა** - მტრის ჯაშუშების იდენტიფიცირება და შეთქმულებების ჩაშლა, უზრუნველყოფდა ინგლისის საინფორმაციო უპირატესობას და სამეფოს შიდა სტაბილურობას;
4) **ინფორმაციის ანალიზი და სინთეზი:** გადაუმუშავებელი სადაზვერვო ინფორმაციის ანალიზი და მისი ტრანსფორმაცია ქმედით ინფორმაციაში წარმოადგენდა პროცესს, რომელიც დღესაც საკვანძო როლს ასრულებს სპეცსამსახურების მუშაობაში;

[34] https://www.britannica.com/technology/galleon

ესპანეთის არმადის წარუმატებელი შეჭრა ინგლისში წარმოაჩენს დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კრიტიკულ მნიშვნელობას ეროვნულ უსაფრთხოებაში. **ფრენსის უოლსინჰემის სადაზვერვო ქსელი გახდა თანამედროვე ბრიტანული სადაზვერვო სააგენტოების მოდელი,** რომელიც ხაზს უსვამს დროული, ზუსტი და ქმედითი სადაზვერვო საქმიანობის აუცილებლობას. ისტორიის განმავლობაში დაზვერვა და კონტრ-დაზვერვა მუდმივად ვითარდებოდა ახალი საფრთხეებისა და ტექნოლოგიური პროგრესის საპასუხოდ, რისი ნათელი მაგალითიცაა ინგლისის და ესპანეთის დაპირისპირება.

ჯორჯ ვაშინგტონი და აშშ-ს დაზვერვის ჩამოყალიბების საწყისები

1775 წლამდე აშშ წარმოადგენდა ბრიტანეთის კოლონიას, თუმცა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ამერიკის 13-მა ბრიტანულმა კოლონიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი დიდ ბრიტანეთსა და ამბოხებულებს შორის. იმ დროს ამბოხებულების მეთაური იყო **ჯორჯ ვაშინგტონი**,[35] რომელმაც პირველი ნაბიჯები გადადგა სპეცსამსახურების ჩამოყალიბებისაკენ. რევოლუციური ომის მსვლელობისას, მან ჩამოაყალიბა "**საიდუმლო კომიტეტი**" და "**საიდუმლო კორესპონდენციის კომიტეტი**". საიდუმლო კომიტეტის ფუნქციას წარმოადგენდა ბრიტანეთის სამხედრო დანაყოფების შესახებ ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს, ხოლო კორესპონდენციის კომიტეტი უზრუნველყოფდა საიდუმლო კომუნიკაციას მზვერავებსა და ცენტრს შორის, საიდუმლო ოპერაციებს და უზრუნველყოფდა სენსიტიური მოლაპარაკებების პროცესს სხვა ქვეყნებთან.

ვაშინგტონმა იცოდა, რომ ბრიტანეთს გააჩნდა ძლიერი და ორგანიზებული სამხედრო ძალა. იგი ხვდებოდა, რომ ომში გამარჯვებისათვის მას ესაჭიროებოდა ინფორმაციული უპირატესობა, რომელიც დაეხმარებოდა მას რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებაში. ასევე, გასაგები იყო რომ ბრიტანეთსაც შეეძლო სადაზვერვო ღონისძიებების ჩატარება, აქედან გამომდინარე ჯორჯ ვაშინგტონის დიდი ძალისხმევის შედეგად, 1776 წელს კონგრესმა მიიღო პირველი "შპიონაჟის აქტი", რომელიც გულისხმობდა აშშ-ს წინააღმდეგ მოქმედი ჯაშუშების სიკვდილით დასჯას.

[35] https://www.britannica.com/biography/George-Washington

ომის მიმდინარეობისას იკვეთებოდნენ როგორც გმირი ჯაშუშები, ასევე მოღალატეებიც. აშშ-ს ერთ-ერთ პირველ მნიშვნელოვან ჯაშუშს წარმოადგენდა **ნათან ჰეილი.** სწორედ ის დათანხმდა „**ლონგ აილენდის“**[36] ბრძოლის დროს წასულიყო მტრის ზურგში და შეეგროვებინა ინფორმაცია. საბოლოოდ ნათან ჰეილი შეიპყრეს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა და სიკვდილით დასაჯეს. ეს ადამიანი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა აშშ-ს სადაზვერვო ისტორიაში, რომ მისი ძეგლი დადგა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ლენგლის შტაბ-ბინის ეზოში.

ომის დასრულების შემდეგ, ჯორჯ ვაშინგტონმა გააუქმა უკვე შექმნილი საიდუმლო კომიტეტები. მისი ბრძანების მიხედვით, ანალოგიური სპეცსამსახურების ჩამოყალიბება და სადაზვერვო საქმიანობა უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ საჭიროებისამებრ, როგორც ეს ხდებოდა 1812 წლის ომში და 1846 წლის მექსიკის ომში. მიუხედავად იმისა, რომ იმდროისათვის არ იყო ჩამოყალიბებული პერმანენტული სპეცსამსახურები, აშშ წარმატებით ახორციელებდა სადაზვერვო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

1861 წლისათვის აშშ ჩამოყალიბებული იყო როგორც ამერიკის შტატების კონფედერაცია. როდესაც ქვეყნის სათავეში მოვიდა რესპუბლიკური პარტია **აბრაამ ლინკოლნის** მეთაურობით, მათ გააუქმეს მონათმფლობელობა. იმ დროისათვის სამხრეთის 11 შტატი გამოეყო აშშ-ს ლეგიტიმურ მთავრობას, რადგან ისინი არ აპირებდნენ მონათმფლობელობის გაუქმებას. მათ გამოაცხადეს თავისი თავი როგორც კონფედერაცია. აქედან გამომდინარე, მთავრობამ ისინი სცნო როგორც ამბოხებულები და სწორედ ეს გახდა სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზი.

ომის მსვლელობისას, როგორც ჩრდილოეთი, ასევე სამხრეთი აქტიურად იყენებდა დაზვერვას. ძირითადად სამხედრო მეთაურები ავალებდნენ

თავის ჯარისკაცებს მოეძიათ ინფორმაცია, თუმცა სადაზვერვო პროცესში სამოქალაქო პირებიც მონაწილეობდნენ. მაგალითისათვის, **ბელ ბოიდი** და **როუზ ო'ნილი** ახორციელებდნენ ინფორმაციის მოძიებას ჩრდილოეთის ოფიცრებისგან, რაც გულისხმობდა მათთან სხვადასხვა სახის ურთიერთობის დამყარებას. სწორედ მათი ინფორმაციის დახმარებით, კონფედერაციამ შესძლო რამდენიმე ბრძოლაში გამარჯვება.

სადაზვერვო საქმიანობა ასევე ხორციელდებოდა კერძო პირებისა და კომპანიების მიერ. მაგალითისათვის, 1850 წელს ცნობილმა დეტექტივმა **ალენ პინკერტონმა** [37]დაარსა მისი ცნობილი დეტექტივების სააგენტო, რომლის თავდაპირველი მიზანი იყო ბიზნესმენებისათვის ინფორმაციის მოძიება და თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფ თანამშრომლებზე თვალთვალი. ეს განპირობებული იყო მათ კომპანიებში

[36] https://www.mountvernon.org/library/digitalhistory/digital-encyclopedia/article/battle-of-long-island
[37] https://www.pbs.org/wgbh/americanexperience/features/james-agency/

თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პრევენციით, რაც მოიცავდა ავადმყოფობის მიზეზით სამსახურის გაცდენას და კომპანიისთვის ფულის მოპარვას.

კერძო სექტორში მისი წარმატებული საქმიანობის შემდეგ, პინკერტონი გახდა აშშ-ს სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი. სწორედ მისი მუშაობის პერიოდში განვითარდა დაზვერვის ისეთი მეთოდები, როგორიც არის ეჭვმიტანილის თვალთვალი და საფარქვეშ მუშაობა. აღნიშნული მეთოდები კვლავაც გამოიყენება სპეცსამსახურების მიერ. სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, იგი 2 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სადაზვერვო სამსახურს. სწორედ მის სახელს უკავშირდება პრეზიდენტ ლინკოლნზე თავდასხმის თავიდან აცილება და **"Adam Express"-ის მატარებლის ძარცვის საქმის გახსნა,** რომლის დროსაც მოპარულ იქნა 700,000$. სამოქალაქო ომის დროს პინკერტონის დეტექტივები აქტიურად მუშაობდნენ სამხედრო დაზვერვაში.

სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საიდუმლო ოპერაცია ჩაატარა **ჰერიეთ თუბმანმა.** სამოქალაქო ომის დროს იგი მსახურობდა აშშ ფედერაციული ჯარების შემადგენლობაში, როგორც შეიარაღებული სკაუტი და შემდეგ როგორც ჯაშუში. ომის მსვლელობის დროს სამხრეთ კაროლინაში მისი დახმარებით ჩატარდა ფარული ოპერაცია, რომლის დროსაც **"მიწისქვეშა რკინიგზის"** *(იგი წარმოადგენდა სპეციალურ ქსელს, რომელიც მოიცავდა საიდუმლო მიწისზედა და მიწისქვეშა გასასვლელებს და კონსპირაციულ სახლებს, რომლებიც გამოიყენებოდა მონების გასათავისუფლებლად და კონფედერაციის ტერიტორიიდან მათ გასაყვანად)* დახმარებით მან შეძლო 700 შავკანიანი მონის გათავისუფლება, რომლებსაც გააჩნდათ უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია მოწინააღმდეგის შესახებ. საბოლოო ჯამში ამ ინფორმაციამ დიდი დახმარება გაუწია სახელმწიფო ჯარებს მონათმფლობელი კონფედერაციის დამარცხებაში.

სამოქალაქო ომის მსვლელობისას შეიქმნა მრავალი სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მეთოდოლოგია და განვითარდა ახალი ტექნოლოგიები. მაგალითისათვის, იმდროინდელმა მეცნიერმა **თედიუს ლოუმ**[38] შექმნა საჰაერო

[38] https://airandspace.si.edu/support/wall-of-honor/aeronaut-thaddeus-s-c-lowe

ბუშტი, რომლითაც მან განახორციელა გადაფრენები და შეაგროვა ინფორმაცია კონფედერაციის ჯარების გადაადგილების შესახებ.

მე-19 საუკუნის მიწურულს, ევროპის საზღვაო ძალებმა ტექნოლოგიურად გაასწრო აშშ-ს საზღვაო ძალებს, რის შედეგადაც გაჩნდა აშშ-ს საზღვაო ძალების გაძლიერების საჭიროება. 1882 წელს ჩამოყალიბდა აშშ-ს **საზღვაო დაზვერვის სამსახური (Maritime Intelligence Office)**, რომლის მიზანი იყო აშშ-ს საზღვაო ძალების მოდერნიზაციის ხელშეწყობა, სხვა ქვეყნების საზღვაო ძალების ტექნოლოგიების მოპარვის/შესწავლის ხარჯზე; აღნიშნული სამსახური ასევე ახორციელებდა სამხედრო დაზვერვას ესპანურ-ამერიკული ომის დროსაც. საზღვაო დაზვერვის სამსახურში 1885 წლისთვის უკვე ჩამოყალიბდა სამხედრო-საინფორმაციო ქვედანაყოფი, რომელის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა სადაზვერვო-ანალიტიკური საქმიანობა.

დაზვერვა და კონტრდაზვერვა ნაპოლეონის დროინდელი ომების დროს

ნაპოლეონის დროინდელი ომები (1803 – 1815) წარმოადგენდა არა მხოლოდ სამხედრო კამპანიების სერიას, რომელმაც შეცვალა ევროპა, არამედ ეს იყო პერიოდი, როდესაც დაზვერვასა და კონტრ-დაზვერვას გადამწყვეტი როლი გააჩნდა სამხედრო კამპანიების წარმატებასა და მარცხში. **ნაპოლეონი**[39] მოიაზრება როგორც სტრატეგიის გენიოსი. მისი წარმატება მეტწილად დამოკიდებული იყო მტრის მოტყუებაზე, ჯაშუშებზე და სადაზვერვო ინფორმაციაზე. ამ მეთოდებით მას შეცდომაში შეჰყავდა მისი მტერი. ამავდროულად, მისი მოწინაღმდეგეები - ბრიტანელები და პრუსიელები, ავითარებდნენ კონტრ-სადაზვერვო მეთოდებს, რათა შეეჩერებინათ ფრანგების სადაზვერვო ოპერაციები.

ნაპოლეონს კარგად ესმოდა დაზვერვის სტრატეგიული მნიშვნელობა და აქტიურად იყენებდა მას სამხედრო დაგეგმვაში. მისი სადაზვერვო ქსელი ძირითადად მოიცავდა ჯაშუშებს, სამხედრო მზვერავებს და დიპლომატებს. ის აქტიურად იყენებდა დაშიფრულ შეტყობინებებს, რათა შეენარჩუნებინა გადაცემული ინფორმაციის უსაფრთხოება და უპირატესობა მოეპოვებინა მის მოწინააღმდეგეებზე. სისტემური ინფორმაციის შეგროვებით და ანალიზით, ნაპოლეონი წინასწარ ხვდებოდა მტრის გადაადგილებებს და ეფექტურად ახორციელებდა მათზე თავდასხმებს.

[39] https://www.britannica.com/biography/Napoleon-I

ფრანგული დაზვერვის სისტემა იმ დროისთვის საკმაოდ განვითარებული იყო. ნაპოლეონი იყენებდა სხვადასხვა ტიპის ჯაშუშს, მათ შორის ვაჭრებს, დიპლომატებს და სასულიერო პირებს, მტრის გადაადგილებებისა და მათი გეგმების შესასწავლად. ნაპოლეონის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ჯაშუშურ ქსელს მართავდა **კარლ შულმეისტერი,**[40] რომელმაც წარმატებით მოახერხა ავსტრიელების სამხედრო სარდლობაში ინფილტრაცია. ის პერმანენტულად აწვდიდა ავსტრიელებს დეზინფორმაციას, ხოლო პარალელურად, ნაპოლეონს აწვდიდა მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციას ავსტრიელების გეგმების შესახებ.

ფრანგი ჯაშუშები აქტიურად მოქმედებდნენ მთელს ევროპაში, **განსაკუთრებით კი ბრიტანეთში,** სადაც ისინი ცდილობდნენ საზღვაო გადაადგილებებსა და დიპლომატიურ ინიციატივებზე ინფორმაციის მოპოვებას. მიუხედავად ამისა, ბრიტანული კონტრ-დაზვერვა, რომელსაც ხელმძღვანელობდა **უილიამ უიქჰემი**[41] და შემდგომში **სერ ჯონ მური**, ეფექტურად ახდენდა ფრანგი ჯაშუშების გამოაშკარავებას, რისი არაერთი ფაქტი არსებობს.

ნაპოლეონი დიდ ყურადღებას აქცევდა დიპლომატიურ სამსახურს, რაც გამოიხატებოდა საზღვარგარეთ საფრანგეთის საელჩოებსა და საკონსულოებში მზვერავების როტაციით. **ნაპოლეონი იყენებდა ინფორმატორებს და ორმაგ ჯაშუშებს, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ტყვეები, მოღალატე ოფიცრები ან უკმაყოფილო საჯარო მოხელეები**. ისინი ფულადი კომპენსაციის ან ამნისტიის სანაცვლოდ თანხმდებოდნენ თანამშრომლობაზე. ამ მეთოდით ნაპოლეონი მუდმივად იღებდა მონაცემებს მტრის ტერიტორიიდან.

ნაპოლეონი ეყრდნობოდა კავალერიის მზვერავებსა და მსუბუქ ქვეით დანაყოფებს, რომლებიც საბრძოლო ველზე ეფექტურ სადაზვერვო საქმიანობას ეწეოდნენ. ცხენოსანი ეგერები და ჰუსარები უზრუნველყოფდნენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებას მტრის პოზიციებზე, რელიეფსა და ლოგისტიკურ კვანძებზე. გარდა ამისა, ნაპოლეონის არმია აქტიურად იყენებდა ტოპოგრაფებს და ინჟინრებს, რათა მათ შეეგროვებინათ სადაზვერვო ინფორმაცია ბრძოლის ადგილმდებარეობის შესახებ. ფრანგი კარტოგრაფები ქმნიდნენ დეტალურ რუკებს, რაც ნაპოლეონს საშუალებას აძლევდა ოპტიმალურად გადაეწყო ჯარები და ეფექტურად გამოეყენებინა მტრის დაცვითი სისუსტეები.

ოპერაციის საიდუმლოს შესანახად აქტიურად გამოიყენებოდა დაშიფრული შეტყობინებები და მზვერავი კურიერები. ნაპოლეონის მეთაურებისთვის კოდირებული შეტყობინებების გადაცემისას, ის იყენებდა რთული შიფრების სისტემას. მოწინააღმდეგეებმა დროთა განმავლობაში შეძლეს ნაპოლეონის შიფრების სისტემის შესწავლა, რამაც ფრანგების რიგებში გარკვეული სადაზვერვო ჩავარდნები გამოიწვია.

[40] https://www.frenchempire.net/biographies/schulmeister/

[41] https://www.dib.ie/biography/wickham-william-a9030

ნაპოლეონის იმპერიის გაფართოების პარალელურად, მისი მოწინააღმდეგეები აქტიურად ავითარებდნენ კონტრ-სადაზვერვო ტაქტიკას და შესაძლებლობებს, რაც მიმართული იყო ფრანგი ჯაშუშების გამოვლენისა და დეზინფორმაციისთვის. ამ მხრივ, ბრიტანელებმა, **ველინგტონის ჰერცოგის, არტურ ველესლის**[42] ხელმღვანელობით, ეფექტურად შეიმუშავეს და გამოიყენეს კონტრ-სადაზვერვო ღონისძიებები **პირინეის ბრძოლაში.**[43] ველესლიმ შექმნა ესპანელებით და პორტუგალიელებით დაკომპლექტებული პარტიზანული ქსელი, რომელიც ახორციელებდა მოწინააღმდეგეების კომუნიკაციის გადაჭერას და აწყობდა დივერსიებს ლოგისტიკურ კვანძებზე. მაგალითისთვის, ბრიტანელი კრიპტოგრაფი **ჯორჯ სკოველი**[44] ახორციელებდა ნაპოლეონის გეგმების შესახებ შეტყობინებების გაშიფვრას, რაც ბრიტანელებს ბრძოლებში სტრატეგიულ უპირატესობას აძლევდა.

ბრიტანელების ანალოგიურად, **პრუსიელებმა და რუსებმაც განავითარეს თავისი სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო შესაძლებლობები.** პრუსიელმა გენერალმა **გერჰარდ ფონ შარნჰორსტმა**[45] შექმნა სამხედრო დაზვერვის სამსახური, რომელიც ახორციელებდა ფრანგების შეტყობინებების გადაჭერას და ასუსტებდა მათ სამხედრო ლოგისტიკურ სისტემას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს რუსებმა 1812 წლის ნაპოლეონის კამპანიის დროს, როდესაც **რუსმა პარტიზანებმა და კაზაკებმა ჩახერგეს** და დაარღვიეს საფრანგეთის ლოგისტიკური კვანძები, რის გამოც ნაპოლეონის დიდი ჯარი ფაქტობრივად დაუცველი გახდა, რადგან შეჩერდა ჯარის მომარაგება საკვებით და სხვა საჭირო პროდუქტით. რუსების მიერ ადგილობრივი წინააღმდეგობის მებრძოლების გამოყენება საფრანგეთის კამპანიის საბოტაჟისთვის ძალზე ეფექტური აღმოჩნდა, რაც გახდა პრეცედენტი სხვა კონტრ-სადაზვერვო ღონისძიებებისთვის.

დეზინფორმაცია და ფსიქოლოგიური ომი ნაპოლეონი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი იყო. ნაპოლეონს თვითონ გააჩნდა ფსიქოლოგიური ომის წარმოების დიდი ნიჭი, რაშიც ის მტრის შეცდომაში შესაყვანად ტყუილებს ავრცელებდა. დიდი ბრძოლების წინ, ნაპოლეონი ავრცელებდა სხვადასხვა ჭორებს, ყალბ დოკუმენტებს და ახორციელებდა ისეთ მანევრებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს უქმნიდა შთაბეჭდილებას, თითქოს ნაპოლეონის ჯარი იყო სუსტი და პოზიციურად იმყოფებოდა რთულ ვითარებაში.

აუსტერლიცის ბრძოლა[46] კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეჰყავდა შეცდომაში ნაპოლეონს თავისი მოწინააღმდეგეები. ბრძოლამდე, ნაპოლეონმა მოირგო სუსტი

[42] https://www.britannica.com/biography/Arthur-Wellesley-1st-Duke-of-Wellington
[43] https://www.britishbattles.com/peninsular-war/battle-of-the-pyrenees/
[44] https://www.militaryintelligencemuseum.org/george-scovell
[45] https://www.britannica.com/biography/Gerhard-Johann-David-von-Scharnhorst
[46] https://www.britannica.com/event/Battle-of-Austerlitz

პოზიცია, რის შედეგადაც მისმა მოწინააღმდეგეებმა - ავსტრიელებმა და რუსებმა დაიჯერეს, რომ მათ მნიშვნელოვანი უპირატესობა გააჩნდათ ნაპოლეონთან ომში. როდესაც რუსებმა და ავსტრიელებმა დაიწყეს შეტევა, ამ დროს ნაპოლეონმა განახორციელა კონტრ-შეტევა სხვა მხრიდან, რაზეც მოწინააღმდეგეებს არ ქონდათ ინფორმაცია. შედეგად, ნაპოლეონმა მიაღწია თავის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ გამარჯვებას.

საზღვაო ომში, ანალოგიური ტაქტიკით მოქმედებდა ბრიტანეთი საფრანგეთის წინააღმდეგ. მათ განახორციელეს ოპერაცია ყალბი დროშის ქვეშ და გადასცემდნენ არასწორ სიგნალებს, რამაც ფრანგული ფლოტი შეცდომაში შეიყვანა და ბრიტანელებმა რამდენიმეჯერ გაიმარჯვეს ფრანგებთან ზღვაზე, მათ შორის **ტრაფალგარდის 1805 წლის ბრძოლაში.**[47]

ნაპოლეონის დროინდელი ომების დროს შემუშავებულმა სადაზვერვო მეთოდებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე სამხედრო დაზვერვას. ომებმა ცხადყო დაზვერვისა და კონტრ-დაზვერვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სამხედრო სტრატეგიაში. ნაპოლეონის სადაზვერვო ქსელმა მრავალი წარმატება მოიტანა, თუმცა ნაპოლეონის მოწინააღმდეგეებმა შეძლეს ადაპტირება და ეფექტური კონტრ-სადაზვერვო ნაბიჯების შემუშავება, რამაც საბოლოო ჯამში მის მარცხს შეუწყო ხელი. ამ პერიოდმა ჩამოაყალიბა სამხედრო დაზვერვის თანამედროვე სტანდარტები, რომელთა გავლენა დღემდე იგრძნობა მსოფლიო სამხედრო და უსაფრთხოების სისტემებში.

გზა პირველ მსოფლიო ომამდე

1890 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდი იქცა გარდამტეხ ეტაპად დაზვერვის ისტორიაში. როდესაც ევროპულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ბრძოლა გლობალური ბატონობისკენ და ძლიერდებოდა ნაციონალისტური სენტიმენტები, დაზვერვის სამსახურებმა დაიწყეს გარდაქმნა არაოფიციალური ქსელებიდან ფორმალიზებულ და ბიუროკრატიულ სტრუქტურებად. ამ პერიოდმა საფუძველი ჩაუყარა სადაზვერვო საქმიანობის პროფესიონალიზაციას, თანამედროვე კონტრ-სადაზვერვო საქმიანობას და დაზვერვის გამოყენებას მშვიდობის დროს დიპლომატიასა და სამხედრო დაგეგმვაში. დაზვერვის საჭიროება დადგა არა მხოლოდ ომის დროს, არამედ სტრატეგიულ მიზნებშიც, რაც გამოიხატებოდა მოლაპარაკებებში კულისებს მიღმა - საელჩოებში და საზღვრებს გარეთ. ასევე, სადაზვერვო კუთხით განვითარება დაიწყო საერთაშორისო თანამშრომლობამაც.

მე-19 საუკუნის მიწურულს, დიდმა სახელმწიფოებმა, როგორებიც იყვნენ **ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და რუსეთი**, დაიწყეს მუდმივი სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო სტრუქტურების ჩამოყალიბება. ეს პროცესი განპირობებული იყო სამხედრო და პოლიტიკური საკითხებით, კერძოდ დიდ სახელმწიფოებს სურდათ

[47] https://www.rmg.co.uk/stories/topics/battle-trafalgar-background

მოულოდნელი თავდასხმებისა და მოწინააღმდეგეების სწრაფი მობილიზაციის თავიდან აცილება.

გერმანიის გენერალურმა შტაბმა ჩამოაყალიბდა სპეციალური სამსახური - "**Abteilung III B" (მესამე განყოფილება)**, რომლის ფუნქციას სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენდა. სამსახურის ძირითადი ამოცანები იყო მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ფსიქოლოგიური ომის წარმოება და პროპაგანდა. გერმანული მოდელი დაფუძნებული იყო მკაცრ სამხედრო დისციპლინაზე და საიდუმლოებაზე, რომელსაც გააჩნდა ცენტრალიზებული მიდგომა სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიმართ.

გერმანიისგან განსხვავებით, ბრიტანეთში დაზვერვა მეტად ფრაგმენტირებულად და მრავალფეროვნად ვითარდებოდა. სამხედრო დაზვერვის ფუნქციებს ითავსებდა როგორც **ომის სამინისტრო (MI1)**, ასევე ადმირალიტეტი **(Naval Intelligence Division, NID)**, თუმცა ორივე უწყება პარალელურად თავის ფუნქციებს ინარჩუნებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღვაო დაზვერვის განყოფილება, რომელსაც სათავეში ედგნენ ისეთი ფიგურები, როგორებიც იყვნენ **კაპიტანი უილიამ ჰოლი**[48] და **ადმირალი რეჯინალდ ჰოლი**.[49] ისინი მხარს უჭერდნენ ე.წ SIGINT-ის მნიშვნელობას და საფუძველი ჩაუყარეს კოდების გაშიფვრის სისტემურ მიდგომას.

საფრანგეთის სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარება მჭიდროდ დაკავშირებული იყო საფრანგეთ-პრუსიის (1870-71) ომის შედეგებთან. მესამე რესპუბლიკამ დააფუძნა **„Deuxième Bureau",** (მეორე ბიურო) რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საგარეო დაზვერვა. მიუხედავად ამისა, მის ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს უშლიდა პოლიტიკური არასტაბილურობა და საზოგადოების უნდობლობა, განსაკუთრებით კი „**დრეიფუსის საქმის"** შემდეგ.

დაზვერვის ისტორიაში, „**დრეიფუსის საქმე"** გახდა ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფაქტი პირველ მსოფლიო ომამდე, რომელიც 1894 წელს დაიწყო. კაპიტანი ალფრედ დრეიფუსი, ებრაული წარმოშობის ოფიცერი შეცდომით იქნა მსჯავრდებული სამხედრო საიდუმლოებების გერმანელებისთვის გადაცემისთვის. საქმე ეფუძნებოდა ფალსიფიცირებულ სადაზვერვო ინფორმაციას, ყალბ დოკუმენტებსა და ღრმა ანტისემიტიზმს. ეს საქმე ნათლად ასახავდა პოლიტიზირებულ კონტრ-სადაზვერვო ნაბიჯებს. იმის ნაცვლად, რომ მომხდარიყო ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვა, ფრანგული სპეცსამსახურები ჩართულები იყვნენ ინტრიგებში, სკანდალებში და საჯარო დეზინფორმაციაში. რეალურად მოხდა ისე, რომ ადამიანს პოლიტიკური ნიშნით წარუდგინეს ბრალდება, რამაც დააზიანა ფრანგული დაზვერვის ავტორიტეტი, გაყო ფრანგი საზოგადოება და გააღრმავა ძალოვან სტრუქტურებს შორის უთანხმოება. ამავდროულად, ამ ფაქტმა წარმოაჩინა სპეცსამსახურების ზედამხედველობის და გამჭვირვალეობის საჭიროებაც, რაც დღესაც აქტუალური საკითხია სპეცსამსახურების მუშაობაში. დრეიფუსის საქმემ წარმოაჩინა ბიუროკრატიით გაჯერებული დაზვერვის სისტემების სისუსტე - მიუხედავად ფორმალური სტრუქტურისა, ისინი იოლად ექვემდებარებოდნენ შიდა კორუფციას,

[48] http://www.dreadnoughtproject.org/tfs/index.php/William_Henry_Hall
[49] https://www.rmg.co.uk/collections/objects/rmgc-object-136584

იდეოლოგიურ მიკერძოებას და პროფესიონალიზმის ნაკლებობას. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში, ევროპის კონტინენტზე დაიწყო მეთოდური და დისციპლინირებული კონტრ-დაზვერვის ორგანოების შექმნა, უპირველესად მზარდი **"ჯაშუშომანიის"** საპასუხოდ.

1900 წლისთვის, სადაზვერვო სამსახურებმა დაიწყეს შიდა უსაფრთხოების მნიშვნელობის აღიარება. ანარქისტული მოძრაობების აღზევებამ, რევოლუციური საფრთხეების ზრდამ და უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების გააქტიურებამ საფუძველი ჩაუყარა კონტრ-დაზვერვის სპეციალიზებული სამსახურების ჩამოყალიბების პროცესს.

1909 წლისთვის, ბრიტანეთმა **დაარსა საიდუმლო სამსახურის ბიურო (Secret Service Bureau),** რომელიც გაყოფილი იყო (შიდა) კონტრ-სადაზვერვო **(MI5)** და (საგარეო) სადაზვერვო **(MI6)** სააგენტოებად. **კაპიტან ვერნონ კელის**[50] და **მეთაურ მენსფილდ ქამინგის**[51] მეთაურობით, აღნიშნული სააგენტოები მიზნად ისახავდნენ გერმანელი ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლას. ასეთი ტიპის დაყოფამ ჩამოაყალიბა ახალი მიდგომა და კარგად ასახა დაზვერვისა და კონტრ-დაზვერვის განსხვავებული ფუნქციები და ახალი პროფესიული თანამშრომლების მომზადების აუცილებლობა. საიდუმლო სამსახურის ბიურო ნაწილობრივ ასახავდა მოსახლეობის შიშს უცხოელი ჯაშუშების მიმართ. პარალელურად, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, გერმანია აძლიერებდა ჯაშუშების ჩანერგვას საფრანგეთსა და ბრიტანეთში.

ბრიტანეთის მსგავსად, გერმანიამაც გააქტიურა კონტრ-სადაზვერვო შესაძლებლობების გაძლიერების პროცესი, თუმცა ის კვლავ მკაცრი სამხედრო იერარქიის ქვეშ მიმდინარეობდა. **Abteilung III B**-ის ორმაგმა მანდატმა გააჩინა დაძაბულობა სადაზვერვო საქმიანობასა და შიდა უსაფრთხოების მონიტორინგს შორის. გერმანული სპეცსამსახურების მიდგომა უფრო ხშირად გაჯერებული იყო ნაციონალიზმითა და იდეოლოგიით, ვიდრე ინსტიტუციური გამჭვირვალეობითა და პროფესიული სტანდარტებით.

პარალელურად, რუსეთში მოქმედი **„ოხრანა" (Охрана)** - სამეფო საიდუმლო პოლიცია წარმოადგენდა კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც ცნობილი იყო თავისი ძალადობით, სიმკაცრით და მრავალრიცხოვანი აგენტურული ქსელებით. ის აკვირდებოდა რევოლუციური ჯგუფებს როგორც რუსეთის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ. **„ოხრანა"** ხშირად იყენებდა პროვოკატორებს და ორმაგ აგენტებს, რომლებიც მოკლევადიან პერსპექტივაში წარმატებისთვის მიმართავდნენ სხვადასხვა ძალადობრივ და უსამართლო მეთოდებს თავისი

[50] https://www.mi5.gov.uk/about-us/director-general/former-directors-general/major-general-sir-vernon-kell
[51] https://www.english-heritage.org.uk/visit/blue-plaques/mansfield-cumming/

ინტერესებისთვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა საზოგადოების რადიკალიზაციას და მოსახლეობაში რევოლუციურ მისწრაფებებს.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ევროპის ქვეყნები პირველ მსოფლიო ომს, მით უფრო იზრდებოდა დაზვერვის როლი მათი უსაფრთხოების და თავდაცვის სისტემის დაგეგმვაში. **დაზვერვა იქცა ევროპის ქვეყნების შეიარაღების მნიშვნელოვან ნაწილად.** სახელმწიფოთა მზადება შესაძლო ომისთვის მოითხოვდა პოტენციურ მოწინააღმდეგეთა მობილიზაციის, ფლოტის რიცხოვნობის და განლაგების, ასევე სამხედრო მრეწველობის შესაძლებლობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაციის შეგროვებას.

რუკები, რკინიგზის მოძრაობის სქემები, სამგზავრო განრიგები და ინდუსტრიული მონაცემები იქცა ისეთივე ღირებულ რესურსებად, როგორც ჯარისკაცების რაოდენობა და სამხედრო ტექნიკა. დაზვერვის ოფიცრებს ევალებოდათ პოტენციური მოწინააღმდეგის ლოგისტიკური ინფორმაციის შეგროვება, რასაც ისინი ჟურნალისტების ან უბრალო ტურისტების საფარქვეშ ახორციელებდნენ. ამ პერიოდში ცენტრალურ ფიგურად იქცა სამხედრო ატაშეს პოზიცია, რომელსაც დიპლომატიური საქმიანობის გარდა, სადაზვერვო ფუნქციებიც ებარა.

კიდევ ერთი გარდამტეხი გარემოება გახდა კოდებისა და შიფრების სისტემებზე დამოკიდებულება. უსაფრთხო კომუნიკაცია გახდა ევროპული ქვეყნების სტრატეგიული საჭიროება, რამაც ხელი შეუწყო **ტექნოლოგიური დაზვერვის (SIGINT)** განვითარებასა და ინსტიტუციონალიზაციას. ბრიტანეთმა და გერმანიამ დაიწყო კომპლექსური კოდირების სისტემების განვითარება. მალე კოდების გატეხვა და კომუნიკაციის გადაჭერა ევროპული ქვეყნების სამხედრო დოქტრინების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ევროპის ფარგლებს გარეთ, დაზვერვას მნიშვნელოვანი როლი ეკავა იმპერიების

მართვაში. კოლონიებში დაზვერვა გახდა კონტროლის მექანიზმი, რომელიც გამოიყენებოდა მეამბოხე ძალებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თვალთვალისთვის. ბრიტანეთის იმპერია ინდოეთში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ძირითადად ეყრდნობოდა პოლიტიკურ ოფიცრებსა და ადგილობრივ მზვერავებს. აღნიშნულ კოლონიებში სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება ფოკუსირებული იყო ტომების ლოიალურობაზე და მათ კავშირებზე, წინააღმდეგობრივ მოძრაობებზე და რუსული გავლენების შესწავლაზე, განსაკუთრებით ცენტრალური აზიის მიმართულებით.

ბრიტანეთსა და რუსეთს შორის არსებული ბრძოლა ცენტრალური აზიის კონტროლისთვის მოიცავდა კომპლექსურ სადაზვერვო ოპერაციებს. ჯაშუშური ქსელების მიერ მოპოვებული ინფორმაცია აყალიბებდა მათ იმპერიალისტურ და

სამხედრო გეგმებს, განსაკუთრებით ავღანეთთან და სპარსეთის ყურესთან დაკავშირებით.

ანალოგიურად, საფრანგეთი და გერმანია ატარებდნენ სადაზვერვო ოპერაციებს ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც აქტიური იმპერიალისტური დაპირისპირება მიმდინარეობდა. ამ რეგიონებში მეტწილად არ არსებობდა ზღვარი დაზვერვასა და მმართველობას შორის, რადგან მმართველობითი რგოლი ძირითადად დაკომპლექტებული იყო დაზვერვის ოფიცრებით.

1914 წლისთვის, თანამედროვე სადაზვერვო მიდგომების, კულტურის და სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული იყო. სადაზვერვო საზოგადოება სრულად გარდაიქმნა არაოფიციალური ჯაშუშ ბიუროკრატიულ უწყებებად, რომლებიც ინტეგრირებულები იყვნენ სახელმწიფო სტრუქტურებში. სადაზვერვო სამსახურების მიმართ ცილისწამებებისა და გამოწვევების მიუხედავად, დაზვერვა და კონტრ-დაზვერვა გახდა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების საკვანძო ნაწილი.

1914 წელს **ფრანც ფერდინანდის მკვლელობამ**[52] გამოაშკარავა სპეცსამსახურების ბევრი ნაკლოვანება. ევროპული ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების სწრაფი განვითარების მიუხედავად, ვერც ერთმა ევროპულმა სპეცსამსახურმა ვერ მოახერხა პირველი მსოფლიო ომის მასშტაბების და ზუსტი დროის წინასწარმეტყველება. უფრო მეტიც, ბევრი სადაზვერვო შეფასება კატეგორიულად უარყოფდა ომის შესაძლებლობას.

პირველი მსოფლიო ომი

როდესაც ქვეყნები ჩაერთნენ პირველ მსოფლიო ომში, ისინი არ მოელოდებოდნენ ასეთ ესკალაციას. ეს ომი არ იყო მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტი, ეს ომი წარმოადგენდა იმპერიულ დაპირისპირებას, რომელიც მოიცავდა ეკონომიკურ ომსა და სპეცსამსახურების შორის ბრძოლას. ომის ესკალაციამ გამოიწვია სპეცსამსახურების ჩართულობის გაზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება, რაც გამოიხატებოდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და თითოეული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში სადაზვერვო საქმიანობის შეღწევას.

მიუხედავად იმისა, რომ 20-ე საუკუნის დასაწყისში ევროპულმა ქვეყნებმა დაიწყეს თავისი სპეცსამსახურების ინსტიტუციონალიზაცია და განვითარება, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ისინი მაინც მოუმზადებლები შეხვდნენ. პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო ისეთი სპეცსამსახურების შექმნას და გაძლიერებას, რომლებიც დღესაც აქტიურად მოქმედებენ, ხოლო ინფორმაციის მოპოვების მეთოდების განვითარებამ, ინფორმაციის დაშიფვრის ახალმა მოდელებმა, მტრის შეცდომაში შეყვანის მეთოდებმა, დეზინფორმაციის და პროპაგანდის ოპერაციების წარმოების ინოვაციურმა მიდგომებმა, საფუძველი ჩაუყარა დაზვერვის თანამედროვე პრაქტიკას.

[52] https://guides.loc.gov/chronicling-america-assassination-franz-ferdinand

მიუხედავად იმისა, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ბრიტანეთში უკვე დაფუძნებული



იყო **MI5** და **MI6**, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ომის მსვლელობაში ეფექტური მუშაობისთვის. 1914 წელს დაფუძნდა ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპეცსამსახური **"ოთახი 40" (Room 40**), რომელიც დაკომპლექტებული იყო კრიპტო-ანალიტიკოსებით და მოქმედებდა ადმირალიტეტის დაქვემდებარებაში. „ოთახი 40"-ის მთავარ მიზანს წარმოადგენდა გერმანელების საზღვაო და დიპლომატიური კომუნიკაციის გადაჭერა და მისი გაშიფვრა.

„ოთახი 40"-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენდა "**ციმერმანის ქეისი**. კერძოდ, 1916 წლის მიწურულს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა - **არტურ ციმერმანმა**[53] მექსიკაში გერმანიის ელჩს გაუგზავნა ტელეგრამა, რომელშიც გერმანია მექსიკას სთავაზობდა აშშ-ს თან ომის დაწყებას იმ შემთხვევაში, თუ აშშ ჩაერთვებოდა პირველ მსოფლიო ომში. სანაცვლოდ, გერმანია სთავაზობდა მექსიკას 1846-1848 წლებში მექსიკის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, რომელიც აშშ-ს დაქვემდებარებაში იყო. „ოთახი 40"-ის წარმატებული მუშაობის შედეგად, აღნიშნული ტელეგრამა ბრიტანელების ხელში აღმოჩნდა, რომელიც მათ გადასცეს ამერიკელებს. შემდგომში, ამერიკელებმა ის გამოიყენეს ანტანტის მხარდაჭერისა და პირველ მსოფლიო ომში ჩართვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. ეს ოპერაცია ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ ოპერაციად პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, „ოთახი 40" გაუქმდა, ხოლო მისი ფუნქციები შეითავსა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების შესაბამისმა სადაზვერვო ქვედანაყოფმა. საბოლოოდ, მეორე მსოფლიო ომის დროს, ეს ქვედანაყოფი გაძლიერდა და ჩამოყალიბდა როგორც **ბრიტანეთის სამთავრობო კომუნიკაციის შტაბი (Government Communications Headquarters - GCHQ)**, რომელიც დღესაც წარმოადგენს ბრიტანეთს ერთ-ერთ საკვანძო სპეცსამსახურს.


WESTERN UNION
TELEGRAM

პირველი მსოფლიო ომი წარუმატებელი და ჩავარდნებით სავსე აღმოჩნდა გერმანული სპეცსამსახურებისთვის. საომარ ოპერაციებში ჩართული იყო გერმანიის გენერალური შტაბის "**Abteilung III B"** , რომელიც ახორციელებდა სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო ღონისძიებებს და **„Kriegsnachrichtenwesen (KNW)"**, რომელიც საბრძოლო ველზე მიმდინარე სადაზვერვო ღონისძიებებზე უშუალო პასუხისმგებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიას ომამდე გააჩნდა ძლიერი

[53] https://www.britannica.com/biography/Arthur-Zimmermann

აგენტურული ქსელი მთელს ევროპაში, ომის დროს დაზვერვა აღმოჩნდა არაერთი გამოწვევის წინაშე, რაც გამოიხატებოდა მოწინააღმდეგის შესაძლებლობების და გადაწყვეტილებების არასწორ შეფასებაში, ჯაშუშებს არაეფექტურ გამოყენებასა და სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურებს შორის სუსტ კოორდინაციაში.

გერმანული ჯაშუშური ქსელები საფრანგეთის და ბრიტანეთის ტერიტორიაზე იყენებდნენ ძველებურ და პრიმიტიულ სადაზვერვო მეთოდებს, რაც გამოიხატებოდა სიბნელეში სინათლის სიგნალების გადაცემასა და მარტივ კოდირების სისტემებში. შედეგად, პრიმიტიული და არაეფექტური სადაზვერვო ღონისძიებების შედეგად, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ომის დაწყებიდან მცირე ხანში ფაქტობრივად სრული გერმანული ჯაშუშური ქსელების განეიტრალება მოახერხეს თავიანთი ქვეყნების ტერიტორიებზე.

გერმანიის დაზვერვის ჩავარდნის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს **მატა ჰარის** ქეისი, რომელიც გახდა პირველი მსოფლიო ომის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორ გამოიყენებოდა გენდერი, ინტრიგები და პროპაგანდა სადაზვერვო საქმიანობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანელებმა გადაიბირეს ჰოლანდიელი ეგზოტიკური ცეკვების მოცეკვავე მატა ჰარი, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ფრანგი გენერლების შეცდენა, მათთან კავშირის დამყარება და ამ გზით სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება. საბოლოო ჯამში, 1917 წელს ფრანგებმა მოახდინეს მატა ჰარის ლუსტრაცია და სიკვდილით დასაჯეს გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით.

მიუხედავად იმისა, რომ „დრეიფუსის ქეისის“ შემდეგ საფრანგეთის დაზვერვის რეპუტაცია და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შესუსტდა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ფრანგულმა დაზვერვამ მოახერხა მნიშვნელოვანი განვითარება. 1915 წელს შეიქმნა კონტრ-დაზვერვაზე პასუხიმგებელი სამსახური **Section de Centralisation du Renseignement**, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ჯაშუშების გამოვლენა სამოქალაქო პირებსა და სამხედროებში. ფრანგები ახორციელებდნენ აგრესიულ კონტრ-სადაზვერვო ღონისძიებებს. მათ ეჭვის საფუძველზე დააკავეს ათასობით ადამიანი, თუმცა ბევრი ექსპერტის შეფასებით, ადამიანების დაკავება ხშირად უსაფუძვლო იყო და ემსახურებოდა ჯაშუშობის პრევენციის მიზნით მოსახლეობის დაშინებას.

ფრანგი მზვერავები წარმატებით მოქმედებდნენ ქვეყნის გარეთ, ძირითადად ისეთ ნეიტრალურ ქვეყნებში, როგორებიც იყო შვეიცარია და ესპანეთი. ისინი აგროვებდნენ ინფორმაციას და ახორციელებდნენ შეღწევას ადგილსამყოფელ ქვეყნებში არსებულ გერმანიის საკონსულოებში. მიუხედავად ამისა, ფრანგებისთვის მთავარი გამოწვევას წარმოადგენდა ბიუროკრატია და მოკავშირეებთან - ბრიტანეთთან და რუსეთთან დაბალი სადაზვერვო კოორდინაცია.

პირველმა მსოფლიო ომმა გავლენა მოახდინა რუსეთის სადაზვერვო საზოგადოებაზეც. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის იმპერიის მთავარ სპეცსამსახურს წარმოადგენდა **„ოხრანა“**, რომელიც ითავსებდა სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო ფუნქციებს და ახდენდა რევოლუციონერებისა და

დისიდენტების დევნას. ომის მსვლელობისას რუსული დაზვერვა მნიშვნელოვნად დაზარალდა, რისი მიზეზი გახდა ქაოტური ბიუროკრატია, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და შიდა არეულობები. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რაც გამოიხატებოდა გერმანული და ავსტრო-უნგრული სამხედრო კომუნიკაციის გადაჭერასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე წინააღმდეგობრივ ოპერაციებში, მისი ეფექტურობა მაინც შეზღუდული რჩებოდა და ხშირ შემთხვევაში დამოკიდებული იყო ბრიტანეთის და საფრანგეთის სადაზვერვო ინფორმაციაზე. 1917 ოქტომბრის რევოლუციამ საბოლოოდ გაანადგურა მეფის რუსეთის სადაზვერვო სისტემა. რუსეთში ვლადიმერ ლენინის მოსვლის შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი უშიშროების სამსახური **„ჩეკა“ (ЧК),** რომელმაც საბოლოოდ ჩაანაცვლა „ოხრანა“.

ანტანტას[54] ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე - ავსტრო-უნგრეთი ახორციელებდა თავის სადაზვერვო საქმიანობას **ავსტრიის იმპერიის უძველესი სპეცსამსახურის** - **Evidenzbureau**- ს მეშვეობით. მიუხედავად ხანგრძლივი ისტორიისა, ეს იყო ძალიან სუსტი სპეცსამსახური, რომელსაც მულტი-ეთნიკური იმპერიის ფონზე, უჭირდა სადაზვერვო საქმიანობის განხორციელება, თუმცა ტექნოლოგიურ დაზვერვას ისინი ეფექტურად ახორციელებდნენ. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, მათ პირველებმა მოახერხეს რუსული სამხედრო კოდების გაშიფვრა, რამაც მათ მოუტანა რამდენიმე საბრძოლო წარმატება, მათ შორის 1915 წლის **„გორლიცე-ტარნოვის“** ბრძოლაში.[55]

ავსტრო-უნგრეთის იმპერიის მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა მრავალეთნიკური მოსახლეობა, რომელიც ხშირად ხდებოდა უცხო ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობის და ნაციონალისტური წინააღმდეგობის წყარო. ჩეხი, სლოვაკი და სამხრეთ სლავური ნაციონალისტური ჯგუფები “ანტანტას” მხარდაჭერით შემჩნეულები იყვნენ ჯაშუშობასა და საბოტაჟში. ავსტრო-უნგრული სამხედრო დაზვერვა რესურსების უდიდეს ნაწილს ხარჯავდა შიდა თვალთვალსა და რეპრესიებზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა იმპერიის საგარეო დაზვერვის შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ მხოლოდ 1917 წელს ჩაერთო პირველ მსოფლიო ომში, მან მყისიერად მოახდინა თავისი სამოქალაქო და სამხედრო სადაზვერვო და კონტრ-

[54] https://www.britannica.com/topic/Triple-Entente
[55] https://encyclopedia.1914-1918-online.net/article/offensive-gorlice-tarnow/

სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარება. პირველ ეტაპზე გაფართოვდა **სამხედრო დაზვერვის (MID)** სამსახური და **იუსტიციის დეპარტამენტი (Department of Justice)** ჩაერთო კონტრ-სადაზვერვო აქტივობებში.

აშშ-ს უნიკალურ კონტ-სადაზვერვო სამსახურს წარმოადგენდა "**ამერიკის დაცვის ლიგა (The American Protective League APL)",** რომელიც წარმოადგენდა ნახევრად ფორმალურ მოხალისეთა ჯგუფს და აქტიურად მუშაობდა ფედერალურ



მთავრობასთან. ის ახდენდა საეჭვო პირების, დისიდენტების, ანარქისტების და პრო-გერმანული ჯგუფების იდენტიფიცირებას. მასში დაახლოებით 250 000 ადამიანი ირიცხებოდა, რომლებსაც გააჩნდათ თვალთვალის და დაკითხვის უნარები. მიუხედავად წარმატებებისა, APL-ის საქმიანობა ხშირად ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ ღირებულებებს, რაც გამოიხატებოდა სამოქალაქო თავისუფლების შეზღუდვაში გერმანელი ამერიკელების, პროფკავშირების და ომის მოწინააღმდეგე აქტივისტების მიმართ.

პირველი მსოფლიო ომი გახდა ადრეული პრეცედენტი, რომელშიც აქტიურად გამოიყენებოდა უსადენო კომუნიკაცია, როგორც მთავარი საბრძოლო და სტრატეგიული იარაღი. ომის ყველა მთავარი მონაწილე დიდ რესურსებს დებდა დაშიფრული კომუნიკაციის გადაჭერის და გაშიფვრის ტექნოლოგიების განვითარებაში. სწორედ ეს მიმართულება გახდა სადაზვერვო ღონისძიებების ერთ-ერთი საკვანძო საშუალება.

ამის გარდა, პირველმა მსოფლიო ომმა მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა საჰაერო

დაზვერვის მიმართულებით. მიუხედავად ტექნოლოგიური სირთულეებისა, ომის ისტორიაში პირველად იქნა გამოყენებული ეს სადაზვერვო მეთოდი, რომელშიც იყენებდნენ საჰაერო ბუშტებსა და თვითმფრინავებს. დაზვერვის სამი ძირითადი წყარო - **ადამიანური დაზვერვა (HUMINT), ტექნოლოგიური დაზვერვა (SIGINT) და საჰაერო დაზვერვა (Aerial Reconnaissance)** - პირველად ამ ომში გაერთიანდა და გამოყენებულ იქნა ერთიან სისტემაში, რამაც საფუძველი ჩაუყარა **თანამედროვე სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების ტრიადას.**

პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო თანამედროვე სადაზვერვო კომპონენტების განვითარებას ეროვნული უსაფრთხოების და სამხედრო სტრატეგიებში. ტოტალური ომის ფონზე, სადაზვერვო სამსახურებმა განიცადეს სწრაფი ევოლუცია და მეორე მსოფლიო ომს უფრო განვითარებულები, სტრუქტურირებულები და მომზადებულები შეხვდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დროს მიღებული გაკვეთილები კრიპტოგრაფიის, კონტრდაზვერვისა და სხვადასხვა სადაზვერვო დისციპლინების ინტეგრაციის შესახებ დღემდე მოქმედებს გლობალურ უსაფრთხოების პრაქტიკაზე.

დაზვერვა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური ცვლილებების პერიოდი, რაც გამოიხატებოდა იმპერიების მსხვრევაში, ახალი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებაში, იდეოლოგიების აღზევებასა და ახალი ომებისთვის მზადებაში. სტრატეგიული ბუნდოვანების ფონზე, დაზვერვის და კონტრ-დაზვერვის როლი კიდევ უფრო აქტუალური ხდებოდა. გერმანიის დამარცხების და ვერსალის შეთანხმების გაფორმების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი საერთაშორისო წესრიგი, თუმცა ევროპული სპეცსამსახურები კვლავ აქტიურად მუშაობდნენ და ახდენდნენ ადაპტაციას ახალი საფრთხეების მიმართ, რაც მოიცავდა ბოლშევიზმს, ფაშიზმს და ნაციონალისტური მოძრაობების გაძლიერებას.

რუსეთის რევოლუციის დასრულების შემდეგ, მუშათა კლასი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დაუპირისპირდა კაპიტალიზმსა და ბიზნესმენებს. ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი ცნობილი იყო როგორც „ანარქისტები“. აშშ-შიც გაიზარდა იმიგრანტი ანარქისტების რაოდენობა, რომლებმაც მიიღეს აშშ-ს მოქალაქეობა.

1914 წლიდან რადიკალურმა ანარქისტებმა დაიწყეს აშშ-ში ტერაქტების მოწყობა, რომლებიც გამიზნული იყო სახელმწიფო უწყებებისა და ბიზნეს ორგანიზაციების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ყველაზე **ფატალური ტერაქტი მოხდა 1920 წელს, რომელიც განხორციელდა უოლ სთრითზე.**[56] ტერაქტის დროს დაიღუპა 38, ხოლო 400-მა ადამიანმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

1919 წელს აშშ-ს გენერალურმა პროკურორმა **ალექსანდერ პალმერმა**[57] გადაწყვიტა, რომ ანარქისტებთან ბრძოლა უნდა გადასულიყო ფედერალურ დონეზე. მან გააგრძელა თავის საქმიანობა იუსტიციის დეპარტამენტში არსებულ ნაკლებად ცნობილ საგამოძიებო ბიუროში, რომლის თავდაპირველი ფუნქცია იყო

კრიმინალური შემთხვევების გამოძიება და პროსტიტუციასთან ბრძოლა. სწორედ ამ პერიოდში, პალმერმა აღმოაჩინა **ედგარ ჰუვერი,**[58] იმდროისათვის იუსტიციის დეპარტამენტის ახალგაზრდა იურისტი. პალმერს სჯეროდა, რომ ჰუვერს გააჩნდა ის ძალა, რომლითაც იგი შეძლებდა ანარქისტებთან დაუნდობელ ბრძოლას. 1919 – 1921 წლებში საგამოძიებო ბიუროს იმიგრაციის და ნატურალიზაციის სამსახურმა, ადგილობრივი პოლიციის ქვედანაყოფებთან ერთად ჩაატარეს მრავალი რეიდი, რომლის შედეგად დაპატიმრებულ და დეპორტირებულ იქნა დიდი რაოდენობით ანარქისტი. სწორედ აღნიშნულ პერიოდს ეწოდება ე.წ

[56] https://www.fbi.gov/history/famous-cases/wall-street-bombing-1920
[57] https://www.justice.gov/ag/bio/palmer-alexander-mitchell
[58] https://www.fbi.gov/history/directors/j-edgar-hoover

“პალმერის რეიდები”. პალმერისა და ჰუვერის ერთობლივმა მუშაობამ გაანეიტრალა ანარქისტების აქტიურობა აშშ-ში. საბოლოოდ, 1935 წელს, საგამოძიებო ბიურო გარდაიქმნა დღევანდელ **ფედერალურ საგამოძიებო ბიუროდ (Federal Bureau of Investigation - FBI),** რომელსაც 1972 წლამდე ხელმძღვანელობდა ედგარ ჰუვერი;

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აშშ მიხვდა, რომ მას ესაჭიროებოდა თავისი სადაზვერვო შესაძლებლობების გაზრდა. იმდროისათვის აშშ-ს უკვე შეეძლო



დიპლომატიური კომუნიკაციის გადაფარვა, თუმცა პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ კომუნიკაციის ძირითადი ნაწილი დაშიფრული იყო. ამ მხრივ, აშშ-მ ჩამოაყალიბა კრიპტოგრაფიის ბიურო, რომელსაც ასევე უწოდებდნენ **„შავ ოთახს“.** მათ მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა უცხოური დიპლომატიური წარმომადგენლობების კოდირებული კომუნიკაციის გატეხვა. მიუხედავად წარმატებული საქმიანობისა, შავი ოთახი გაუქმდა 1929 წელს სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მიერ, რომლის აზრითაც **„ნამდვილი ჯენტლმენები სხვის წერილებს არ კითხულობენ“.**

ამერიკის პარალელურად, დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სტრუქტურამ განიცადა მნიშვნელოვანი გადახალისება. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ **MI5 და MI6 -ს** დაფინანსება და პირადი შემადგენლობა საგრძნობლად შემცირდა, რაც გამოწვეული იყო მშვიდობიანი მსოფლიოს აღქმის გამო. 1920-იანი წლების დასაწყისისთვის, ორივე უწყების პრიორიტეტი შეიცვალა და ყურადღება გამახვილდა 2 ძირითად საფრთხეზე: ეს იყო **კომუნიზმი** და **რევანშისტული ნაციონალიზმი,** რომლის წყარო იყო გერმანია და საბჭოთა კავშირი.

1920-იან წლებში, MI6 ის მთავარი პრიორიტეტი იყო **„კომინტერნის“** *(კომუნისტური ინტერნაციონალი, ორგანიზაცია, რომელიც 1919-1943 წლებში აერთიანებდა კომუნისტურ პარტიებს სხვადასხვა ქვეყანაში და ცდილობდა მსოფლიოში რევოლუციების ექსპორტს)* საქმიანობის მონიტორინგი. ბრიტანელი მზვერავები, ხშირად ევროპისა და აზიის მოკავშირე სპეცსამსახურებთან ერთად აწარმოებდნენ კომუნიკაციების გადაჭერას, უცხო ქვეყნის ჯაშუშების გადაბირებას და ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიაზე უთვალთვალებდნენ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ეჭვმიტანილ ჯაშუშებს. ბრიტანეთის და ინდოეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობის შედეგად წარმატებით იქნა ჩახშობილი ე.წ. **„ფეშავარის შეთქმულება“,** რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის ჩართულობით, ბრიტანეთის ინდოეთში ანტი-კოლონიური აჯანყების ორგანიზება 1924 წელს.

რაც შეეხება კონტრ-დაზვერვით მიმართულებას, მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ერთ-ერთი წარმატებული სპეცოპერაცია უკავშირდება ზინოვიევის 1924 წლის წერილს. 1924 წელს, ბრიტანეთის წინასაარჩევნო პერიოდში, კომინტერნის თავმჯდომარემ - **გრიგორი ზინოვიევმა**[59] გაუგზავნა **ბრიტანულ კომუნისტურ პარტიას**[60] დირექტივა, რომელიც მათ თხოვდა ბრიტანეთის ტერიტორიაზე გააქტიურებას და კომუნიზმის აგიტაციას. ზინოვიევის შეფასებით, ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის მმართველობის შემთხვევაში ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების ნორმალიზებას შეეძლო გამოეწვია მუშათა კლასის რადიკალიზაცია, რაც კარგ პოზიციაში ჩააყენებდა ბრიტანეთის კომუნისტურ პარტიას და შესაძლებელი გახდებოდა ბრიტანეთში ბოლშევიკური რევოლუციის მოწყობა. სწორედ ამ წერილის გაჟონვამ ხელი შეუწყო 1924 წლის ბრიტანეთის არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის დამარცხებას. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით მიჩნეულ იყო, რომ არჩევნებში მოხდა ჩარევები და გაყალბება, ამ ფაქტმა მოიტანა ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ გამოიყენებოდა დაზვერვა პოლიტიკური მიზნებისთვის და გამოაშკარავა ანტი-კომუნისტური განწყობები ბრიტანეთის სადაზვერვო წრეებში.

რუსეთის რევოლუციების შემდეგ, საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებმა დაიწყეს სწრაფი განვითარება. **„ოხრანა“** ჩაანაცვლა **„ჩეკამ“**, ხოლო 1922 წელს ჩამოყალიბდა **სახელმწიფო პოლიტიკური დირექტორატი,** რომელიც 1923 წლიდან 1934 წლამდე გარდაიქმნა როგორც **ერთიან სახელმწიფო პოლიტიკურ დირექტორატად**, ხოლო 1934 წლიდან დირექტორატი გახდა **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (Народный комиссариат внутренних дел - НКВД)-ს** ნაწილი. აღნიშნული სპეცსამსახურის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის დაცვა შინაგანი მტრებისგან - კონტრ რევოლუციონერებისგან და გარე საფრთხეებთან, კერძოდ კი კაპიტალიზმთან ბრძოლა.

სამსახურის ერთ-ერთ წარმატებად შეგვიძლია მივიჩნიოთ კონტრ-სადაზვერვო ოპერაცია **„Трест”,** რომელიც მიმდინარეობდა 1921-1927 წლებში. ოპერაცია დაიწყო **„ჩეკა“-ს** ხელმძღვანელობთ, რომელიც წარმატებით გადაიბარა ერთიანმა სახელმწიფო პოლიტიკურმა დირექტორატმა. ოპერაციის დროს შეიქმნა ყალბი ანტი-ბოლშევიკური მიწისქვეშა ორგანიზაცია - **„ცენტრალური რუსეთის მონარქისტული კავშირი“.** ორგანიზაციის მეშვეობით რუსებს შეცდომაში შეყავდათ საფრანგეთის და ბრიტანეთის სადაზვერვო ორგანიზაციები და აწვდიდნენ მათ დეზინფორმაციას, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირში დააბრუნეს ანტისაბჭოთა ემიგრანტები, მათ შორის

[59] https://spartacus-educational.com/RUSzinoviev.htm
[60] https://www.marxists.org/history/international/comintern/sections/britain/history.htm

ბრიტანელი ჯაშუში **სიდნეი რილი**.[61] შედეგად, დაბრუნებული ემიგრანტების ნაწილი დააკავეს, ხოლო მეორე ნაწილი დახვრიტეს. ეს ოპერაცია საბჭოთა კავშირს საზღვარგარეთის სპეცსამსახურებისთვის დეზინფორმაციის მიწოდების საშუალებას აძლევდა, რის შედეგადაც ისინი ახორციელებდნენ ანტი-საბჭოთა ემიგრანტების კონტროლს და მათი გეგმების მონიტორინგს. ეს ოპერაცია ითვლება დაზვერვის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ შეცდომაში შემყვან ოპერაციად.

საბჭოთა კავშირის დაზვერვას მიზანში ყავდა ამოღებული ფაშისტური და ნაციონალისტური მოძრაობები. 1920-იან და 1930-იან წლებში, **საბჭოთა ჯაშუშები წარმატებით ახორციელებდნენ შეღწევის ოპერაციებს ვაიმარის გერმანიაში** და აგროვებდნენ საჭირო ინფორმაციას ნაცისტური პარტიის აღზევების პროცესის შესახებ. ამის გარდა, **НКВД** აქტიურად მუშაობდა **ესპანეთის სამოქალაქო ომის**[62] დროს, სადაც ის ეხმარებოდა რესპუბლიკელებს და ანადგურებდა ტროცკისტულ და ანარქისტული ჯგუფებს.

პირველი მსოფლიო ომისგან მიღებული გაკვეთილების შემდეგ, გერმანიამ დაიწყო თავისი სპეცსამსახურების გაძლიერების პროცესი. "**ვერსალის" ხელშეკრულებით** [63] გერმანიას მკაცრად შეეზღუდა სამხედრო და სადაზვერვო შესაძლებლობების გაძლიერება. მიუხედავად ამისა, მან ფარულად დაიწყო დაზვერვის და კონტრდაზვერვის მიმართულებით განვითარება. 1921 წელს, გერმანიის თავდაცვის სამინისტროში აღდგა სამხედრო **დაზვერვის სამსახური სახელად „აბვერი - Abwehr"** რომელიც მომავალში გახდა გერმანიის სამხედრო დაზვერვის ცენტრალური ორგანო. ამის გარდა, **"რაფალოს შეთანხმების"**[64] ფარგლებში, გერმანია ფარულად თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირთან ისეთი მიმართულებებით, როგორიც იყო ავიაციის განვითარება და სატანკო მომზადება. 1922 წლიდან, გერმანელი ოფიცრები ფარულად გადიოდნენ წვრთნებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რაც ორივე სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის გაძლიერების საშუალებას აძლევდა.



1933 წელს, **ნაცისტური პარტიის** გამარჯვების შემდეგ, გერმანიის დაზვერვის სამსახურები კიდევ უფრო გაფართოვდნენ. "აბვერი" ფორმალურად დარჩა დამოუკიდებელ სპეცსამსახურად, თუმცა მას თანდათან ჩრდილავდა ჰიმლერის მეთაურობით არსებული **„SS",** რომელშიც შედიოდა **„გესტაპო"** და **ფიურერის უსაფრთხოების სამსახური "SD"**. 1930-იანი წლების ბოლოს, SD გახდა წამყვანი ძალა როგორც საშინაო, ისე საგარეო დაზვერვაში. SD აქტიურად აგროვებდა ინფორმაციას პოლიტიკურ მტრებზე და სამიზნე ქვეყნებზე (ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი) შემდგომი დაპყრობისთვის. გერმანული

[61] https://www.britannica.com/biography/Sidney-George-Reilly
[62] http://britannica.com/event/Spanish-Civil-War
[63] https://www.britannica.com/event/Treaty-of-Versailles-1919
[64] https://www.prlib.ru/en/history/619171

სპეცსამსახურები აქტიურად იყვნენ ჩართულები 1938 წელს **ანშლუსის**[65] და **სუდეტის კრიზისის**[66] დროს, რაც გამოიხატებოდა მასობრივი თვალთვალისა და პროპაგანდის ოპერაციებით.

გერმანიის გააქტიურების ფონზე, ფრანგულმა **Deuxième Bureau**-მ 1920-1930-იანი წლებიდან ყურადღება გადაიტანა გერმანიის და იტალიურ-საბჭოთა აქტივობების მიმართულებით. საფრანგეთის დაზვერვამ მოახერხა აღმოსავლეთ ევროპაში ძლიერი აგენტურული ქსელის ჩამოყალიბება, მათ შორის პოლონეთში, რუმინეთსა და იუგოსლავიაში, რომელიც მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ ალიანსის გაძლიერებისკენ.

1930-წლებიდან, ფრანგული დაზვერვა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც იდენტიფიცირება გაუკეთა საბჭოთა კავშირის აგენტურული ქსელის აქტივობებს ევროპაში, რომელსაც მოგვიანებით **„წითელი ორკესტრი“** ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქსელი სრულად ამოქმედდა მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის დაზვერვა 1937 წლიდან ახდენდა ამ ქსელის წევრებზე დაკვირვებას და მათი გზავნილებისა და კომუნიკაციის გადაჭერას. საფრანგეთში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა, მთავრობების ხშირი ცვლილებები და კოორდინაციის პრობლემები ძალოვან უწყებებს შორის, ხელს უშლიდა ეფექტურ სტრატეგიულ დაგეგმვას და ხშირად ფრანგული დაზვერვა მეტად ფოკუსირებული იყო ტაქტიკურ, ვიდრე სტრატეგიულ დაზვერვაზე.

ნაციზმის და ფაშიზმის აღზევების ფონზე, იტალია აძლიერებდა ქვეყანაში კონტროლს და რეპრესიებს. **ბენიტო მუსოლინის** პერიოდში, იტალიაში შეიქმნა თანამედროვე პოლიციური დაზვერვის სისტემა, რომელიც მიმართული იყო აჯანყებების და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების ჩასახშობად, ასევე, როგორც მკაცრი რეპრესიების გასატარებლად. 1927 წელს მუსოლინიმ დააფუძნა ანტისახელმწიფოებრივი გამოხატულების სამეთვალყურეო ორგანო - **ე.წ “OVRA - *Organo di Vigilanza dei Reati Antistatali* ”,** რომლის ძირითადი ფუნქცია იყო კონტრ-სადაზვერვო საქმიანობა და მიმართული იყო შიდა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, გაქცეული იტალიელი მეამბოხეების მონიტორინგის განსახორციელებლად და ანტი-ფაშისტური მოძრაობების გასანადგურებლად. სპეცსამსახურის კონცეფცია ნაწილობრივ ეფუძნებოდა საბჭოთა “**ჩეკას/ НКВД** -ს და გერმანულ “გესტაპოს”. “OVRA”-მ იტალიაში შექმნა მასშტაბური ინფორმატორების ქსელი და იყენებდა ისეთ მეთოდებს, როგორიც იყო მოსმენა/მიყურადება, ანტი-ფაშისტურ ჯგუფებში ინფილტრაცია და თვითნებური დაკავებები.

საგარეო დაზვერვის კუთხით, “OVRA” და სამხედრო დაზვერვა კოორდინირებულად მოქმედებდა ეთიოპიაში, ბალკანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც ხშირ

[65] https://www.bbc.co.uk/bitesize/guides/znxdnrd/revision/4
[66] https://www.theholocaustexplained.org/life-in-nazi-occupied-europe/foreign-policy-and-the-road-to-war/occupation-of-the-sudetenland/

შემთხვევაში ბრიტანეთის და საფრანგეთის სპეცსამსახურების ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდიოდნენ. იტალიელი დაზვერვის ოფიცრები ეხმარებოდნენ ზემოაღნიშნულ რეგიონებში პრო-იტალიურ ჯგუფებს გადატრიალებების მოწყობაში.

მეორე მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად ვითარდებოდა იაპონიის სადაზვერვო სისტემაც, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა ევროპულ ძალებთან. იაპონიის სადაზვერვო სისტემა ძირითადად შედგებოდა შიდა

უსაფრთხოების სააგენტოსგან, - იგივე **სპეციალური უმაღლესი პოლიცია (Tokko)**, რომლის მიზანი იყო კომუნისტებისა და ლიბერალების შეკავება. ის შედგებოდა სამხედრო/საზღვაო სადაზვერვო ბიუროებისგან, რომლებიც მიმართულები იყვნენ მანჯურიაში, ჩინეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში ექსპანსიურ ამოცანებზე. იაპონური დაზვერვა აგროვებდა ინფორმაციას ევროპული წყაროებიდან და მჭიდროდ თანამშრომლობდა გერმანიის და იტალიის სპეცსამსახურებთან. განსაკუთრებით ძლიერი და თვალსაჩინო გახდა ეს თანამშრომლობა ანტი-კომინტერნის შეთანხმების (1938) წლის შემდეგ, როდესაც იტალიამ, გერმანიამ და იაპონიამ დაიწყეს საბჭოთა კავშირის მოქმედებების ერთობლივი მონიტორინგი და აზიაში არსებული ბრიტანული და ფრანგული კოლონიების შესახებ ინფორმაციის გაზიარება.

პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა პოლიტიკური დევნილების და დიასპორების მონიტორინგს. გერმანია ყურადღებას უთმობდა საზღვარგარეთ არსებულ ანტი-ფაშისტურ მოძრაობებს, საბჭოთა კავშირი აკვირდებოდა საზღვარგარეთ მოქმედ ანტი-რევოლუციონისტურ ჯგუფებს, ხოლო ბრიტანეთი და საფრანგეთი ახდენდა თავიანთ კოლონიებში არსებული მეამბოხე ჯგუფების იდენტიფიცირებას და განეიტრალებას. ასევე, პირველი მსოფლიო ომის ანალოგიურად, ვითარდებოდა კრიპტოგრაფიის და რადიო სიგნალების გადაჭერის ხელოვნება.

ომებს შორის პერიოდი არ გამოირჩეოდა სადაზვერვო სფეროს განსაკუთრებული ტრანსფორმაციით. ის მეტად ორიენტირებული იყო მეორე მსოფლიო ომისთვის სტრატეგიული მომზადების პერიოდზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურების დაფინანსებები შემცირდა, მათ მაინც შეძლეს თავიანთი დაზვერვის შესაძლებლობების შენარჩუნება და გაფართოება.

მეორე მსოფლიო ომი

მეორე მსოფლიო ომი გახდა გარდამტეხი პერიოდი თანამედროვე სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობის განვითარებაში. ომში, რომელიც მოიცავდა კონტინენტებს და სამხედრო და მშვიდობიანი მოსახლეობის მობილიზაციას, ინფორმაციის შეგროვება და მანიპულირება, ანალიზი და სადაზვერვო ღონისძიებები ისეთივე მნიშვნელოვანი იყო გამარჯვებისთვის, როგორც ჯარები, ტანკები,

სამხედრო გემები და ავიაცია. ომის პერიოდში განხორციელდა სპეცსამსახურების ინსტიტუციონალიზაციის ახალი ტალღა, სადაზვერვო ღონისძიებების დახვეწა, კრიპტოგრაფიის ახალ საფეხურზე გადასვლა და კონტრ-სადაზვერვო ოპერაციების გაფართოება.

მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სადაზვერვო მიღწევა იყო პროექტი **„ულტრა“**, რომელიც განახორციელა დიდმა ბრიტანეთმა. ბრიტანელებმა შეძლეს გერმანული კრიპტომანქანის **„ენიგმა“**-ს დაშიფრული შეტყობინებების გატეხვა. ეს ოპერაცია ხორციელდებოდა **“ბლეტჩლი პარკში”,** რომელშიც ჩართულები იყვნენ მათემატიკოსების, ენათმეცნიერების და ინჟინრების ჯგუფი, მათ შორის ცნობილი **ალან ტურინგი**.[67] მათ შეიმუშავეს სპეციალური მოწყობილობები და ტექნიკა, რომელიც ახდენდა გერმანული დაშიფრული შეტყობინებების გატეხვას.

პროექტმა „ულტრა“-მ დიდი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაზე. იგი აგროვებდა კრიტიკულ ინფორმაციას გერმანული ჯარების გადაადგილების, წყალქვეშა გემების განლაგებისა და ავიაციის გეგმების შესახებ. აღნიშნულმა ინფორმაციამ გამარჯვება მოუტანა ბრიტანეთის საჰაერო ძალებს **„ბრიტანეთის ბრძოლაში“**[68] 1940 წელს, ასევე, ატლანტიკის ოკეანეში ბრიტანელები ეფექტურად ანადგურებდნენ გერმანულ წყალქვეშა გემებს **(U-BOAT**).[69] ამის გარდა, “ულტრა”-ს ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოკავშირეებმა, 1944 წელს, **“დ-დღის (D-Day)”**[70] სადესანტო ღონისძიების დაწყებამდე, მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია გერმანიის ჯარების განლაგების შესახებ.



მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ბრიტანულმა **MI5-მა** განავითარა კონტრ-დაზვერვის **ე.წ ჯვარედინა (ორმაგი ჯაშუშის) სისტემა**, კერძოდ, გერმანელი ჯაშუშების დაკავებისას, მათ სთავაზობდნენ კონკრეტულ არჩევანს: ან ისინი დაისჯებოდნენ სიკვდილით, ან დაიწყებდნენ თანამშრომლობას ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურთან. ძირითად შემთხვევებში გერმანელები თანხმდებოდნენ ორმაგ ჯაშუშობაზე. ჯვარედინა სისტემით მოხდა არაერთი გერმანელი ჯაშუშის გადაბირება და მათი მეშვეობით „აბვერისთვის“ დეზინფორმაციის მიწოდება, რის შედეგადაც გერმანელები შეცდომაში შედიოდნენ მოკავშირეების გეგმებთან დაკავშირებით.

ჯვარედინა სისტემა გადამწყვეტი აღმოჩნდა „დ-დღის“ განხორციელებაში. მოკავშირეებმა ორმაგი ჯაშუშების დახმარებით შეძლეს გერმანელების დარწმუნება, რომ მოკავშირეების შემოჭრა განხორციელდებოდა პა-დე-კალეში და არა

[67] https://www.biography.com/scientists/alan-turing
[68] https://www.britannica.com/event/Battle-of-Britain-European-history-1940
[69] https://www.britannica.com/technology/U-boat
[70] https://www.history.com/articles/d-day

ნორმანდიაში, რამაც გამოიწვია გერმანიის ჯარების შეფერხება. ეს ოპერაცია ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორც შეეძლო კონტრ-დაზვერვას და მათ დეზინფორმაციულ სტრატეგიას ბრძოლის ველზე გარდატეხის შეტანა.

ამავდროულად, 1940 წელს, უინსტონ ჩერჩილის დავალებით შეიქმნა **ბრიტანეთის სპეციალური ოპერაციების სამსახური (Special Operations Executive SOE),** რომლის ამოცანას წარმოადგენდა გერმანელების მიერ ოკუპირებული ევროპის ქვეყნებში საბოტაჟის, დივერსიების და მოტყუების ოპერაციების განხორციელება და სხვადასხვა იატაკქვეშა და წინააღმდეგობის მოძრაობების დახმარება. „SOE“ შედგებოდა დაახლოებით 13 000 ადამიანისგან, საიდანაც 3 200 ქალი იყო.

ბრიტანელების მიერ გერმანელი ჯაშუშების გადაბირების ფონზე, გერმანული „აბვერის“ შესაძლებლობები, რომელსაც ხელმძღვანელობდა **ადმირალი უილჰემ კანარისი**,[71] ეტაპობრივად სუსტდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად “აბვერი” ეფექტურად ახორციელებდა სადაზვერვო ღონისძიებებს მთელს ევროპაში, ქვეყნის შიგნით ის იყო არაეფექტური და დაძაბულობა ქონდა “SS”-ის დაქვემდებარებაში მყოფ “SD”-სთან, რომელსაც **რეინჰარდ ჰეიდრიჰი**[72] ხელმძღვანელობდა.

უწყებათაშორის დაპირისპირების, ცუდი კოორდინაციის და მოკავშირეთა მიერ ეფექტური კონტრ-სადაზვერვო მუშაობის გამო აბვერის ეფექტურობა სწრაფად უარესდებოდა. აბვერის მრავალი აგენტი იდენტიფიცირებული და ხშირ შემთხვევებში გადაბირებული იყო ბრიტანეთისა და სხვა მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ. თავად კანარისი იმედგაცრუებული იყო ჰიტლერის რეჟიმით და მოგვიანებით, ის ჩაერთო 1944 წელს ჰიტლერის მკვლელობის შეთქმულებაში.

ოკუპირებულ ევროპაში ნაცისტური კონტრ-დაზვერვა ძირითადად დამოკიდებული

იყო **“გესტაპოზე”,** რომელიც სასტიკ მეთოდებს იყენებდა წინააღმდეგობის ჩასახშობად და მოკავშირეთა ჯაშუშების გამოსავლენად. მიუხედავად გესტაპოს სისასტიკისა, წინააღმდეგობის მოძრაობები ხშირად ახერხებდნენ მოკავშირეების კრიტიკული სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფას. მაგალითისთვის, საფრანგეთის წინააღმდეგობამ და “SOE”-ს აგენტებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს გერმანული ინფრასტრუქტურის საბოტაჟსა და ინფორმაციის შეგროვებაში “დ-დღის” ოპერაციამდე და მის შემდგომ.

გერმანიის დაზვერვას უჭირდა მოკავშირეების სამხედრო ხელმძღვანელობასა და დაგეგმვის სამსახურებში შეღწევა. ეს განპირობებული იყო მოკავშირეების მიერ წარმატებული მოტყუების კამპანიებით, რომელიც ცნობილი იყო როგორც ოპერაცია

[71] https://www.britannica.com/biography/Wilhelm-Canaris
[72] https://encyclopedia.ushmm.org/content/en/article/reinhard-heydrich-in-depth

„მცველი“ (Bodyguard). ის მოიცავდა მრავალ მიკრო ოპერაციას, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანელების შეცდომაში შეყვანას დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა შეჭრის ადგილის, დროისა და ჯარების რაოდენობის შესახებ. მოკავშირეები კვებავდნენ გერმანელებს ცრუ ინფორმაციით, რაც მოიცავდა ორმაგი ჯაშუშების მიერ გავრცელებულ დეზინფორმაციას, ყალბ რადიო გზავნილებს და სათამაშო სამხედრო აღჭურვილობას. გერმანელები იმ დონემდე შევიდნენ შეცდომაში, რომ ნორმანდიაში დესანტის გადმოსვლის შემდგომ რამდენიმე კვირის განმავლობაში, **გერმანული “პანცერების”**[73] ქვედანაყოფი ელოდებოდა ახალ წარმოსახვით თავდასხმას, რომლის შესახებაც გერმანელებს მიეწოდათ დეზინფორმაცია. აღნიშნული ფაქტები ნათლად ასახავს გერმანიის სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო ჩავარდნებს მეორე მსოფლიო ომის დროს, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ნაცისტური გერმანიის დამარცხებაში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების ჯაშუშები ღრმად აღწევდნენ მტრის ზურგში და ხშირად მოქმედებდნენ დასავლელ მოკავშირეთა სახელმწიფოებშიც კი. სტალინის საიდუმლო პოლიცია “ **НКВД** ” ორმაგი ფუნქციებს ითავსებდა. ერთი მხრივ, სამსახური ახორციელებდა შიდა რეპრესიებს, ხოლო მეორე მხრივ ახორციელებდა კონტრ-სადაზვერვო ღონისძიებებს ომის დროს. 1930 იან წლებში **НКВД** -მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წითელი არმიის ოფიცერთა კორპუსის გასუფთავებაში, რამაც დაასუსტა საბჭოთა კავშირის სამხედრო შესაძლებლობები, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს **НКВД** -მ გააფართოვა თავისი სადაზვერვო შესაძლებლობები, რაც მოიცავდა ფრონტის წინა ხაზზე ინფორმაციის შეგროვებას, პარტიზანების კოორდინაციას და პოტენციური მოღალატეების მონიტორინგს.

1943 წელს **НКВД**-ში შეიქმნა სპეციალური ქვედანაყოფები **(СМЕРШ - სიკვდილი ჯაშუშებს**), რომლებიც სპეციალიზებული იყვნენ კონტრ-დაზვერვის მიმართულებაზე. “СМЕРШ”-ი მოქმედებდა ფრონტის უკანა ხაზებზე, სადაც ის ახდენდა დეზერტირების, გერმანელი ჯაშუშების და არასანდო პიროვნებების განადგურებას. ისინი ახორციელებდნენ ტყვეობიდან დაბრუნებული საბჭოთა ჯარისკაცების შესწავლას და ერთგულებაზე შემოწმებას იმისთვის, რომ თავიდან აეცილებინათ გერმანელების შეღწევა საბჭოთა კავშირის ჯარში გადაბირებული ჯარისკაცების საშუალებით.

[73] https://www.britannica.com/technology/panzer

ომის დროს საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვა ეფექტურად ახორციელებდა ღონისძიებებს დასავლეთ ევროპასა და სხვა ქვეყნებში. რუსების ერთ-ერთი წარმატებული ჯაშუში იყო **რიჩარდ სორჯი,**[74] რომელიც მოქმედებდა ტოკიოში. მისი მუშაობის შედეგად საბჭოთა კავშირმა მოიპოვა ზუსტი ინფორმაცია ნაცისტების მიერ

საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შესახებ **(ოპერაცია ბარბაროსა)**.[75] ასევე, მან დაარწმუნა სტალინი, რომ იაპონია არ გეგმავდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმას, რის შედეგადაც სტალინმა მოახდინა შორეული აღმოსავლეთიდან ჯარების დისლოკაცია გერმანელებთან ბრძოლის ფრონტისკენ და მნიშვნელოვნად გააძლიერა საბჭოთა ჯარი ევროპულ ფრონტზე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირი მჭიდროდ თანამშრომლობდა ანტი-ნაცისტურ კოალიციასთან, რუსული სპეცსამსახურები მაინც ახორციელებდნენ სადაზვერვო ღონისძიებებს მათ წინააღმდეგ, რისი ნათელი მაგალითია **ე.წ „კემბრიჯის ხუთეული“.** 1930 წლიდან, დაახლოებით 20 წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში არსებული საბჭოთა აგენტურული ქსელი, რომლის წარმომადგენლები იკავებდნენ მნიშვნელოვან თანამდებობებს ბრიტანეთის მთავრობაში, რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას საბჭოთა კავშირს ბრიტანეთის სამხედრო გეგმების, პოლიტიკური გარემოს და ბირთვული იარაღის შექმნის პროცესთან დაკავშირებით. საბოლოდ, მოხერხდა აღნიშნული ქსელის იდენტიფიცირება, თუმცა არც ერთი ჯაშუში არ იქნა პასუხისგებაში მიცემული. საბჭოთა დაზვერვამ ასევე მოიპოვა საიდუმლო ინფორმაცია აშშ-ში ატომური ბომბის პროგრამის შესახებ. **„მანჰეტენის პროექტი“**[76] კომპრომეტირებული იყო საბჭოთა ჯაშუშების მიერ. **კლაუს ფუქსის**[77] მიერ მოპოვებულმა ინფორმაციამ დააჩქარა საბჭოთა ბირთვული განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.



შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო ცენტრალიზებული სადაზვერვო სამსახურების გარეშე. **“პერლ ჰარბორის” თავდასხმამ**[78] რუზველტს კარგად დაანახა ძლიერი სადაზვერვო სამსახურების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში უკვე მოქმედებდა ფედერალური საგამოძიებო ბიურო და სამხედრო დაზვერვა, მათ კოორდინაციის დონე ძალიან დაბალი იყო. ძირითად შემთხვევებში მათ

[74] https://www.britannica.com/biography/Richard-Sorge
[75] https://www.iwm.org.uk/history/what-was-operation-barbarossa
[76] https://www.britannica.com/event/Manhattan-Project
[77] https://ahf.nuclearmuseum.org/ahf/profile/klaus-fuchs/
[78] https://www.nationalww2museum.org/war/topics/pearl-harbor-december-7-1941

შორის არანაირი ინფორმაციის გაცვლა არ მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, 1941 წელს რუზველტმა ჩამოაყალიბა **ინფორმაციის კოორდინატორის თანამდებობა (Office of the Coordinator of Information - COI)**, რომლის მიზანი იყო არსებულ სააგენტოებში სადაზვერვო მიმართულებების ინტეგრირება და ერთმანეთთან კოორდინაციის წახალისება, რაც საკმაოდ რთული ამოცანა იყო. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, 1942 წლისთვის ნათელი გახდა, რომ ინფორმაციის კოორდინატორის თანამდებობა მოითხოვდა გაფართოებას, რადგან ომში გამარჯვებისთვის საჭირო იყო გაცილებთ უფრო ძლიერი სადაზვერვო შესაძლებლობები. შედეგად, ჩამოყალიბდა **სტრატეგიული სერვისების სამსახური** (**Office of Strategic Services – OSS**, შემდგომში **ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო Central Intelligence Agecny - CIA**), **უილიამ დონოვანის**[79] ხელმძღვანელობით. OSS-ის გახდა აშშ-ს პირველი სტრუქტურირებული და ცენტრალიზებული სადაზვერვო სამსახური, რომელშიც დასაქმებული იყო 24 000-მდე თანამშრომელი, ხოლო ოფიციალური დაფინანსება შეადგენდა 10.000.000$, რაც იმ დროისთვის სოლიდურ თანხას წარმოადგენდა. ომის დროს, "OSS"-ი ძირითადად მოქმედებდა ევროპასა და აზიაში, ხოლო სამსახურის თანამშრომლები ჩართულები იყვნენ ყველა ტიპის ოპერაციებში. მათ მოახერხეს არაერთი იატაქვეშა მოძრაობის წვრთნა და აღჭურვა, ჩანერგეს დიდი რაოდენობით ჯაშუშები მტრის ზურგში, აგროვებდნენ კრიტიკულ სადაზვერვო ინფორმაციას გერმანელების სამხედრო შესაძლებლობებისა და შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების შესახებ, ასევე, აწყობდნენ სხვადასხვა სახის დივერსიულ აქტებსა და საბოტაჟს. "OSS"-ი ასევე მხარს უჭერდა ჩინურ სამხედრო ძალებს იაპონიის წინააღმდეგ და დაეხმარა მათ იაპონიის თავდაცვითი პოზიციების განსაზღვრაში შემდგომი შეჭრის მოსამზადებლად.

აშშ-ს გააჩნდა ბრიტანული „ულტრას" ანალოგი პროგრამა სახელად **„Magic",** რომლის ამოცანას წარმოადგენდა იაპონური დიპლომატიური და სამხედრო დაშიფრული შეტყობინებების გატეხვა. ამერიკელმა კრიპტოანალიტიკოსებმა, **უილიამ ფრიდმანის**[80] ხელმძღვანელობით, წარმატებით გატეხეს იაპონელების დაშიფვრის მანქანა **ე.წ "Purple Cipher",** რომელიც გადასცემდა ინფორმაციას იაპონიის გეგმებისა და დიპლომატიური კომუნიკაციის შესახებ. "Magic"-მა გადამწყვეტი როლი ითამაშა 1942 წლის ივნისში მიდუეის ბრძოლისას აშშ-ს გამარჯვებაში. იაპონიის საზღვაო კომუნიკაციების გადაჭერით, აშშ-ს საზღვაო ძალებმა მოამზადეს ჩასაფრება, რის შედეგადაც განადგურდა ოთხი იაპონური ავიამზიდი და აღდგა ძალთა ბალანსი წყნარ ოკეანეში.

[79] https://www.britannica.com/biography/William-J-Donovan
[80] https://www.nsa.gov/History/Cryptologic-History/Historical-Figures/Historical-Figures-View/Article/1623026/william-f-friedman/

ქვეყნის შიგნით, აშშ-ს **ფედერალური საგამოძიებო ბიურო FBI** აქტიურად ახორციელებდა კონტრ-სადაზვერვო ღონისძიებებს და ებრძოდა უცხოელ ჯაშუშებს, დივერსანტებსა და პროპაგანდისტებს. მეორე მსოფლიო ომის დროს, "FBI"-ს ერთ

ერთი ყველაზე ცნობილი კონტრ-სადაზვერვო ოპერაცია მოიცავდა გერმანული ოპერაცია - **„პასტორიუსის"** განხორციელების ხელის შეშლას. კერძოდ, მას მერე რაც აშშ ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში, ადოლფ ჰიტლერის ინიცირებით შემუშავდა ოპერაცია „პასტორიუსი", რომლის მიზანს წარმოადგენდა აშშ-ს ტერიტორიაზე სამოქალაქო ობიექტებზე დივერსიებისა და საბოტაჟის მოწყობა, რაც გამოიწვევდა ამერიკელების დემორალიზებას. აღნიშნული ოპერაციის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა აიღო გერმანულმა "აბვერმა". მათ მოახერხეს ამერიკაში მცხოვრები გერმანელების გადაბირება, აბვერში გადამზადება და შემდგომში უკან გაგზავნა აშშ-ში წყალქვეშა გემით. გერმანელი ჯაშუშების ამოცანას წარმოადგენდა ისეთ ობიექტებზე დივერსიების მოწყობა, როგორიც იყო **ნიაგარის ჩანჩქერზე**

არსებული ელექტრო სადგური, აშშ-ს ალუმინის კომპანიის საწარმოები, ქიმიური ქარხნები და სხვა. მალევე, ამერიკის ტერიტორიაზე შეღწევისას ფედერალურმა საგამოძიებო ბიურომ მოახერხა აღნიშნული ჯგუფის წევრების დაკავება, რაშიც მათ დაეხმარა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, რომელმაც ბიუროს მიაწოდა ოპერატიული ინფორმაცია „პასტორიუსის" ოპერაციის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნათელი გახდა, რომ გერმანიიდან მომდინარეობა დიდი საფრთხე ამერიკის ორივე კონტინენტზე. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მრავალრიცხოვანი გერმანული მოსახლეობა ცხოვრობდა, შესაბამისად, მაშინ ჯერ არ არსებობდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და დადგა საჭიროება, რომ გერმანელი მოსახლეობის მონიტორინგი განხორციელებულიყო. მოთხოვნიდან გამომდინარე, ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში შეიქმნა **სპეციალური სადაზვერვო სამსახური (Special Intelligence Service SIS)**, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ლათინურ ამერიკაში მცხოვრები მოსახლეობის მონიტორინგი და ჯაშუშებისა და დივერსანტების იდენტიფიცირება.

დაზვერვის კუთხით, მეორე მსოფლიო ომში, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა ბრიტანულ და ამერიკულ სპეცსამსახურებს შორის ჩამოყალიბებული

თანამშრომლობის ხარისხი. აშშ-ს და ბრიტანეთს შორის 1943 წელს "**BRUSA-ს შეთანხმების"**[81] გაფორმებამ ამ პარტნიორობას ოფიციალური სახე მისცა, განსაკუთრებით ტექნოლოგიური დაზვერვით მიღებული ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით. ბლეჩლი პარკსა და არლინგტონში არსებულ კრიპტოგრაფებს შორის მაღალი დონის კოორდინაციამ ჩამოაყალიბა ძლიერი სამოკავშირეო სადაზვერვო საზოგადოება. ერთობლივი ოპერაციები, როგორიცაა კოორდინაცია დ-დღე-ზე, დიდწილად ეყრდნობოდა ერთობლივ სადაზვერვო ღონისძიებებს. მოკავშირეებმა შექმნეს ერთიანი სამეთაურო სტრუქტურები და სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები, რაც საშუალებას აძლევდა ოპერაციების შეუფერხებლად დაგეგმვასა და განხორციელებას ევროპისა და წყნარი ოკეანის თეატრებში.

განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნდათ ევროპაში არსებულ წინააღმდეგობის მოძრაობებს, რომლებიც წარმოადგენდნენ კრიტიკული სადაზვერვო ინფორმაციის წყაროებს. ოკუპირებულ საფრანგეთში, პოლონეთში, ნორვეგიასა და ბალკანეთში ადგილობრივი მზვერავები უზრუნველყოფდნენ მოკავშირეებს რუქებით, ნაცისტური ჯარების გადაადგილების მარშრუტებით და ეფექტურად ახორციელებდნენ დივერსიულ აქტებს. ძირითადად, ეს ღონისძიებები მხარდაჭერილი იყო ბრიტანული "SOE"-ს და ამერიკული "OSS"-ის მიერ.

მაგალითისთვის, პოლონეთის შიდა ჯარმა მოკავშირეებს მიაწოდა კრიტიკული ინფორმაცია გერმანელების მიერ სარაკეტო კვლევების შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა მეენემუნდეში, რის შედეგადაც მოკავშირეებმა მოახერხეს აღნიშნული ობიექტის მასობრივი დაბომბვა. წინააღმდეგობრივი მოძრაობები წარმატებით ანადგურებდნენ გერმანელების ლოგისტიკურ კვანძებს, ანეიტრალებდნენ კოლაბორაციონისტებს და დახმარებას უწევდნენ მოკავშირე ქვეყნების პილოტებს, რომლებიც თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად ხვდებოდნენ მტრის ტერიტორიაზე.

[81] https://www.gchq.gov.uk/information/brief-history-of-ukusa

მეორე მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით განვითარდა **სტრატეგიული მოტყუების მეთოდები**. ბრიტანელები დახელოვნდნენ ისეთი მიმართულებებით, როგორიც იყო ყალბი ჯარების შექმნა, გასაბერი ტანკების წარმოება და დაზვერვის მანიპულაცია ფარული მტრის შესაქმნელად. ბრიტანელების წარმატებული მოტყუების ღონისძიებას წარმოადგენდა ოპერაცია **„გატარებული ხორცი - Mincemeat“.**

ოპერაციის მიხედვით, ბრიტანელებმა მოიპოვეს უსახლკარო ადამიანის გვამი, ჩააცვეს მას ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ოფიცრის ფორმა, ჩაუდეს მას ყალბი დოკუმენტები და ხელზე ბორკილით დაუმაგრეს ჩემოდანი საბუთებით, სადაც ეწერა, რომ მოკავშირეები გეგმავდნენ საბერძნეთზე თავდასხმას. გვამი მიაგდეს ესპანეთის სანაპიროებთან, ხოლო შემდგომში ესპანელების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართა ბრიტანეთმა, რომ მათთვის გადმოეცათ მაღალი რანგის საზღვაო ოფიცრის გვამი. ესპანეთის ნეიტრალური სტატუსის მიუხედავად, მის სახელმწიფო უწყებებში ჭარბობდნენ გერმანელი ჯაშუშები. მათ მოახერხეს გვამზე მიმაგრებული ინფორმაციის მოპოვება და ჰიტლერისთვის გადაცემა. შედეგად, ამ ინფორმაციამ შეცდომაში შეიყვანა ნაცისტები. მათ გაამაგრეს პოზიციები საბერძნეთში, თუმცა რეალური თავდასხმა განხორციელდა სიცილიაზე. მიუხედავად ამისა, ნაცისტები 2 კვირის განმავლობაში გამაგრებულები იყვნენ საბერძნეთში და ელოდებოდნენ მასობრივ შეტევას მოკავშირეების მხრიდან, რომელიც არ განხორციელდა.

პარალელურად, ამერიკელები აქტიურად ახორციელებდნენ წყნარ ოკეანეში მოტყუების ოპერაციებს, რითიც ისინი ცდილობდნენ იაპონელების შეცდომაში შეყვანას, სანამ განხორციელდებოდა მასშტაბური შეტევა მათზე, თუმცა ევროპაში განხორციელებული ოპერაციები მეტად ეფექტური აღმოჩნდა ვიდრე აზიაში.

ომის პერიოდში, საბჭოთა კავშირი მკაცრად აკონტროლებდა შიდა უსაფრთხოებას, მაგრამ მათმა გადაჭარბებულმა პარანოიამ გამოიწვია მრავალი ეფექტური ოფიცრისა და მზვერავის სიკვდილით დასჯა ან დაპატიმრება. სტალინის უნდობლობამ შიდა და საგარეო დაზვერვის მიმართ გამოიწვია არაერთი კრიტიკული შეცდომა.

დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ დიდი გავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობასა და შედეგებზე. კომუნიკაციის გატეხვიდან და სტრატეგიული მოტყუებიდან დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობების კოორდინაციით და სტრატეგიული დაზვერვით დამთავრებული, ყველა ეს ღონისძიება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს აძლევდა ინფორმაციულ უპირატესობას, რომელიც საჭირო იყო გლობალურ კონფლიქტში წარმატებისთვის. ომმა არა მხოლოდ აჩვენა დაზვერვის კრიტიკული მნიშვნელობა, არამედ საფუძველი ჩაუყარა

ინსტიტუციურ სტრუქტურებსა და დოქტრინებს, რომლებიც დომინირებდნენ ცივ ომსა და თანამედროვე ეპოქაში.

ცივი ომი

ცივი ომი, აშშ-ს და საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს შორის მასშტაბურ ომს მოიცავდა, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა და გააძლიერა დღევანდელი სადაზვერვო საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას საბჭოთა კავშირი, აშშ და დიდი ბრიტანეთი მოკავშირეები იყვნენ, უკვე აქტიურად მიმდინარეობდა საუბარი, რომ ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირი გახდებოდა მსოფლიოსთვის ახალი საფრთხე. 1943 წელს აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა განახორციელეს პროექტ **"ვენონა"-ს** ინიცირება, რომლის ფარგლებში ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირის კომუნიკაციის მონიტორინგი და ფარული მოსმენები 80-იანი წლების დასასრულამდე. „ვენონას" პროექტის პარალელურად, საბჭოთა კავშირის ნიუ-იორკის აგენტურული ქსელი ახორციელებდა სადაზვერვო ღონისძიებებს აშშ-ში. სწორედ ნიუ-იორკის რეზიდენტურის მიერ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის საფუძველზე, 1949 წლისათვის საბჭოთა კავშირმა შეძლო ბირთვული იარაღის შექმნა.



როდესაც აშშ-მ და სსრკ-მ შექმნეს მასობრივი განადგურების იარაღი, მსოფლიოში დადგა გლობალური კონფლიქტის საფრთხე. ცივი ომის მსვლელობისას, ორივე მხარე ერთმანეთთან შეჯიბრის რეჟიმში იმყოფებოდა და ცდილობდა განევითარებინა და გაეძლიერებინა თავისი შეიარაღება.

ტრუმენი, თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ფიქრობდა, რომ სადაზვერვო სამსახურისთვის დიდი უფლებამოსილების მიცემა საფრთხეს შეუქმნიდა ქვეყნის დემოკრატიას და თავისუფლებას, თუმცა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათ სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნდათ. დემოკრატიული ფასეულობებისა და სპეცსამსახურების საქმიანობის ინტერესების გადაკვეთის აცილების მიზნით, შეიქმნა სამოქალაქო კონტროლის მექანიზმი **"ცენტრალური დაზვერვის დირექტორის ოფისი"** რომლის მიზანი იყო სპეცსამსახურების კონტროლი, რომ არ მომხდარიყო უფლებამოსილების გადამეტება. ამის გარდა, ტრუმენის პერიოდში მიღებულ იქნა **„1947 წლის ეროვნული უსაფრთხოების აქტი",** რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს **(Central Intelligence Agency CIA)**, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სადაზვერვო კანონმდებლობის შექმნას.

<u>ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ადრეული წლები</u>

1947 წლისათვის ნათელი გახდა, რომ მსოფლიოში მიმდინარეობდა კომუნიზმის აქტიური გავრცელება. დასავლეთის სპეცსამსახურებს ეშინოდათ, რომ 1948 წლის

იტალიის არჩევნებში გაიმარჯვებდა **კომუნისტური პარტია,** რომელიც ქვეყანაში დაამყარებდა ტოტალიტარულ კომუნისტურ რეჟიმს, ხოლო შემდეგი ეტაპი იქნებოდა იტალიის დახმარებით კომუნიზმის გავრცელება მთელს ხმელთაშუაზღვის რეგიონში. სწორედ კომუნიზმის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, წინა საარჩევნო პერიოდში "CIA"-მ განახორციელა თავისი ერთ-ერთი უპირველესი საიდუმლო ოპერაცია, რომლის დროსაც ისინი აფინანსებდნენ ანტიკომუნისტურ ოპოზიციურ ძალებს და ახორციელებდნენ ანტიკომუნისტურ პროპაგანდას მთელს იტალიაში. მათი ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდა და 1948 წელს იტალიის მთავრობის სათავეში მოვიდა აშშ-ს სატელიტი ქრისტიან-დემოკრატიული პარტია.

მეორე მნიშვნელოვან წარმატებას "CIA"-მ ირანში მიაღწია. იმ დროისთვის ახლო აღმოსავლეთის რეგიონში აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის კომპანიები ნავთობს მოიპოვებდნენ. ენერგოუსაფრთხოება აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილი იყო. 1951 წლისთვის, ირანის პრემიერ-მინისტრმა **მუჰამედ მოსადიქმა**[82] განაცხადა, რომ აპირებდა ყველა ნავთობკომპანიის ნაციონალიზაციას. ირანის ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთის და აშშ-ს ნავთობკომპანიები ყოველდღიურად კოლოსალურ თანხებს იღებდნენ და თვითონაც იყვნენ მოპოვებული ნავთობის მომხმარებლები. მოსადიქის გადაწყვეტილებამ საფრთხის ქვეშ დააყენა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ეროვნული ინტერესები, რადგან ნაციონალიზაციის შედეგად, მათ აღარ ექნებოდათ ირანის ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვების უფლება. ამ გარემოების საპასუხოდ, აშშ-ში მიღებულ იქნა მოსადიქის თავიდან მოცილების გადაწყვეტილება. "CIA"-ს ხელმძღვანელობით, 1953 წელს განხორციელდა ოპერაცია **"აიაქსი"** , რომლის შედეგად პრემიერ-მინისტრი მოსადიქი გადმოგდებულ იქნა მმართველობიდან, ხოლო ქვეყნის სათავეში მოვიდა პრო-ამერიკელი მმართველი **მოჰამედ რეზა ფეჰლევი**,[83] რომელიც ირანის სამეფო ოჯახს წარმოადგენდა. მისი მმართველობის პერიოდში შეიქმნა ირანის საიდუმლო პოლიცია **"სავაკი" (SAVAK)**, რომელიც არადემოკრატიული გზებით ახორციელებდა ფარულ ოპერაციებსა და რეპრესიებს იმ პირების მიმართ, ვინც გამოდიოდა მთავრობის წინააღმდეგ. სწორედ

[82] https://www.britannica.com/biography/Mohammad-Mosaddegh
[83] https://www.britannica.com/biography/Mohammad-Reza-Shah-Pahlavi

აღნიშნული სპეცსამსახურის სასტიკი მუშაობა გახდა ხალხის უკმაყოფილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის შედეგადაც ხალხი აუჯანყდა შაჰს და სათავეში მოვიდა **აითოლა ხომეინი.**[84] მისი მოსვლის შემდეგ ირანი გარდაიქმნა ისეთ ისლამურ სახელმწიფოდ სადაც ამოქმედდა შარიათის წესები, ხოლო აშშ-მ დაკარგა თავისი გავლენა ირანზე.

<u>კორეის ომი (1950 – 1953)</u>

რიგი ქვეყნის ანალოგიურად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კორეა გაიხლიჩა 2 ნაწილად - კომუნისტურ ჩრდილოეთად და დემოკრატიულ სამხრეთად. 1950 წელს ჩრდილოეთ კორეის ძალებმა მოულოდნელად დაიპყრეს სამხრეთ კორეა, იმ იმედით,

რომ გააერთიანებდნენ კორეის ორივე ნაწილს კომუნისტური რეჟიმის მმართველობის ქვეშ. ამ შემთხვევაში, აშშ-ს სპეცსამსახურებს ბევრი შეცდომა მოუვიდათ. მათ ვერ შეძლეს იმის გათვლა, რომ ჩრდილოეთ კორეა განახორციელებდა შეტევას სამხრეთ კორეაზე. ამის გარდა, მათი გათვლებით თავდასხმის შემთხვევაში სამხრეთ კორეა შეძლებდა ჩრდილოეთთან განმკლავებას. დემოკრატიული სახელმწიფოებში ჩრდილოეთ კორეის ქმედებებმა შეშფოთება გამოიწვია. გაეროს გადაწყვეტილებით, სამხრეთ კორეის გასათავისუფლებლად შევიდნენ გაეროს ჯარები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა აშშ-ს სამხედრო ძალები. ეს გახდა ისტორიაში პირველი **„მარიონეტული ომის“ (Proxy War),**[85] პრეცენდენტი, სადაც აშშ და საბჭოთა კავშირი შევიდნენ სამხედრო დაპირისპირებაში სხვა სახელმწიფოების გამოყენებით. საბოლოო ჯამში კორეის ომი წარუმატებელი აღმოჩნდა აშშ-სთვის. პირველ რიგში გამოიკვეთა კომუნიკაციის პრობლემა სამხედროებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან ვერ ახერხებდნენ ეფექტურად მუშაობას და კოორდინაციას. აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით და კორეის ომის წარუმატებლობის შედეგად, 1961 წელს ჩამოყალიბდა თავდაცვის დაზვერვის სააგენტო, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამხედრო ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და ინფორმაციის თავდაცვის მდივნისთვის და გენერალური შტაბის ხელმძღვანელისთვის გაზიარებას.

<u>ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (National Security Agency NSA) ჩამოყალიბება</u>

1940-50-იან წლებში განხორციელდა მკვეთრი ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო განვითარება. პროექტმა **“ულტრამ”** დაანახა აშშ-ს ტექნოლოგიური დაზვერვის მნიშვნელობა და აღნიშნული სფეროს განვითარების საჭიროება. 1949 წელს შეიქმნა

[84] https://www.britannica.com/biography/Ruhollah-Khomeini
[85] https://www.oxfordreference.com/display/10.1093/acref/9780199670840.001.0001/acref-9780199670840-e-1742

შეიარაღებული ძალების უსაფრთხოების სააგენტო (Armed Forces Security Agency - AFSA), რომლის მთავარი მიზანი იყო უცხოური ქვეყნებიდან გასული/შემოსული

სიგნალების გადაფარვა, ანალიზი და ზოგ შემთხვევაში ჩახშობაც. დროთა განმავლობაში გამოჩნდა, რომ შეიარაღებული ძალების უსაფრთხოების სააგენტო ვერ ახორციელებდა ეფექტურ მუშაობას და იგი ჩანაცვლებულ იქნა გაცილებით უფრო ძლიერი დამოუკიდებელი სპეცსამსახურით, რომელსაც **ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო (National Security Agency NSA)** ეწოდა. სააგენტო წარმოადგენდა გასაიდუმლოებულ ორგანიზაციას, რომელიც ცივი ომის დროს ახორციელებდა საბჭოთა კავშირის კომუნიკაციურ და ვიზუალურ დაზვერვას. სწორედ მათი მუშაობით გამოაშკარავდა სსრკ-ს სამხედრო და სამთავრობო ორგანიზაციული სტრუქტურა. აშშ-ს უკვე ადვილად შეეძლო სსრკ-ს ყველა საბრძოლო ერთეულის ვიზუალური დათვლა და შესაბამისი უწყებების ინფორმაციით მომარაგება.

<u>ვიზუალური დაზვერვის ევოლუცია</u>

როდესაც აშშ ჩაერთო ცივ ომში, მათ არ გააჩნდათ საკმარისი ტექნოლოგია, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა ეფექტური ვიზუალური სადაზვერვო ოპერაციების ჩატარება სსრკ-ს ტერიტორიაზე. ისინი იყენებდნენ ძველ ბომბდამშენებს და ახორციელებდნენ საჰაერო დაზვერვას სსრკ-ს საზღვრებთან, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ბომბდამშენებს არ შეეძლოთ სსრკ-ს ტერიტორიაზე შესვლა, იქმნებოდა მრავალი დაბრკოლება ინფორმაციის მოძიების მიმართულებით.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ეიზენჰაუერის დავალებით, 1955 წელს შეიქმნა პირველი **U-2 ტიპის**[86] საჰაერო ხომალდი. თვითმფრინავი აღჭურვილი იყო

მაღალი რეზოლუციის კამერებით, რომლებიც 22 კილომეტრის სიმაღლიდან ახორციელებდნენ მაღალი ხარისხის სურათების გადაღებას. პირველ ეტაპზე აღნიშნულ თვითმფრინავებს ვერ ხედავდნენ სსრკ-ს რადარები. მათ შეეძლოთ უპრობლემოდ შესულიყვნენ სსრკ-ს საჰაერო სივრცეში და შეეგროვებინათ საჭირო სადაზვერვო ინფორმაცია.

[86] https://www.britannica.com/technology/U-2

წარმატებული ფრენების შემდეგ, პროექტი გადავიდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დაქვემდებარებაში, ხოლო მისი პილოტები წამოვიდნენ აშშ-ს სამხედრო ავიაციიდან და შეუერთდნენ "CIA"-ს. 1960 წელს, სსრკ-მ შესძლო "U-2"-ს ჩამოგდება, რის შედეგადაც აღნიშნული პროგრამა დახურა აშშ-ს მთავრობამ და გადავიდა ახალ პროგრამაზე **"კორონა",** რომლის ფარგლებში შეიქმნა ახალი ტიპის **"SR-71"**[87] საფრენი აპარატები. მათ გააჩნდათ უფრო მაღალი სიჩქარე და მოქმედებდნენ გაცილებით უფრო მაღალ სიმაღლეზე. დღეისათვის **IMINT** ნაწილობრივ ჩაანაცვლა **გეოსივრცითმა დაზვერვამ GEOINT,** რომელსაც ახორციელებს ეროვნული **გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტო** და **ეროვნული სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის სამმართველო**.

<u>კუბის კრიზისი</u>

1956 წელს კუბა აღმოჩნდა კომუნისტური რეჟიმის მმართველობის ქვეშ, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც აშშ-ს, ასევე სხვა დემოკრატიული ქვეყნების ინტერესებს. უკვე 1960 წლიდან CIA-მ დაიწყო კუბიდან გადასახლებული ადამიანების წვრთნა, რათა ისინი დაბრუნებულიყვნენ კუბაზე და განეხორციელებინათ გადატრიალება. აშშ-ს ეგონა, რომ კუბიდან გადასახლებული ადამიანების დაბრუნებით, მათ მხარეზე გადმოვიდოდა კუბელების დიდი ნაწილი, თუმცა საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა კასტროს მხარეზე იყო. ამის გარდა, კუბის მთავრობისთვის ცნობილი გახდა აშშ-ს გეგმების შესახებ. 1961 წლისათვის, აშშ-ს ავიაციამ განახორციელა კუბის სამხედრო ბაზების დაბომბვა, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა. პარალელურად CIA-მ გადასვა კუბის სანაპიროებზე **"ღორების ყურესთან"** 1300 კუბელი დევნილი, რომელიც კუბის არმიამ 3 დღეში გაანეიტრალა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა, აშშ-ს მთავრობამ ახალ საიდუმლო ოპერაციას სახელად **"მანგუსს"** გაუკეთა ინიცირება, რომლის მიზანი იყო კუბის მთავრობის ჩამოგდება სხვადასხვა არაძალადობრივი მეთოდებით. ოპერაცია უნდა განხორციელებულიყო ანტიკომუნისტური პროპაგანდის, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და საბოტაჟის გზით. მიუხედავად აშშ-ს ძალისხმევისა, მათ მაინც ვერ მიაღწიეს თავის მიზანს. უფრო მეტიც, აშშ-ს მოქმედებებმა უბიძგეს კასტროს საბჭოთა კავშირთან



[87] https://airandspace.si.edu/collection-objects/lockheed-sr-71-blackbird/nasm_A19920072000

კიდევ უფრო გაეღრმავებინა სამხედრო ურთიერთობები, რასაც მოჰყვა "კუბის კრიზისი".

მიუხედავად აშშ-ს სპეცსამსახურების წარუმატებელი ოპერაციებისა, "კუბის კრიზისის" დროს აშშ-ს დაზვერვა უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას აწვდიდა მთავრობას. კუბის კრიზისის პერიოდში აქტიურად გამოიყენებოდა "U-2" ტიპის მზვერავი თვითმფრინავები, რომლებიც აწვდიდნენ გამოსახულებას კუბაში არსებული ბირთვული რაკეტების განლაგებისა და რაოდენობის შესახებ. ამის გარდა, აქტიურად მუშაობდა საკომუნიკაციო დაზვერვა, რომელიც ფარულად ახორციელებდა კასტროსა და ხრუშჩოვის საუბრების მოსმენებს. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო **რუსეთის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს - ГРУ-**ს ოფიცრის **ოლეგ პენკოვსკის**[88] მიერ მიწოდებული ინფორმაცია აშშ-სა და ბრიტანეთისთვის, რომელშიც საუბარი იყო ერთი მხრივ რუსეთის სამხედრო და ბირთვულ შესაძლებლობებზე და მათ ტექნიკურ მახასიათებლებზე, ხოლო მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის სისუსტეებზე, რომელიც მოგვიანებთ კენედის მიერ იქნა გამოყენებულ ხრუშჩოვთან მოლაპარაკებებში. ამ ინფორმაციამ დიდი როლი ითამაშა აშშ-ს მთავრობის გადაწყვეტილებებზე, რის შედეგადაც თავიდან აცილებულ იქნა ბირთვული ომი.

<u>ვიეტნამის ომი</u>

მე-19 საუკუნის შუალედში ვიეტნამი დროებით გახდა საფრანგეთის კოლონია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საფრანგეთმა კვლავ მოინდომა ვიეტნამზე კონტროლის დამყარება, რადგან ქვეყანა მდიდარი იყო ისეთი ბუნებრივი რესურსებით, როგორიც იყო თამბაქო, ჩაი, ყავა და სხვა. საფრანგეთის მცდელობების მიუხედავად, ვიეტნამში აჯანყდა ნაციონალისტური მოძრაობა **ჰო ჩი მინის**[89] ხელმძღვანელობით, რომელსაც ეხმარებოდა საბჭოთა კავშირის ჯარი. 1954 წელს ვიეტნამი გაიყო 2 ნაწილად - კომუნისტურ ჩრდილოეთად და სამხრეთად (პრემიერ მინისტრ, **ნგო დინ დიემის**[90] ხელმძღვანელობით, რომელიც აშშ-ს მოკავშირე პრემიერად ითვლებოდა). 1950 წელს აშშ-მ დაიწყო სამხრეთ ვიეტნამის დახმარება თავისი სპეცსამსახურების თანამშრომლებით, რომელთა მიზანს წარმოადგენდა დივერსიული აქტების მომზადება და ვიეტნამელი ჯარისკაცების გაწვრთნა. დროთა განმავლობაში, შესუსტდა პრემიერ დიემის მტკიცე პოლიტიკა ჩრდილოეთ ვიეტნამის მიმართ და იგი გახდა არასასურველი მმართველი აშშ-სთვის. ნათელი იყო, რომ იგი ეფექტურად ვერ ატარებდა აშშ-ს ინტერესებს, რაც შეშფოთებას იწვევდა ვაშინგტონში. საბოლოოდ

[88] https://www.britannica.com/biography/Oleg-Vladimirovich-Penkovsky
[89] https://www.bbc.co.uk/history/historic_figures/ho_chi_minh.shtml
[9090] https://alphahistory.com/vietnamwar/ngo-dinh-diem/

1963 წელს განხორციელდა საიდუმლო ოპერაცია, რომლის შედეგად ლიკვიდირებულ იქნა პრემიერი დიემი, ხოლო აშშ-მ გააგრძელა თავისი ინტერესების გატარება ვიეტნამში. მიუხედავად იმისა, რომ "CIA"-ს გააჩნდა ინფორმაცია ჩრდილოეთ

ვიეტნამის ძლიერი სამხედრო შესაძლებლობების შესახებ, კენედის და ნიქსონის ადმინისტრაციამ იგნორირება გაუკეთა მათ და კვლავინდებურად ატარებდა დაგეგმილ პოლიტიკას. ნათელი გახდა, რომ აშშ-ს სპეცსამსახურის თანამშრომლების ჩართულობა არ იყო საკმარისი ომში გამარჯვებისთვის. საბოლოდ, აშშ იძულებული გახდა გაეგზავნა თავისი რეგულარული ჯარის ნაწილები ვიეტნამში. "CIA"-ს ანალიტიკოსებმა ბევრი კვლევა ჩაატარეს და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე აშშ-ს გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს აფრთხილებდნენ, რომ სამხედრო ოპერაცია წარუმატებელი იქნებოდა, თუმცა იმ პერიოდში არ იყო გათვალისწინებული CIA -ს რეკომენდაციები. ვიეტნამის კამპანიის დროს, დაახლოებით 500,000 ამერიკელი ჯარისკაცი გაიგზავნა სამხედრო მისიაში. ომის დასასრულს დაახლოებით 56,000 ადამიანი დაიღუპა. საბოლოოდ აშშ მიხვდა, რომ მათი წარმატება ამ ომში გამორიცხული იყო. ამის გათვალისწინებით, 1973 წელს ნიქსონის ადმინისტრაციამ ხელი მოაწერა **პარიზის მშვიდობის შეთანხმებას**,[91] რომლითაც აშშ-მ უარი თქვა პირდაპირ სამხედრო ჩარევაზე ვიეტნამში, თუმცა ირიბი გზებით აშშ კვლავ ახორციელებდა სამხრეთ ვიეტნამის დახმარებას. 1975 წელს ჩრდილოეთ ვიეტნამმა დაიკავა ტოტალიტარული კონტროლი სამხრეთ ვიეტნამზე.

<u>ვიეტნამის ომის შედეგები აშშ-ს შიდა უსაფრთხოებაზე</u>

1950-70 წლებში, ვიეტნამის ომის ფონზე აშშ-ში შეიქმნა დაძაბული გარემო, რომელიც

გამოწვეული იყო ხალხის უკმაყოფილებით. ქვეყანაში მიმდინარეობა საპროტესტო აქციები, რომელიც მიმართული იყო აშშ-ს საგარეო პოლიტიკის კრიტიკისაკენ. აღნიშნულმა ვითარებამ ხელი შეუწყო უცხოურ სპეცსამსახურებს უფრო ეფექტურად ემოქმედათ აშშ-ს ტერიტორიაზე. ამ პერიოდში გააქტიურდა ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები და მოძრაობები, როგორიც იყო **„Weather Underground"**- ე.წ **„სინოპტიკოსები",**[92] **„ამფეთქებლები"**, **„Red Scare - წითელი საფრთხე"**[93] და სხვა.

[91] https://www.history.com/this-day-in-history/january-27/paris-peace-accords-signed
[92] https://www.britannica.com/topic/Weathermen
[93] https://www.britannica.com/topic/Red-Scare-politics

1956 წელს ფედერალურმა ბიურომ ინიცირება გაუკეთა **„COINTELPRO – (Counterintelligence Program)** - კონტრ-სადაზვერვო პროგრამას, რომლის მიზანი იყო კომუნისტური ორგანიზაციის წევრების გამოვლენა, დაკავება და ზოგ შემთხვევაში ლიკვიდაციაც. პროგრამის ფარგლებში, ასევე ხორციელდებოდა დეზინფორმაცია მედიის საშუალებით, რაც კიდევ უფრო შედეგიანს ხდიდა კომუნიზმთან ბრძოლას. ცოტა ხანში პროგრამამ მოიცვა ისეთ ორგანიზაციებთან ბრძოლის ფუნქციები, როგორიც იყო **„კუ-კლუქს კლანი“,**[94] **„შავი პანტერის პარტია“**[95], **„ამერიკული ნაცისტური პარტია“**[96] და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციები. პროგრამის ერთ-ერთი წარუმატებლობად ითვლება **მარტინ ლუთერ კინგის** მკვლელობა.

ფედერალური ბიუროს „COINTELPRO“-ს პარალელურად, CIA-მ გაუკეთა ინიცირება ოპერაცია **„ქაოსს“,** რომელმაც ფაქტიურად მოახდინა ფედერალური ბიუროს ინტერესებთან კვეთა. ეს გახდა ერთ-ერთი პირველი ინციდენტი, როდესაც აშშ-ს სპეცსამსახურებს შორის დაიძაბა ურთიერთობა და გაჩნდა კონკურენცია. როგორც CIA-ს, ასევე ფედერალური ბიუროს საქმიანობა გასაიდუმლოებული იყო. სამოქალაქო საზოგადოებას არ გააჩნდა არანაირი ინფორმაცია მათი საქმიანობისა და მეთოდების შესახებ, თუმცა 1971 წელს მოვლენები დრამატულად განვითარდა. იმ დროისთვის ერთ-ერთმა ორგანიზაციამ სახელად **„ფედერალური ბიუროს საგამოძიებო სამოქალაქო კომისია“**-მ განახორციელა ათასობით საიდუმლო დოკუმენტის მოპარვა პენსილვანიის ფედერალური ბიუროს ოფისიდან, რომელიც შემდეგ გადასცა პრესის წარმომადგენლებს. სწორედ მათი გასაჯაროების შედეგად გახდა ცნობილი ფედერალური ბიუროსა და CIA-ის კონტრ-სადაზვერვო ოპერაციების შესახებ.

მეორე ფაქტი, რომელიც დაფიქსირდა 1975 წელს იყო CIA-ის ყოფილი ოფიცრის, **ფილიპ ეგის**[97] მიერ გამოქვეყნებული **„CIA-ის დღიური“,** სადაც საუბარი იყო სააგენტოს მიერ განხორციელებული ბინძური საქმიანობის შესახებ 1957-1968 წლებში. დღიურში მოცემული იყო ინფორმაცია, თუ როგორ ეხმარებოდა CIA ავტორიტარულ რეჟიმებს, ახორციელებდა არასასურველი პირების ლიკვიდაციას და სხვა არალეგალურ ღონისძიებებს. მან ასევე სააგენტოს დასდო ბრალი აშშ-ს მოქალაქეების მიმართ ქვეყნის შიგნით შპიონაჟში. მის დღიურში მოცემული იყო კონკრეტული თანამშრომლების და აგენტების სახელები და გვარები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ

[94] https://www.history.com/articles/ku-klux-klan
[95] https://www.britannica.com/topic/Black-Panther-Party
[96] https://en.wikipedia.org/wiki/American_Nazi_Party
[97] www.cia.gov/readingroom/docs/CIA-RDP90-00845R000100160027-1.pdf

აღნიშნულ საქმიანობაში. იგი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაემგზავრა კუბაში, სადაც 2008 წელს გარდაიცვალა.

<u>კარტერის წლები</u>

კარტერის გაპრეზიდენტების შემდეგ გატარდა მრავალი რეფორმა სპეცსამსახურებში. 1977 წელს "CIA"-ის ხელმძღვანელად დაინიშნა **ადმირალი სტენსფილდ ტერნერი,**[98] რომელიც სკეპტიკურად იყო განწყობილი სადაზვერვო საქმიანობაში ჭარბი ადამიანური რესურსის გამოყენების მიმართ და უპირატესობას ანიჭებდა დაზვერვაში ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორიც იყო **SIGINT და IMINT**. სწორედ მისი მმართველობისას "CIA"-ში მოხდა 800 ოპერატიული თანამშრომლის შემცირება.

იმ დროისათვის, სსრკ და ჩინეთი აშშ-ს მთავარ გამოწვევად რჩებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა მაღალი შედეგები გამოიღო, მაინც არსებობდა გარკვეული შემთხვევები, როდესაც სადაზვერვო ოპერაციებში ადამიანური რესურსი გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ასეთი გახლდა ოპერაცია **„Ivy Bells"**. ოპერაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა სსრკ-ს ატომური წყალქვეშა გემების კომუნიკაციაზე წვდომა, თუმცა ეს შეუძლებელი იყო, რადგან ოხოცკის ზღვის ფსკერზე განთავსებული იყო მაღალი სიხშირის კაბელი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კომუნიკაცია. ამ შემთხვევაში "CIA"-მ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსთან - NSA ერთად განახორციელეს მყვინთავთა ჯგუფის გადასროლა ზღვაში, სადაც მოხერხდა მათ მიერ კაბელზე სპეციალური ტექნიკის განთავსება, რომელიც იჭერდა სიგნალს. საბოლოოდ, რუსეთის სპეცსამსახურებმა აღმოაჩინეს ეს ტექნიკა, რომელიც ამჟამად განთავსებულია მოსკოვის მუზეუმში.

კარტერის წლებს უკავშირდება ირანში განვითარებული მოვლენები. 1979 წელს მოხდა ირანელი სტუდენტების თავდასხმა აშშ-ს საელჩოზე, რის შედეგადაც 53 ამერიკელი დიპლომატი 444 დღის განმავლობაში ტყვეობაში ჩავარდა. ეს ფაქტი ითვლება აშშ-ს სპეცსამსახურების დიდ ჩავარდნად. კარტერის პერიოდში მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული სპეცსამსახურების მიერ. სწორედ ამ შეცდომების გათვალისწინებით უკვე შემდგომ წლებში აშშ-ს სპეცსამსახურებმა შეძლეს რადიკალური განვითარება და უფრო ეფექტური მუშაობა.

[98] https://www.usni.org/people/stansfield-turner

<u>რეიგანის წლები</u>

კარტერის შეცდომების შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა ვითარება რეიგანის გაპრეზიდენტების შემდეგ. რეიგანი ცნობილი იყო თავისი ანტისაბჭოური და ანტიკომუნისტური შეხედულებებით, რომლებსაც ავლენდა თითქმის ყოველი მისი გამოსვლის დროს. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება აშშ-ს მიერ განხორციელებული რეკორდულად დიდი რაოდენობის საიდუმლო ოპერაციები, რომლებიც მოიცავდა **საფარქვეშ მოქმედებებს და „შავი ფულის“ მენეჯმენტის ახალ მეთოდებს.** რეიგანს მიაჩნდა, რომ თუ არსებობდა ამის საჭიროება, აშშ-ს ყოველთვის უნდა გამოეყენებინა თავისი ჯარი და სამხედრო პოტენციალი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითისათვის, 1983 წელს, **გრენადაში მოხდა კომუნისტური გადატრიალება.** აშშ-ს არ გააჩნდა სტრატეგიული ინტერესები გრენადის მიმართ, თუმცა იმ დროს გრენადის სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობდნენ ამერიკელი სტუდენტები. მათი გადარჩენის მიზნით, რეიგანმა დაავალა აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს გრენადაში შესვლა და შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება. შედეგად, აშშ-ს ჯარებმა გადაარჩინეს ამერიკელი სტუდენტები და **მოახდინეს სამხედრო გადატრიალება,**[99] რომელმაც ხელი შეუშალა კარიბის რეგიონში ახალი კომუნისტური ქვეყნის შექმნას.

რეიგანის ადმინისტრაცია კომუნიზმთან ბრძოლაში იყენებდა ყველა საშუალებას, როგორც ორივე ამერიკის კონტინენტზე, ასევე ევროპაში. ხშირ შემთხვევებში, აშშ-ს მიერ ფინანსდებოდა ანტიკომუნისტური მოძრაობები სსრკ-ს წევრ ქვეყნებში.

1980 იანი წლების დასაწყისში, სსრკ-ს ინტერესებში შედიოდა ლათინური ამერიკის რეგიონში კომუნიზმის გავრცელება. იმ დროისათვის ნიკარაგუას მართავდა **მარქსისტი სანდინისტების**[100] მთავრობა, რომელსაც აუჯანყდა ამბოხებულთა ჯგუფი, ცნობილი როგორც **„კონტრა“**[101]. აშშ-ს მთავრობამ დაიწყო „კონტრას“ დაფინანსება “CIA”-ს დახმარებით, თუმცა გარკვეული ინფორმაციის გადინების შემდეგ დიდი პროტესტი მოჰყვა ამ ფაქტს და საფრთხის ქვეშ დადგა რეიგანის პრეზიდენტობა.

რეიგანის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ოპერაცია ჩატარდა ავღანეთში. როდესაც სსრკ-ს ჯარები ეომებოდნენ **“მოჯაჰედებს”**[102]. აშშ კვლავ დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირს ე.წ “მარიონეტული ომის” მეთოდით და დაიწყო მოჯაჰედების მხარდაჭერა, რაც გულისხმობდა მათ მომარაგებას ამერიკული შეიარაღებითა და ფინანსური სახსრებით. საბოლოოდ სსრკ-მ ვერ შესძლო ავღანეთში პოზიციების გამყარება და 1989 წელს სსრკ-ს უკანასკნელმა სამხედრო

[99] https://www.britannica.com/event/U-S-invasion-of-Grenada
[100] https://www.britannica.com/topic/Sandinista
[101] https://www.britannica.com/topic/contra-Nicaraguan-counterrevolutionary
[102] https://www.britannica.com/topic/mujahideen-Islam

ქვედანაყოფმა დატოვა ტერიტორია. ეს გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის დასუსტებაზე და მის დაშლაზე.

<u>საბჭოთა კავშირი</u>

ცივი ომის დასაწყისისთვის საბჭოთა კავშირს უკვე აშენებული ჰქონდა ძლიერი და ცენტრალიზებული სადაზვერვო აპარატი, რომელსაც ახასიათებდა პოლიტიკური ლოიალობა, საიდუმლოება და იდეოლოგიური სიძლიერე, რომელიც დაფუძნებული იყო ბოლშევიკური რევოლუციის იდეოლოგიურ მემკვიდრეობაზე. 1917 წლიდან მოყოლებული, ჩეკამ განიცადა რამდენიმე ტრანსფორმაცია, რაც მოიცავდა ჩეკას ევოლუციას როგორც **ГПУ, ОГПУ, НКВД, МГБ** და ბოლოს**, КГБ**-დ ჩამოყალიბება 1954 წელს. **ГРУ**, იმავდროულად, მოქმედებდა თავდაცვის სამინისტროს ქვეშ და შედარებით ფარული რჩებოდა ცივი ომის განმავლობაში. ცივი ომის დროინდელი საბჭოთა დაზვერვა მოიცავდა არა მხოლოდ ტრადიციულ სადაზვერვო მეთოდებს და სამხედრო დაზვერვას, არამედ მისი სპეცსამსახურების არსენალში იყო პოლიტიკურ გავლენის ოპერაციები, იდეოლოგიურ დივერსია, ფსიქოლოგიურ ომი და აქტიური ღონისძიებები (активные мероприятия).[103]

"КГБ" ოფიციალურად შეიქმნა 1954 წელს და ჩაანაცვლა მისი წინამორბედი "МГБ" (სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო), რომელიც გახდა საბჭოთა კავშირის მთავარი უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტო. იგი აერთიანებდა საგარეო დაზვერვას (CIA-ს მსგავსი) და საშინაო უსაფრთხოებას (FBI-ის მსგავსი), რაც მოიცავდა საზღვრის დაცვას, თვალთვალს, ცენზურას და პოლიტიკურ პოლიციას. "КГБ-ს პირველი მთავარი სამმართველო ხელმძღვანელობდა საგარეო დაზვერვას, ხოლო მეორე მთავარი სამმართველო პასუხისმგებელი იყო შიდა კონტრდაზვერვაზე. მეხუთე მთავარი სამმართველო ორიენტირებული იყო სსრკ-ში განსხვავებული აზრისა და იდეოლოგიური დივერსიის ჩახშობაზე. KGB-ს პარალელურად აქტიურად მოქმედებდა "ГРУ", საბჭოთა გენერალური შტაბის დაზვერვის მთავარი სამმართველო. ის ხელმძღვანელობდა სამხედრო დაზვერვას და მოქმედებდა "КГБ"-სგან დამოუკიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ "ГРУ" საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი იყო, მას გააჩნა მაღალი პროფესიონალური რეპუტაცია და პასუხისმგებელი იყო ტექნიკურ და სტრატეგიულ სამხედრო დაზვერვაზე. ორივე სამსახური "КГБ" და "ГРУ" მართავდა ჯაშუშთა გლობალურ ქსელებს, იბირებდა უცხოელ მზვერავებს, აწარმოებდა თვალთვალს და შეძლო

[103] https://www.cia.gov/readingroom/docs/CIA-RDP89G00720R000500060008-2.pdf

დასავლურ ინსტიტუტებში ღრმა ინფილტრაცია. საბჭოთა კავშირის დაზვერვის მიზნები მოიცავდა ტექნოლოგიური საიდუმლოებების მოპოვებას, გლობალურ პოლიტიკურ მოვლენებზე გავლენას და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე არსებული და პოტენციური საფრთხეების განეიტრალებას.

ცივი ომის დროს საბჭოთა დაზვერვა იყენებდა დაზვერვის მეთოდების ფართო სპექტრს, რაც აერთიანებდა ტრადიციულ სადაზვერვო მიდგომებს, ფსიქოლოგიურ ომს და იდეოლოგიურ მანიპულაციას, კერძოდ:

ადამიანური დაზვერვა (HUMINT): საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მზვერავებს. ისინი იბირებდნენ საბჭოთა იდეოლოგიის მიმდევრებს, აშანტაჟებდნენ ჩინოვნიკებს და ამზადებდნენ გრძელვადიან მძინარე ჯაშუშებს. საბჭოთა კავშირის დაზვერვის მთავარი სამიზნეები იყვნენ დასავლეთში მცხოვრები კომუნისტები, იმედგაცრუებული და საკუთარ მთავრობაზე გაბრაზებული ინტელექტუალები, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

აქტიური ღონისძიებები: მოიცავდა დეზინფორმაციას, პროპაგანდას, საზღვარგარეთ რევოლუციური მოძრაობების მხარდაჭერას, მედიის მანიპულირებას და უცხო სახელმწიფოების მთავრობების და საზოგადოების აზრებზე ზემოქმედების მცდელობებს. “КГБ” სპეციალიზებული იყო ასეთ ოპერაციებში, რაც მოიცავდა გაყალბებებს, ჭორების გავრცელებას და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას ყალბი დოკუმენტების გავრცელებას გზით.

ტექნოლოგიური დაზვერვა (SIGINT) და ტექნოლოგიური შპიონაჟი: გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად ჩამორჩა დასავლეთს ტექნოლოგიების განვითარებაში. ამ ჩამორჩენის ფონზე, “КГБ” და “ГРУ” აქტიურად იყენებდნენ დიდ რესურსს იმისთვის, რომ გადაეჭირათ დასავლური კომუნიკაციის საშუალებები და მოეპოვებინათ მათი ტექნოლოგიური საიდუმლოებები სსრკ-ს ჩამორჩენის შესამცირებლად.

არალეგალების პროგრამა: საზღვარგარეთ საბჭოთა „არალეგალები“-ის დიდი ნაწილი იყო ღრმა დაშიფვრის აგენტი, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ ყალბი იდენტობის ქვეშ, ხშირად საბჭოთა კავშირთან ოფიციალური კავშირის გარეშე. ეს აგენტები წლების განმავლობაში იწვრთნებოდნენ და იგზავნებოდნენ სამიზნე ქვეყნებში, სადაც მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება, აგენტურული ქსელების შექმნა და გავლენის ოპერაციების განხორციელება.

კონტრდაზვერვა და თვალთვალი: საბჭოთა კავშირის შიგნით, “КГБ”-ს ჰქონდა ფართო სათვალთვალო სისტემა. ის აკონტროლებდა მოქალაქეებს, თრგუნავდა უთანხმოებას საზოგადოებაში და ახდენდა უცხოელი ჯაშუშების ან ეჭვმიტანილი მოღალატეების განეიტრალებას. “КГБ”-ს ასეთი მიდგომა ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მის ტერიტორიაზე დასავლური სპეცსამსახურების მუშაობას.

ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა განახორციელა არაერთი წარმატებული ოპერაცია, მათ შორის ზემოხსენებული **„კემბრიჯის ხუთეული“** და **„მანჰეტენის პროექტი“**-ში ინფილტრაცია, რის შედეგადაც საბჭოთა კავშირმა დააჩქარა ბირთვული ბომბის შექმნა. ამის გარდა, საბჭოთა სპეცსამსახურებმა წარმატებით მოახდინეს ისეთ დასავლურ სპეცსამსახურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში შეღწევა, როგორიც იყო ნატო, დასავლეთ გერმანიის სადაზვერვო სამსახური (BND), აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო და ფედერალური საგამოძიებო ბიურო (FBI). **ოლდრიჩ აიმსი**[104] (CIA-ში) და **რობერტ ჰანსენი (FBI)**[105] 1980-იანი წლებიდან მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ, რის შედეგადაც აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოებას მიადგა დიდი ზიანი. სადაზვერვო ღონისძიებების პარალელურად, საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა რევოლუციურ მოძრაობებს და პროკომუნისტურ რეჟიმებს მესამე ქვეყნებში, მათ შორის ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში. ხშირ შემთხვევაში, “КГБ”-ს ოფიცრები მსახურობდნენ მოკავშირე უცხოელი ლიდერების მრჩევლებად ან ხელს უწყობდნენ იარაღის გადაცემას და პროპაგანდისტულ ოპერაციებს.



საბჭოთა კავშირის შიგნით, “КГБ”-მ საზოგადოების მიმართ გაატარა ხისტი რეპრესიები იმისთვის, რომ ჩამოყალიბებულიყო იდეოლოგიური ერთგულება და განმტკიცებულიყო რეჟიმის უსაფრთხოება. სსრკ-ს კონტრდაზვერვის ოპერაციების სამიზნე იყო ჯაშუშები, დისიდენტები, ნაციონალისტები და რელიგიური ჯგუფები. “КГБ” მილიონობით მოქალაქის მიმართ ახორციელებდა ტოტალურ კონტროლს, მათ შორის ინფორმატორების დახმარებით. მიმდინარეობდა სატელეფონო ზარების მასშტაბური მოსმენები, ხდებოდა კორესპონდენციის მონიტორინგი, KGB იყენებდა ფიზიკურ თვალთვალსაც. ინფორმატორები წერდნენ ე.წ „დანოსებს“ მათ გარშემო არსებული საეჭვო ადამიანების და მათი ქმედებების შესახებ.

“КГБ” -ს მეხუთე მთავარი სამმართველო აქტიურად ებრძოდა განსხვავებულ აზრს. ის იყენებდა იდეოლოგიურ კონტროლს, რომლის სამიზნეები იყვნენ მწერლები, ინტელექტუალები და აქტივისტები. მწერლების და პოეტების ნამუშევრები

[104] https://www.fbi.gov/history/famous-cases/aldrich-ames
[105] https://www.fbi.gov/history/famous-cases/robert-hanssen

შესაბამისი ცენზურის მონიტორინგს გადიოდნენ. დისიდენტებს კი ძირითადად აპატიმრებდნენ ან აკავებდნენ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოგონილი დიაგნოზებით.

საბჭოთა კავშირის გარეთ კონტრ-დაზვერვითი საქმიანობის განსახორციელებლად გამოიყენებოდა **ე.წ „ზასლონის რაზმები“.** ისინი წარმოადგენდნენ ელიტურ კონტრ-სადაზვერვო ქვედანაყოფს, რომელიც აკონტროლებდა საბჭოთა საელჩოებს, საკონსულოებს და კულტურულ თუ სავაჭრო წარმომადგენლობებს, რაც მიმართული იყო საბჭოთა დიპლომატების და ოფიციალური პირების მხრიდან ანტი-საბჭოთა მოქმედებების პრევენციისკენ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურები ითვლებოდნენ ერთ-ერთ უძლიერეს სპეცსამსახურებად მსოფლიოში, ცივი ომის დროს მათ განიცადეს არაერთი მძიმე მარცხი. ცნობილმა მზვერავებმა, როგორებიც იყვნენ **ოლეგ პენკოვსკი, ოლეგ გორდიევსკი**[106] და **ვასილი მიტროხინი**[107] (“КГБ” -ს არქივარიუსი) არაერთხელ ჩაშალეს საბჭოთა კავშირის ოპერაციები. ხოლო მიტროხინის მიერ გასაჯაროებულმა KGB-ს არქივებმა, ცივი ომის შემდეგ გამოავლინა KGB-ს საქმიანობის ფართო ქსელები.

დასავლეთის მიერ საბჭოთა კავშირის მაღალი რანგის დაზვერვის ოფიცრების გადაბირებამ გამოიწვია არაერთი საბჭოთა აგენტურული ქსელის იდენტიფიცირება და აქტივების ნეიტრალიზაცია. ამავდროულად, საბჭოთა დაზვერვა ხშირად იყო შეზღუდული პოლიტიკური ხელმძღვანელობის იდეოლოგიური მიკერძოებით. ანალიტიკოსები ზოგჯერ აყალიბებდნენ სადაზვერვო ინფორმაციის ანალიზს პოლიტიკურ მოლოდინებთან შესაბამისობაში, რაც სტრატეგიულ შეცდომებს იწვევდა. ამ გარემოებებმა საბოლო ჯამში საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა კავშირის საგარეო სადაზვერვო სისტემის ჩამოშლას.

ცივი ომის დასასრულთან ერთად, “КГБ” და “ГРУ”-ს როლიც იცვლებოდა, თუმცა ეროვნულ უსაფრთხოებაში მათი როლი კვლავ მნიშვნელოვანი იყო. 1980-იან წლებში გორბაჩოვის მიერ **„პერესტროიკის“** გამოცხადებასთან და რეფორმების წამოწყებასთან ერთად, დაიწყო უსაფრთხოების სამსახურების უნებლიე დასუსტება. მიუხედავად იმისა, რომ KGB აგრძელებდა დისიდენტებისა და რეფორმისტული მოძრაობების მონიტორინგს, მათი ჩახშობის და რეპრესიების შესაძლებლობები შემცირებული იყო.

1991 წლის აგვისტოს წარუმატებელი გადატრიალება, რომელშიც “КГБ”-ს მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ, საბჭოთა სპეცსამსახურების დასასრულის დასაწყისი იყო. გადატრიალების მარცხმა “КГБ”-ის დისკრედიტაცია მოახდინა და საბჭოთა კავშირის დაშლა დააჩქარა. ამის შემდეგ, КГБ დაიშალა და მისი ფუნქციები დაიყო ახალ რუსულ ძირითად სპეცსამსახურებს შორის, როგორიცაა რუსეთის

[106] https://www.historyextra.com/period/cold-war/oleg-gordievsky-cold-war-double-agent-life/
[107] https://spartacus-educational.com/Vasili_Mitrokhin.htm

ფედერალური უსაფრთხოების სამსახური (**Федеральная служба безопасности ФСБ**) რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური (**Служба внешней разведки СВР**) და სხვა.



ცივი ომის შემდგომ, რუსეთს დარჩა დაზვერვის მძიმე მემკვიდრეობა. ერთის მხრივ, საბჭოთა უწყებებმა აჩვენეს შესანიშნავი შესაძლებლობები ჯაშუშობაში, დივერსიებსა და კონტრდაზვერვაში. მათ შექმნეს გლობალური ჯაშუშური ქსელები, შეაღწიეს მთავარ მოწინააღმდეგეთა ზურგში და გავლენა მოახდინეს გლობალურ პოლიტიკურ პროცესებზე. მეორე მხრივ, მათმა ქმედებებმა ხელი შეუწყო პარანოიის, რეპრესიებისა და მოტყუების ატმოსფეროს შექმნას, რამაც შეარყია როგორც საბჭოთა სახელმწიფო, ასევე მისი ლეგიტიმაცია. პოსტსაბჭოთა რუსეთში საბჭოთა დაზვერვის უმეტესი მიდგომა და ტრადიცია შენარჩუნდა. თავად ვლადიმირ პუტინი, კგბ-ს ყოფილი ოფიცერი, მოვიდა რუსეთის ხელისუფლების სათავეში, რაც საბჭოთა დაზვერვის მემკვიდრეობის სიმბოლო გახდა.

<u>ევროპული სპეცსამსახურები და რკინის ფარდა</u>

ცივი ომის დაწყების შემდეგ **მსოფლიო გაიყო 2 ბანაკად, სადაც დომინანტების აშშ-ს და საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების პარალელურად, მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ევროპული სპეცსამსახურები.** ძირითადად ეს იყვნენ დასავლეთს ბლოკის ქვეყნების სპეცსამსახურები, რომლებიც ნატოს, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მოკავშირეები იყვნენ, ხოლო რკინის ფარდის მეორე მხარეს მოქმედებდნენ აღმოსავლეთ ბლოკის სპეცსამსახურები, რომლებიც კგბ-სთან კოორდინაციაში მოქმედებდნენ. დასავლეთს და აღმოსავლეთის ბლოკების სპეცსამსახურების დაპირისპირება ყველაზე ინტენსიურად ევროპაში მიმდინარეობდა. ამ იდეოლოგიურმა დაპირისპირებამ, რომელიც მოიცავდა დემოკრატიული და ავტორიტარული რეჟიმების ქვეშ მყოფ სპეცსამსახურებს, ევროპა გადააქცია სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო ოპერაციების მთავარ საბრძოლო ველად.

დასავლური ბლოკი შედგებოდა დიდი ბრიტანეთს **MI5 და MI6 სპეცსამსახურებისგან,** რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსთან და ნატოსთან, **საფრანგეთის CDECE/DGSE დაზვერვის**

სამსახური, რომელმაც მნიშნელოვანი როლი ითამაშა ცივი ომის დროს დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის ჯაშუშების დაკვირვებასა და იდენტიფიცირებაში. ფრანგული სპეცსამსახურების ერთ-ერთ მნიშნელოვან ოპერაციად მიიჩნევა ოპერაცია "**Farewell Dossier".** 1980-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა ინჟინერმა - **ვლადიმერ ვეტროვმა**[108] (კოდური სახელწოდებით "დამშვიდობება") მიაწოდა ფრანგულ **DST-ს (Direction de la Surveillance du Territoire)** ათასობით დოკუმენტი, სადაც აღწერილი იყო საბჭოთა კავშირის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო დასავლური ტექნოლოგიების მოპარვისთვის. ფრანგულმა დაზვერვამ გაუზიარა აღნიშნული ინფორმაცია მოკავშირეებს. საბჭოთა კავშირის მხრიდან დასავლური ტექნოლოგიების მოპოვების აღსაკვეთად ჩატარდა მნიშვნელოვანი კონტრ-სადაზვერვო ღონისძიება, რომლის განმავლობაში აშშ საბჭოთა კავშირს აწვდიდა არასწორ ინფორმაციას დასავლური ტექნოლოგიების შესახებ. შედეგად, აღნიშნულმა ინფორმაციამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის რამდენიმე ტექნიკური პროგრამის ჩავარდნა. ამის გარდა, ცივი ომის პერიოდში იტალიის და ნატო-ს აქტიური მუშაობით ჩატარდა ოპერაცია **„გლადიო",** რომელიც მოიცავდა დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე ნახევრად სამხედრო დაჯგუფებების შექმნას საბჭოთა კავშირის პოტენციური ოკუპაციის შესაკავებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაჯგუფებებს თავდაცვითი ამოცანები გააჩნდათ, 1990 - იან წლებში მათ გამოაშკარავებამ გააჩინა არაერთი ეთიკური და სამართლებრივი კითხვა, განსაკუთრებით კი მათ პოტენციურ მონაწილეობასთან შიდა პოლიტიკური გავლენის ოპერაციებსა და იტალიის ტერიტორიაზე სხვისი დროშის ქვეშ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით.

რაც შეეხება დასავლეთ გერმანიას, მათი **BND (Bundesnachrichtendienst) და BFV (Bundesamt für Verfassungsschutz),** უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ დასავლეთ ევროპაში სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო მოქმედებებში.

აღმოსავლეთის ბლოკის მთავარ სპეცსამსახურებს წარმოადგენდნენ აღმოსავლეთ გერმანიის **„შტაზი" (Stasi-MfS)**, იგივე სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრო, რომელიც აღმოსავლეთის ბლოკის ყველაზე ძლიერ რეპრესიულ მანქანასა და სადაზვერვო სამსახურს წარმოადგენდა. მდიდარი აგენტურული ქსელის და ყოვლისმომცველი თვალთვალის ოპერაციების გამოყენებით, "შტაზი" ახორციელებდა მკაცრ კონტროლს აღმოსავლეთ გერმანიის მოსახლეობაზე და აწარმოებდა ფართომასშტაბიან ოპერაციებს დასავლეთში.

აღმოსავლეთ გერმანიის „შტაზის" ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ოპერაციას წარმოადგენდა შტაზის მზვერავის, **გიუნტერ გიომის**[109] შეღწევა დასავლეთ

[108] https://www.cia.gov/resources/csi/studies-in-intelligence/1996-2/the-farewell-dossier/
[109] https://www.hdg.de/lemo/biografie/guenter-guillaume.html

გერმანიის კანცლერის - **ვილი ბრანდტის**[110] ადმინისტრაციაში, სადაც ის გახდა მისი თანაშემწე. დაახლოებით 3 წლის განმავლობაში მას გააჩნდა წვდომა დასავლეთ გერმანიის მთავრობის სენსიტიურ ინფორმაციაზე, რომელსაც ის აქტიურად უზიარებდა აღმოსავლეთ გერმანიას. 1974 წელს გიომის მხილებამ გამოიწვია ვილი ბრანდტის გადადგომა და ნათელი გახადა შტაზის ინფილტრაციის ძლიერი შესაძლებლობები. აღნიშნულმა ინციდენტმა გამოიწვია მნიშვნელოვანი რეფორმები დასავლეთ გერმანიის კონტრ-დაზვერვაში.

შტაზი ასევე ცნობილი იყო **ე.წ „რომეო-ჯაშუშების“** გამოყენებით. კერძოდ, საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მამრობით სქესის შტაზის ჯაშუშები ამყარებდნენ ინტიმურ ურთიერთობებს დასავლეთ გერმანელ მდივნებთან, რომლებიც მუშაობდნენ სამთავრობო და სამხედრო დაწესებულებაში. ეს ოპერაციები ძალზე ეფექტური იყო და ე.წ **„რომეო ჯაშუშების“** მიერ შეგროვებულმა სადაზვერვო ინფორმაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა აღმოსავლეთ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სიტუაციური ცნობიერება.

რაც შეეხება სხვა აღმოსავლეთის ბლოკის სპეცსამსახურებს, ეს ძირითადად ჩეხოსლოვაკიის **„სტბ“ (StB Státní bezpečnost)** იყო, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა კბგ-სთან და ჩამოაყალიბა ფართო აგენტურული ქსელი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და პოლონეთის უშიშროების სამსახური **(Służba Bezpieczeństwa)**, რომელიც ჩართული იყო ოპოზიციური მოძრაობების ჩახშობაში და ჯაშუშობდა ნატო-ს ქვეყნების ტერიტორიაზე.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლური ბლოკის სპეცსამსახურები იდეოლოგიურად ერთ მხარეს იმყოფებოდნენ, ისინი ხშირად ერთმანეთთან კონკურენციის და უნდობლობის რეჟიმში მოქმედებდნენ. ბრიტანელები და ამერიკელები დომინირებდნენ ნატო-ს დაზვერვაში, ხოლო შედარებით პატარა ქვეყნები ძირითადად CIA-ს და MI6-ზე იყვნენ დამოკიდებულები. საფრანგეთმა, **შარლ დე გოლის** პრეზიდენტობის დროს მიაღწია მეტად დამოუკიდებელ გზას და ნატოსთან მხოლოდ მცირე რაოდენობით ინფორმაციას აზიარებდა. რაც შეეხება აღმოსავლეთის ბლოკს, “КГБ”-მ შექმნა მკაცრი იერარქიული და საზედამხედველო სისტემა ვარშავის პაქტის ქვეყნების სპეცსამსახურებზე. მიუხედავად ამისა, ისეთი სადაზვერვო სამსახურები, როგორიც იყო „შტაზი“, მიაღწია ოპერატიულ დამოუკიდებლობას და ხშირად, საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებზე უფრო ეფექტურად მუშაობდა.

ცივი პერიოდი არ იყო მხოლოდ იდეოლოგიური, ტექნოლოგიური და სამხედრო დაძაბულობის წყარო, ეს იყო დიდი და სასტიკი ჩრდილოვანი დაპირისპირება სადაზვერვო სამსახურებს შორის, რომელთა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ცივი ომის მსვლელობაზე. ევროპის კონტინენტზე სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო დაპირისპირებამ გავლენა იქონია არაერთ გადაწყვეტილებაზე, ჩამოაყალიბა საზოგადოების აღქმები და განსაზღვრა ევროპული ერების ბედი. ერთიანად, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ბლოკის სპეცსამსახურებმა ხელი შეუწყვეს თანამედროვე ევროპული სადაზვერვო სამსახურების განვითარებას.

[110] https://willy-brandt.de/en/willy-brandt/biography/

ისრაელის დაზვერვის აღზევება

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი არ მონაწილეობდა ცივ ომში, 1948 წელს დაარსების დღიდან ისრაელის სახელმწიფო მუდმივი საფრთხეების წინაშე დგას როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორებისგან. უსაფრთხოების ამ არასტაბილურმა გარემომ განაპირობა ძლიერი და მაღალკვალიფიციური სპეცსამსახურების ჩამოყალიბება, რომლებსაც თანამედროვე მსოფლიოში უდიდესი როლი გააჩნიათ. ისრაელის დაზვერვისა და კონტრ-დაზვერვის სამსახურებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს როგორც ომის, ისე მშვიდობის დროს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეროვნულ უსაფრთხოებაში, დიპლომატიასა და თავდაცვაში. ისრაელის სპეცსამსახურებს გააჩნიათ განსაკუთრებული ისტორია, რადგან დღევანდელი სპეცსამსახურების სტრუქტურა 1950 წლიდან ფაქტობრივად არ შეცვლილა.

ისრაელის დამოუკიდებლობამდე სადაზვერვო ღონისძიებებს აწარმოებდა **შაი (SHAI), „ჰაგანას“ (Haghana)** (ებრაული გასამხედროებული ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა ბრიტანეთის მანდატის ქვეშ მყოფ პალესტინაში) დაზვერვის განყოფილება. შაი აგროვებდა სადაზვერვო ინფორმაციას ბრიტანელების საქმიანობისა და არაბული ნაციონალისტური მოძრაობების შესახებ, რაც გახდა დამოუკიდებელი ისრაელის სპეცსამსახურების ჩამოყალიბების ძირითადი ბირთვი.

1948 წელს, ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ისრაელის პრემიერ-მინისტრი **დავიდ ბენ-გურიონი**[111] კარგად ხედავდა თუ რა საფრთხეების წინაშე იდგა ისრაელის სახელმწიფოებრიობა და აცნობიერებდა, რომ ყველა არსებულ საფრთხესთან გასამკლავებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ისრაელის დაზვერვის და კონტრ-დაზვერვის ეფექტური ცენტრალიზებული სამსახურების სწრაფი ჩამოყალიბება. 1949-1950 წლებში ჩამოყალიბდა ისრაელის სპეცსამსახურების ძირითადი ნაწილი, რომელებსაც დღესაც მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, გლობალურ დონეზე.

1949 წელს ჩამოყალიბდა **შინ ბეტი Shin Bet (Shabak)**: რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორიზმთან ბრძოლა და კონტრ-დაზვერვა;

[111] https://www.jewishvirtuallibrary.org/david-ben-gurion

შემდგომში შეიქმნა **სპეციალური ოპერაციებისა და დაზვერვის ინსტიტუტი**, იგივე **მოსადი (Mossad),** საგარეო დაზვერვის სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია საზღვარგარეთ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებაზე, ფარულ ოპერაციებზე და კონტრ-ტერორიზმზე. ასევე, მოსადის ფუნქციები მოიცავს საზღვარგარეთ საბოტაჟის და დივერსიების მოწყობას.

1950 წელს ჩამოყალიბდა ამანი **AMAN (სამხედრო დაზვერვის დირექტორატი),** რომელიც წარმოადგენს **ისრაელის თავდაცვის ძალების (IDF)** დეპარტამენტს და პასუხისმგებელია სამხედრო დაზვერვაზე, ტექნოლოგიურ დაზვერვასა (SIGINT) და ვიზუალურ დაზვერვაზე (IMINT).

თითოეულ სამსახურს გააჩნია მკაფიო მანდატი და ფუნქციები, თუმცა ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განსაკუთრებით რთული ოპერაციების დროს, რომლებიც მოიცავს დაზვერვის შეგროვებისა და ღონისძიებების კომპლექსურ ერთობას.

ისრაელის სპეცსამსახურებს უკავშირდება არაერთი წარმატებული საგარეო თუ საშინაო ოპერაცია, რომელმაც გააძლიერა მათი საერთაშორისო რეპუტაცია და აჩვენა მსოფლიოს ისრაელის ერთგულება სამართლიანობისა და ისტორიული პასუხისმგებლობის მიმართ.

ამ კუთხით, მოსადის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ადრეული ოპერაცია **„გარიბალდი“** იყო. ჰიტლერის რეჟიმის ჩამონგრევის შემდეგ, ჰოლოკოსტის მთავარმა არქიტექტორმა **ადოლფ ეიჰმანმა**[112] თავი შეაფარა არგენტინას, სადაც ის ცხოვრობდა ყალბი სახელითა და გვარით. 1960 წელს მოსადის ოპერატიულმა თანამშრომლებმა გაარკვიეს ეიჰმანის ლოკაცია და გაიტაცეს ის არგენტინიდან ისრაელში სადაც ის წარსდგა სასამართლოს წინაშე. ის სიკვდილით დაისაჯა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის.

ისრაელის დაზვერვამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **„ექვსდღიან ომში“**[113]**,** რომელიც მიმდინარეობდა ისრაელსა და არაბული ქვეყნების გაერთიანებას **(იორდანია, სირია, ერაყი, ეგვიპტე)** შორის. ამანის ზუსტმა სადაზვერვო ინფორმაციამ და შეფასებებმა ისრაელის საჰაერო ძალებს საშუალება მისცა, გაენადგურებინათ ეგვიპტის, იორდანიის და სირიის საჰაერო ძალები პრევენციული დარტყმებით, რამაც წარმატება მოუტანა ისრაელს. ომის გამარჯვების შედეგად, ისრაელმა გაანადგურა მტრის 400-ზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი, მათ შორის 60 ჰაერში. ასევე, განადგურდა 500-მდე ტანკი, რაც მოწინააღმდეგის სამხედრო ტექნიკის დაახლოებით 70%-ს შეადგენდა. ომში დაიღუპა 15000-ზე მეტი ეგვიპტელი, 6000 იორდანელი და 1000 სირიელი ჯარისკაცი. ამანის წარმატება ეყრდნობოდა სხვადასხვა სახის სადაზვერვო ინფორმაციის ეფექტურ გამოყენებას, რაც ისრაელს აძლევდა ჰაერში უპირატესობას, სწრაფი შეტევის განხორციელების საშუალებასა და საბოლოო გამარჯვებას.

[112] https://www.britannica.com/biography/Adolf-Eichmann
[113] https://www.britannica.com/summary/Six-Day-War

ისრაელისთვის პატრიოტიზმი, სამართლიანობა, იდენტობა და ისტორიული პასუხისმგებლობა ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. სწორედ ასეთმა სულისკვეთებამ დიდი გავლენა მოახდინა როგორც ისრაელის სახელმწიფოს განვითარებაზე, ასევე, სპეცსამსახურების მუშაობის ეფექტურობასა და მორალზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანი და წარმატებული აღმოჩნდა მოსადის მიერ ჩატარებული ოპერაცია **„ღმერთის რისხვა - Wrath of God**“. 1972 წელს, **მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე** პალესტინურმა ჯგუფმა **„შავი სექტემბერი“**[114] განახორციელა **თავდასხმა ებრაელ სპორტსმენებზე,**[115] რის შედეგადაც დაიღუპა ისრაელის 11 მოქალაქე. ამის საპასუხოდ, მოსადმა დააინიცირა „ღმერთის რისხვის“ საიდუმლო ოპერაცია, რომლის მიზანი იყო ევროპაში, ლიბანსა და მის გარეთ ყველა იმ პირების ლიკვიდაცია, ვინც ებრაელი სპორტსმენების მკვლელობაზე იყო პასუხისმგებელი. ეს ოპერაცია მიმდინარეობდა 10 წლის განმავლობაში, რის შედეგადაც ლიკვიდირებული იყო არაერთი პასუხისმგებელი პირი. წარმატების მიუხედავად, აღნიშნული ოპერაცია კრიტიკის საგანი გახდა, რადგან მოსადის ოპერატიულმა თანამშრომლებმა შეცდომით მოკლეს უდანაშაულო მაროკოელი მიმტანი. ამას მოჰყვა საერთაშორისო გამოხმაურება და ბევრი კითხვა გაჩნდა ფარული ოპერაციების სამოქალაქო გარემოში ჩატარების ეფექტურობასთან დაკავშირებით. ისრაელის სპეცსამსახურებმა ცენტრალური როლი ითამაშეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სტრატეგიაში. ისინი აბალანსებდნენ საიდუმლოებას, ტექნოლოგიურ ინოვაციას და სადაზვერვო მიდგომებს.

ხაზგასასმელია შინ ბეტის, ისრაელის შიდა უსაფრთხოების სამსახურის ისტორიაში, 1984 წლის **N300 ავტობუსის ქეისი,**[116] როდესაც შინ-ბეტის ოპერატიულმა თანამშრომლებმა სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასაჯეს ორი დატყვევებული პალესტინელი მებრძოლი, რომლებმაც გაიტაცეს ავტობუსი. ამ ფაქტის დამალვამ გამოიწვია ეროვნული აღშფოთება და გახმაურებული გადადგომები, რის შედეგადაც დაიწყო სპეცსამსახურებზე ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეფორმები. შინ ბეტის ოპერაციების კიდევ ერთი ქვაკუთხედი იყო არაბი ინფორმატორების დაქირავება, ხშირად იძულებისა და წახალისების გამოყენებით. ეს სადაზვერვო ქსელები არსებითი იყო პირველი და მეორე ინტიფადების დროს, რაც დაეხმარა ისრაელს თვითმკვლელი ტერორისტების გეგმების ჩახშობასა და არალეგალური ტერორისტული ქსელების დემონტაჟში.

[114] https://greydynamics.com/black-september-the-origins-of-palestinian-militancy/
[115] https://www.britannica.com/event/Munich-Massacre
[116] https://www.jewishvirtuallibrary.org/the-bus-300-affair

1990-იან და 2000-იან წლებში, ახალი საფრთხეების საპირწონედ ისრაელის სადაზვერვო სამსახურები სწრაფად განვითარდნენ და განავითარეს ტექნოლოგიური დაზვერვა (SIGINT), კიბერ შესაძლებლობები და სათვალთვალო ინსტრუმენტები. "**Unit 8200**", კიბერ-დაზვერვის განყოფილება ამანის მეთაურობით, გადაიქცა მსოფლიოში ერთ-ერთ მთავარ SIGINT ერთეულად. ამ ეპოქაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ოპერაცია იყო "**Stuxnet"**-ი[117], რომლის შედეგად ირანის ურანის გამდიდრების ადგილას მოხდა კომპიუტერული ვირუსის განთავსება, რომელმაც მოახდინა ურანის ცენტრიფუგების დაზიანება და შეაფერხა ურანის გამდიდრების პროგრამა.

2010-დან 2020 წლამდე, მკვლელობების სერია ირანელი ატომური მეცნიერების მიმართ ასევე დაკავშირებული იყო მოსადთან, თუმცა ისრაელს ოფიციალურად არასოდეს აუღია პასუხისმგებლობა. წლების განმავლობაში ისრაელის დაზვერვა გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ფართო მთელს მსოფლიოში, მისი ეფექტურობით, ინოვაციებითა და გლობალურ უსაფრთხოებაში მისი მნიშვნელოვანი წვლილის გამო.

გარდამავალი პერიოდი ცივი ომის დასრულებიდან 9/11 ტერორისტულ თავდასხმამდე

ცივი ომის დასრულების შემდგომ მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალი წესრიგი. საბჭოთა კავშირის დაშლამ დაასრულდა ბიპოლარული დაპირისპირება, მათ შორის სპეცსამსახურებს შორის. დასავლურმა სპეცსამსახურებმა, განსაკუთრებით აშშ-მ და ნატოს მოკავშირე ქვეყნებმა დაიწყეს ყურადღების გადატანა საბჭოთა სამხედრო შესაძლებლობების შესწავლიდან და იდეოლოგიური შპიონაჟიდან ახალ საფრთხეებზე, რაც მოიცავდა საერთაშორისო ტერორიზმს, რეგიონულ კონფლიქტებს, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობას, კიბერ საფრთხეები და ტრანსნაციონალური ორგანიზებულ დანაშაულს. სპეცსამსახურებისთვის გარდამავალი პერიოდი გამოწვევებით აღსავსე აღმოჩნდა, რადგან მათ უჭირდათ მყისიერი ადაპტაცია მულტიპოლარულ, კომპლექსურ და არაპროგნოზირებად უსაფრთხოების გარემოსთან, რომელიც მოითხოვდა სადაზვერვო ღონისძიებების და მეთოდების მკვეთრ გადახედვას.

საბჭოთა კავშირის დაშლამ გლობალურ სადაზვერვო გარემოში დიდი ცვლილებები გამოიწვია. ცივი ომის დროს ორივე ბლოკის სპეცსამსახურების სტრუქტურა ფოკუსირებული იყო სტრატეგიულ და სამხედრო დაზვერვაზე, კონტრ-დაზვერვაზე და იდეოლოგიურ ბრძოლაზე. ცივი ომის დასრულებამ გააქრო მთავარი მოწინააღმდეგე - საბჭოთა კავშირი, რომელზეც ორიენტირებული იყო დასავლური **სპეცსამსახურების CIA, MI6, DGSE, BND** და სხვების პრიორიტეტები, რის შედეგადაც ისინი სტრატეგიულ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. ცივი ომის სადაზვერვო სტრატეგიული მოდელი, რომელიც ფოკუსირებული იყო მტრულად განწყობილი სახელმწიფოების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე, აღარ იყო აქტუალური.

[117] https://www.trellix.com/security-awareness/ransomware/what-is-stuxnet/

ახალ უსაფრთხოების გარემოში, არასახელმწიფო აქტორები, როგორიც არის ტერორისტული ორგანიზაციები, იარაღის დილერები, ნარკოკარტელები და თაღლითური ჯგუფები, სპეცსამსახურების მთავარი სამიზნე გახდა. მაგალითისთვის, ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ დაიწყო ნარკოკარტელების საწინააღმდეგო ოპერაციები ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. ხოლო, ევროპულმა სპეცსამსახურებმა გააძლიერეს თანამშრომლობა ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით, რაც გამოწვეული იყო შენგენის შეთანხმების ფარგლებში, საზღვრების გახსნის შემდეგ პან ევროპული კრიმინალური ქსელების გაჩენის საპასუხოდ.

პოსტ-ცივი ომის სადაზვერვო მოდელზე გადასვლა არ იყო მარტივი. სადაზვერვო სააგენტოების დოქტრინები მოძველებული იყო, გაჩნდა სტრუქტურული პრობლემები და დაიწყო მათი დაფინანსების შემცირების პროცესი. 90-იან წლებში დაიწყო **„მშვიდობის დივიდენდი“**[118]-ს ინიციატივის განხორციელება, რაც გულისხმობდა დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში თავდაცვითი და სადაზვერვო ხარჯების შემცირებას. ასიმეტრიული საფრთხეების გაზრდის ფონზე, ისეთ სააგენტოებს, როგორიც იყო CIA შეექმნათ პრობლემები ადამიანური დაზვერვის (HUMINT) და ანალიტიკური შესაძლებლობების კომპონენტში, რადგან მთელი სააგენტო ფოკუსირებული იყო ცივი ომის დროინდელ საფრთხეებზე, ხოლო ახალ საფრთხეებთან ადაპტირება მოითხოვდა დროს და რესურსებს.

90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული მოვლენა იყო ისლამური ტერორისტული ქსელების მზარდი აქტივობა. ამ ჯგუფებს შორის ყველაზე აქტიურ ტერორისტულ ორგანიზაციას - **ალ-ქაიდა**[119] წარმოადგენდა, რომელიც 1988 წელს **ოსამა ბინ ლადენმა**[120] დააფუძნა. ტერორისტული ორგანიზაციების გაფრთხილებების მიუხედავად, დასავლურმა სადაზვერვო სააგენტოებმა სრულად ვერ გაანალიზეს ამ ახალი საფრთხის მასშტაბები და ამბიცია. 1993 წელს ნიუ იორკში, **მსოფლიო სავაჭრო ცენტრში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა**,[121] რომელმაც შეიწირა 6 ადამიანის სიცოცხლე და დაშავდა 100-მდე ადამიანი, იყო ადრეული გამაფრთხილებელი ნიშანი იმის შესახებ, რომ მომავალში მოსალოდნელი იყო მეტად მასშტაბური ტერორისტული ღონისძიებები. ამ თავდასხმის სიმძიმის მიუხედავად, ის აღქმულ იქნა როგორც კრიმინალური აქტი და არა როგორც ეროვნული უსაფრთხოების საკითხი.

[118] https://en.wikipedia.org/wiki/Peace_dividend
[119] https://www.congress.gov/crs-product/IF11854
[120] https://www.fbi.gov/history/famous-cases/osama-bin-laden
[121] https://www.fbi.gov/history/famous-cases/world-trade-center-bombing-1993

1990-იანი წლების განმავლობაში ალ-ქაიდამ გააფართოვა თავისი ოპერატიული შესაძლებლობები მთელს მსოფლიოში, რაც დადასტურდა 1998 წელს **აშშ-ს საელჩოების აფეთქებებმა კენიასა და ტანზანიაში**[122]. ამ თავდასხმამ გამოიწვია აშშ-ს პირველი სამხედრო პასუხი ალ-ქაიდას სამიზნეებზე ავღანეთსა და სუდანში ოპერაციის **"Infinite Reach"-ის**[123] ფარგლებში. მიუხედავად ამისა, დასუსტებულმა დაზვერვამ და მტრულ გარემოში აგენტურული ქსელების ნაკლებობამ, მნიშვნელოვნად შეზღუდა CIA-ს სადაზვერვო შესაძლებლობები და შეუძლებელი ხდებოდა ბინ-ლადენის ადგილსამყოფელის დადგენა ან მისი ქმედებების პროგნოზირება.

დაზვერვის კიდევ ერთი მარცხი მოხდა ბალკანეთში. ყოფილ იუგოსლავიაში ომების დროს, კერძოდ კი 1995 წელს **სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტის**[124] დროს, დასავლურმა დაზვერვამ არასაკმარისად შეაფასა ეთნიკური წმენდის მასშტაბები და ვერ შეძლო სისასტიკის თავიდან აცილება. ანალოგიურად, 1994 წელს რუანდის გენოციდის შესახებ დაზვერვა არასაკმარისად იყო ინფორმირებული და ძირითადი გაფრთხილებები ყურადღების გარეშე დარჩა, რამაც გამოაშკარავა ცივი ომის პერიოდის დაზვერვის მიდგომების ადაპტაციის სირთულე კომპლექსურ ჰუმანიტარულ კრიზისებთან გამკლავებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შორის ტრადიციული ჯაშუშობა შემცირდა, ის სრულად არ გამქრალა. რუსეთის სპეციალური სამსახურები, როგორებიც იყვნენ ახლად ჩამოყალიბებული ФСБ და СВР, კვლავ აქტიურად ჩართულები იყვნენ ჯაშუშურ ოპერაციებში, განსაკუთრებით ნატოსა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. 1990-იან წლებში კვლავ გაჩნდა წუხილები რუსული სპეცსამსახურების აქტივობებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით სამრეწველო და ტექნოლოგიური საიდუმლოებების მოპოვების მიმართულებით. დასავლურმა სპეცსამსახურებმა დაიწყეს კონტრ-სადაზვერვო მიმართულებების გაძლიერება როგორც რუსული, ასევე ჩინური სპეცსამსახურების შესაკავებლად, რომლებიც აქტიურად ახორციელებდნენ ეკონომიკურ და სამეცნიერო დაზვერვას.

დასავლური სპეცსამსახურებისთვის კიდევ ერთი საზრუნავი მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა შიში, რომ ბირთვული მასალები, ბირთვული ცოდნა ან თუნდაც ბირთვული იარაღი შესაძლებელი იყო მოხვედრილიყო მტრული სახელმწიფოების ან ტერორისტული ორგანიზაციების ხელში. ამ საფრთხემ გამოიწვია ისეთი ინიციატივების დაწყება, როგორიც იყო **ნან-ლუგარის საფრთხის შემცირების პროგრამა**[125]**,** რომელიც მიზნად ისახავდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ფხვიერი ბირთვული მასალების დაცვის უზრუნველყოფას.

დასავლური სპეცსამსახურების დაინტერესების სფეროს ასევე ერაყის სავარაუდო მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამაც წარმოადგენდა. 1991 წლის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, გაეროს შეიარაღების ინსპექტორებმა, აშშ-ს და

[122] https://www.fbi.gov/history/famous-cases/east-african-embassy-bombings
[123] https://en.wikipedia.org/wiki/Operation_Infinite_Reach
[124] https://www.britannica.com/event/Srebrenica-genocide
[125] https://nsarchive.gwu.edu/about-nunn-lugar-project

ბრიტანეთის დაზვერვის მხარდაჭერით, შეეცადნენ ერაყის მასობრივი განადგურების შეიარაღების შესაძლებლობების მონიტორინგს და დახურვას. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, სადამ ჰუსეინის რეჟიმი ოსტატურად ახდენდა ინსპექტირების მანიპულირებას და იყენებდა სხვადასხვა კონტრ-სადაზვერვო მეთოდს იმისთვის, რომ ხელი შეეშალა ინსპექტირებისთვის. ეს გაურკვევლობა მოგვიანებით გამოყენებულ იქნა **2003 წელს ერაყში შეჭრის**[126] გასამართლებლად.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში, დაზვერვამ მნიშვნელოვნად გაზარდა ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. ტექნოლოგიური დაზვერვა და სატელიტური თვალთვალი სულ უფრო და უფრო საკვანძო როლს იკავებდა დასავლურ სპეცსამსახურების საქმიანობაში, განსაკუთრებით კი **აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოში (NSA)**. ციფრული კომუნიკაციის განვითარებამ, მობილურმა ტელეფონებმა და ინტერნეტის მასობრივმა გამოყენებამ სადაზვერვო სამსახურებისთვის შექმნა ახალი თვალთვალისა და მიყურადების შესაძლებლობები, თუმცა ამ პროცესს თან ახლდა გამოწვევებიც, რაც გამოიხატებოდა სამართლებრივ შეზღუდვებსა და კოდირებაში. პარალელურად, კიბერ საფრთხეების გაჩენა 2000 წლის ბოლოს გახდა ახალი თავისტკივილი სპეცსამსახურებისთვის, განსაკუთრებით კიბერ-შპიონაჟისა და კიბერ ომის კონტექსტში. 2000 წლიდან სპეცსამსახურებმა აქტიურად დაიწყეს რეფორმები კიბერ შესაძლებლობების განვითარების მიმართულებით.

მზარდი ტრანსნაციონალური საფრთხეების საპასუხოდ, 90-იან წლებში, სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარება და დასავლურ სადაზვერვო სამსახურებს შორის თანამშრომლობა გახდა განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანი. აშშ-მ და მოკავშირე ქვეყნებმა დაიწყეს სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის ინსტიტუციონალიზაცია ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შესახებ. მრავალეროვნულმა ორგანიზაციებმა, როგორიც არის ნატო, დაიწყეს დაზვერვის ინტეგრირება სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის ოპერაციებში, მათ შორის კოსოვოსა და ბოსნიაში.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სადაზვერვო თანამშრომლობა და კოორდინაცია ძლიერდებოდა, ქვეყნის შიდა დონეზე სპეცსამსახურებს შორის კოორდინაციაში კვლავ არსებობდა ბარიერები, განსაკუთრებით კი აშშ-ში. CIA-ს, FBI-ს, NSA-ს და სხვა სააგენტოებს შორის კოორდინაციას აფერხებდა ბიუროკრატიული ბარიერები, სამართლებრივი შეზღუდვები და კონკურენცია, რაც კარგად გამოჩნდა **9/11 ტერაქტის**[127] შემდგომ.

[126] https://www.britannica.com/event/Iraq-War
[127] https://www.britannica.com/event/September-11-attacks

ცივი ომის დასრულებასა და 9/11 მოვლენებს შორის გახდა გარდამავალი ათწლეული გლობალური უსაფრთხოების გადახედვისა და სპეცსამსახურების რეფორმირების მიმართულებით. სპეცსამსახურებს მოუწიათ მკვეთრი ბიპოლარული და მეტად პროგნოზირებული უსაფრთხოების გარემოდან მრავალ პოლარულ სისტემაზე

ადაპტირება, სადაც საფრთხეების პროგნოზირება ძალიან რთული აღმოჩნდა. ახალი გლობალური უსაფრთხოების სისტემისთვის დამახასიათებელი იყო სტრატეგიული გაურკვევლობა, არა-სახელმწიფო საფრთხეები, რეგიონული არასტაბილურობა და ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ დასავლური სპეცსამსახურები ეფექტურად უმკლავდებოდნენ ნარკოტიკებთან ბრძოლას, მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობას და რეგიონული კონფლიქტების მონიტორინგს, გაჩნდა ისეთი ბრმა წერტილები, როგორიც იყო ტერორიზმი და ასიმეტრიული საფრთხეები.

ალ-ქაიდას საერთაშორისო დონეზე გაძლიერებამ ნათელი გახადა სპეცსამსახურების სისუსტეები, რომლებიც ჯერ არ იყვნენ სრულად ადაპტირებულები ახალ უსაფრთხოების გარემოსთან. 9/11-ის მოვლენებმა შექმნა ახალი უსაფრთხოების გარემო, სადაც სპეცსამსახურებს თავიანთი მეთოდებისა და მიდგომების ყოვლისმომცველი გადაფასების საჭიროება დაუდგათ.

პოსტ 9/11 რეფორმები დაზვერვაში

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულმა თავდასხმებმა გამოიწვია სპეცსამსახურების საქმიანობისა და მიდგომების გადახედვის აუცილებლობა, რაც გამოწვეული იყო არაერთი ხარვეზით. საგამოძიებო კომისიებმა დაადგინეს, რომ სპეცსამსახურებს შორის მიმდინარეობდა არაეფექტური კოორდინაცია, ინფორმაციის გაზიარების ნაკლებობა, ფრაგმენტული სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება, არასწორი ანალიზი და ანტი-ტერორისტული სტრატეგიის არარსებობა. ამის გარდა, სპეცსამსახურების მიდგომები კვლავ ეფუძნებოდა ცივი ომის დროის აღქმებს, რაც გულისხმობდა მთავარ გამოწვევებად მტრული სახელმწიფოებიდან მომდინარე ტრადიციული საფრთხეების, მათ შორის სადაზვერვო ღონისძიებებსა და სამხედრო რისკებზე ორიენტირებას. ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ისეთ არასახელმწიფო აქტორებს, როგორიც იყო ალ-ქაიდა, რამაც გამოიწვია საერთაშორისო დონეზე ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება.

9/11 საპასუხოდ, აშშ-ს მთავრობამ უსაფრთხოების სექტორში დაიწყო ყოვლისმომცველი რეფორმები. **2001 წელს მიღებულ იქნა პატრიოტი აქტი[128],** რომელმაც გააფართოვა სამართალდამცავი და სადაზვერვო სააგენტოების მუშაობის არეალი, რაც მოიცავდა მეტ წვდომას კომუნიკაციაზე, ფინანსურ საიდუმლოებებსა და სხვა პერსონალურ ინფორმაციაზე. 2002 წელს, ჩამოყალიბდა **შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი (Department of Homeland Security),** ხოლო 2004 წელს შეიქმნა **ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისი (Office of the Director of National Intelligence - DNI)**, რომელიც აკონტროლებდა და კოორდინაციას უწევდა აშშ-ს უსაფრთხოების 18 სამსახურს. ეს მიდგომა ასახავდა პრევენციული დაზვერვის გაძლიერებას, რას გულისხმობდა საფრთხეების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებას და მათ განეიტრალებას.

საერთაშორისო დონეზე, ანტი-ტერორიზმი გახდა ერთ-ერთი მთავარი საფრთხე დასავლური სპეცსამსახურებისთვის. შედეგად, მოკავშირე ქვეყნებს შორის გაძლიერდა საერთაშორისო თანამშრომლობა, გააქტიურდა ინფორმაციის გაზიარების მაჩვენებელი როგორც ორმხრივი ხელშეკრულებებით, ასევე, ისეთი ინსტიტუტების ჩართულობით, როგორი არის ნატო და ინტერპოლი. დასავლურმა ქვეყნებმა გააძლიერეს შიდა უსაფრთხოების კანონმდებლობა, სათვალთვალო სისტემები და გააძლიერეს საზღვრის კონტროლის მექანიზმები. ამ პროცესის პარალელურად, გაფართოვდა ევროპული და ამერიკული სადაზვერვო ქსელები ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში. ასევე, დიდი ინვესტირება განხორციელდა ადამიანურ დაზვერვაში (HUMINT), ტექნოლოგიურ და კიბერ დაზვერვის შესაძლებლობების გაძლიერებაში.

11 სექტემბრის ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი იყო საფრთხეების ინტეგრირებული შეფასების საჭიროება. ამან განაპირობა სადაზვერვო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფებისა და ფორმატების ჩამოყალიბება როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე. ამ პროცესმა ხელი შეუწყო სადაზვერვო ინფორმაციის რეალურ დროში გაზიარების შესაძლებლობას სამხედრო, სამართალდამცავ და სამოქალაქო უწყებებს შორის. სადაზვერვო საზოგადოებაში დაიწყო ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მოიცავდა ბიომეტრიას, დრონებს და ხელოვნურ ინტელექტს.

[128] https://www.fincen.gov/resources/statutes-regulations/usa-patriot-act

უსაფრთხოების სექტორის განვითარებას და სადაზვერვო შესაძლებლობების გაფართოებას თან მოჰყვა ისეთი გამოწვევები, როგორებიც იყო მათი საქმიანობის თანხვედრა დემოკრატიულ ღირებულებებთან. **ედვარდ სნოუდენის**[129] მიერ გასაჯაროებულმა ინფორმაციამ, რაც დაკავშირებული იყო მასობრივ თვალთვალთან და დაკითხვების არაჰუმანურ მეთოდებთან, აღშფოთება გამოიწვია დემოკრატიულ საზოგადოებებში. დღემდე გრძელდება დებატები ადამიანის უფლებებსა და სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდების ბალანსის საჭიროებაზე.

საბოლოოდ, 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა მსოფლიოში ძირეულად შეცვალა უსაფრთხოების გარემო. არასახელმწიფო აქტორები, განსაკუთრებით კი **ჯიჰადისტური ტერორიზმი** გახდა საერთაშორისო სადაზვერვო საზოგადოების მთავარი სამიზნე. სპეცსამსახურებმა მოახდინეს შიდა რეორგანიზაცია, გააძლიერეს საერთაშორისო თანამშრომლობა და დაიწყეს მეტად პროაქტიული და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სადაზვერვო ღონისძიებები.

თანამედროვე დაზვერვა და კონტრდაზვერვა

21-ე საუკუნეში დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა. ინოვაციურმა ტექნოლოგიებმა, ჰიბრიდულმა საფრთხეებმა, კიბერ ომმა და დიდი ძალების კონკურენციამ ფუნდამენტურად შეცვალა სპეცსამსახურების მუშაობის

მიდგომები. დღევანდელი სადაზვერვო გარემო გამოირჩევა გლობალური ძალების - აშშ-ს, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, ევროპის კავშირის, ჩინეთის, ირანის და ისრაელის სპეცსამსახურებს შორის კონკურენციისა და თანამშრომლობის რთული სიმბიოზით. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული დაზვერვა რჩება სპეცსამსახურების მთავარ საყრდენად, გამოიკვეთა ახალი რისკები, რომელიც მოიცავს ისეთ მიმართულებას, როგორიც არის საინფორმაციო ოპერაციები,

[129] https://www.britannica.com/biography/Edward-Snowden

ტერორიზმი, კიბერ-შეტევები, გლობალურ პანდემიები, კლიმატის ცვლილება, ტრანსნაციონალური დანაშაული და ეკონომიკურ ომი. ისეთი სახელმწიფოების სპეცსამსახურების სადაზვერვო მეთოდები, როგორიც არის ჩინეთი, რუსეთი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა მნიშვნელოვნად განვითარდა და მეტად დახვეწილი და საშიში გახდა. ისინი აქტიურად იყენებენ კიბერ თავდასხმებს და შპიონაჟს, პოლიტიკური გავლენის ოპერაციებსა და მარიონეტულ რეჟიმებს თავისი ოპერატიული თუ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

კიბერ-შპონაჟი და კიბერ კონტრდაზვერვა გახდა სპეცსამსახურების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. გახშირდა კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე სახელმწიფოების მიერ დაფინანსებული კიბერ შეტევები და სამთავრობო და მსხვილი კორპორაციების მონაცემთა ბაზების მოპარვის ფაქტები. მაგალითისთვის 2020 წელს, რუსეთის ჰაკერული ჯგუფის მიერ აშშ-ს ფედერალური მთავრობის მონაცემთა ბაზაში შეღწევამ და მოცულობითი საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებამ **(Solar Winds Hack)** დაანახა მსოფლიოს, რომ ყველაზე დაცული ქსელებიც კი დაუცველია. შედეგად, დასავლურმა სპეცსამსახურებმა უდიდესი ინვესტიცია განახორციელეს ციფრულ ექსპერტიზაში, ქსელების დაცვასა და თავდასხმითი კიბერ შესაძლებლობების გაძლიერებაში.

კიბერ შეტევების პარალელურად, დეზინფორმაცია, პროპაგანდა და გავლენის ოპერაციები გახდა მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი იარაღი. რუსეთის ჩარევებმა დემოკრატიულ არჩევნებში, **მათ შორის ევროპასა და აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ნათელი გახადა,** თუ როგორ შეუძლია პროპაგანდასა და ფსიქოლოგიურ ომს საზოგადოების დესტაბილიზაცია. ამ მეთოდებთან ბრძოლა მოითხოვს ძლიერ დაზვერვას, მედიის მონიტორინგს, ქცევის ანალიზს და მჭიდრო თანამშრომლობას სოციალურ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. ამავდროულად, სპეცსამსახურები სულ უფრო მეტად დამოკიდებულები ხდებიან ღია წყაროების დაზვერვაზე (OSINT). სოციალური მედიიდან, კომერციული სატელიტებიდან და საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემთა ბაზებიდან ხელმისაწვდომი ინფორმაცია ავსებს დაზვერვის ტრადიციულ ფორმებს, რაც სპეცსამსახურების ანალიტიკოსებს გლობალურ პროცესებთან დაკავშირებით რეალურ დროში ინფორმაციის და მოვლენების გადამოწმების საშუალებას აძლევს.

დღევანდელ სადაზვერვო საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია მნიშვნელოვანი ინსტიტუციური განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატების გაძლიერება. ერთობლივი სამუშაო ჯგუფები და სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარების მრავალმხრივი მექანიზმები **(მაგ. ხუთი თვალის ალიანსი)**[130] მეტად ეფექტურს ხდის გლობალურ საფრთხეებთან ერთიანი მიდგომებისა და მოქმედებების შემუშავებას. ტექნოლოგიურად, სპეცსამსახურები აერთიანებენ ანალიტიკოსების, ხელოვნური

[130] https://privacyinternational.org/learn/five-eyes

ინტელექტის (AI) და ტექნოლოგიური პროგრესის პოტენციალს თავიანთ ანალიტიკურ საქმიანობაში. მაგალითისთვის, AI-ს შეუძლია მონაცემთა დიდი მოცულობის დამუშავება, ფაქტებს შორის კავშირების აღმოჩენა და ქცევის პროგნოზირებაც კი. თუმცა, ამას მოაქვს გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ალგორითმულ მიკერძოებასთან, გამჭვირვალობასა და ზედამხედველობასთან.

ადამიანური დაზვერვა რჩება სპეცსამსახურების მთავარ ბერკეტად, თუმცა ციფრული ეპოქის ფონზე, ამ მიმართულებამაც მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ადამიანური დაზვერვა მეტად ეფექტურია ისეთ ადგილებში, სადაც რთულია რაიმე სახის თვალთვალი ან ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება. ამავდროულად, ტექნოლოგიური და ვიზუალური დაზვერვა აგრძელებს განვითარებას, რაც აერთიანებს უახლესი სატელიტების და საფრენი აპარატების ტექნოლოგიებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო საზოგადოება მსოფლიოში კვლავ წამყვან როლს ინარჩუნებს. აშშ-ს სპეცსამსახურები შედგება 18 სააგენტოსგან, საიდანაც მოწინავე როლი გააჩნია **ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA), ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (NSA), ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა (FBI) და თავდაცვის დაზვერვის სააგენტოს (DIA).**

აშშ-ს დაზვერვის პრიორიტეტები ტერორიზმის საფრთხეებიდან გადაერთო ჩინეთთან და რუსეთთან სტრატეგიულ კონკურენციაზე, კიბერუსაფრთხოებაზე და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე. NSA-მ და აშშ-ის კიბერ სარდლობამ დიდი ინვესტიცია მოახდინეს შეტევით და თავდაცვით კიბერ შესაძლებლობებში. CIA-მ ასევე გააფართოვა თავისი ადამიანური დაზვერვის შესაძლებლობები და გააძლიერა ღია წყაროების დაზვერვა, განსაკუთრებით ჩინეთის აქტივობებთან და რუსეთის ჰიბრიდულ ომებთან მიმართებით.

მიუხედავად გლობალური შესაძლებლობებისა, აშშ-ს სადაზვერვო საზოგადოება დიდად დამოკიდებულია პარტნიორებზე, განსაკუთრებით კი "ხუთი თვალის" ალიანსზე (დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია), ნატო-ს სადაზვერვო არხებზე და ორმხრივ თანამშრომლობაზე გერმანიის, ისრაელის და საფრანგეთის სადაზვერვო სააგენტოებთან. ეს ალიანსები ხელს უწყობს ტერორიზმის, ბირთვული გაუვრცელებლობის, ტრანსნაციონალური დანაშაულის, კიბერ საფრთხეებისა და გეოპოლიტიკური მოვლენების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარებას. ბოლო წლებში აშშ-ს სპეცსამსახურების ერთ ერთი წარმატებული ოპერაციას წარმოადგენს **„ნეპტუნის შუბი - Neptune Spear",** რომელსაც 2011 წელს ხელმძღვანელობდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო. ოპერაციის შედეგად, 2011 წელს პაკისტანში ლიკვიდირებულ იქნა მსოფლიოში ნომერ პირველი ტერორისტი - **უსამა ბინ ლადენი**. ეს ოპერაცია გახდა 9/11-ის შემდგომი პერიოდის სხვადასხვა სახის დაზვერვის კომპლექსური გამოყენების წარმატების სიმბოლო. ამ ოპერაციამ კარგად აჩვენა თუ როგორ შეიძლება წარმატებით იქნას ერთობლივად გამოყენებული დაზვერვა, სპეციალური ოპერაციები და ტექნოლოგიები მიზნის მისაღწევად.

აშშ ინარჩუნებს ლიდერი ქვეყნის პოზიციას კიბერ-შესაძლებლობებში და გლობალური სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარებაში ხუთი თვალის ალიანსის და ნატოს არხებით. აშშ-ს კონკურენციამ ჩინეთთან გააფართოვა დაზვერვის პრიორიტეტები, რომელიც გამდიდრდა ეკონომიკური შპიონაჟით, კრიტიკული ინფრასტრუქტურის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებით და ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერილი ომების განვითარებით.

დაზვერვაში, აშშ-ს მთავარ მოკავშირედ კვლავ დიდი ბრიტანეთი რჩება, რომლის

სადაზვერვო საზოგადოება მოიცავს 3 ძირითად სპეცსამსახურს - **MI6-ს (დაზვერვის სამსახური), MI5-ს (კონტრდაზვერვის სამსახური)** და **GCHQ-ს (ბრიტანეთის სამთავრობო საკომუნიკაციო ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია SIGINT-ზე)**. დღევანდელ მსოფლიოში, ბრიტანეთის სპეცსამსახურები მათი მაღალი პროფესიონალიზმის, ინოვაციების, კეთილსინდისიერების და გლობალური მიღწევების გამო მაღალი ნდობითა და პრესტიჟით სარგებლობენ.

დიდი ბრიტანეთი თამაშობს მნიშვნელოვან როლს ხუთი თვალის ალიანსში და მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-სთან ისეთ სფეროებში, როგორიცაა რუსეთის აქტივობების მონიტორინგი, ირანის ბირთვული პროგრამა და კონტრ-ტერორიზმი აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში. GCHQ გახდა მსოფლიო ლიდერი კიბერუსაფრთხოებისა და ციფრული მეთვალყურეობის სფეროში, რომელიც აქტიურად ახორციელებს ერთობლივ ოპერაციებს NSA-სთან და თანამშრომლობს კერძო ტექნოლოგიურ ფირმებთან თაღლითური კომპიუტერული პროგრამებისა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ მედეგობის გასაძლიერებლად.

დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთ წარმატებულ ოპერაციას წარმოადგენს **„სკრიპალების საქმე (2018 წელს)“**[131], რომლის დროსაც რუსულმა სპეცსამსახურებმა ყოფილი რუსი ჯაშუშის - სერგეი სკრიპალის და მისი ქალიშვილის

მკვლელობა სცადეს „ნოვიჩოკის“ ნერვული აგენტის გამოყენებით. MI5-ის, MI6-ის და GCHQ-ს წარმატებული ოპერაციის შედეგად, ბრიტანელებმა მიაკვლიეს რუსული GRU-ს კვალს და მოახდინეს მკვლელობის მცდელობაში ჩართული ГРУ-ს ოპერატიული თანამშრომლების იდენტიფიცირება, რასაც მკაცრი საერთაშორისო დიპლომატიური პასუხი მოჰყვა. GCHQ ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2022 წელს, **კატარში გამართული ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას** კიბერ თავდასხმების შეკავებასა და გლობალური დეზინფორმაციული კამპანიის შეჩერებაში, რომელიც მიმართული იყო სხვადასხვა საერთაშორისო მოვლენის წინააღმდეგ.

დიდი ბრიტანეთი სამაგალითო გახდა ისეთი მიმართულებებით, როგორიც არის ციფრული ექსპერტიზა, კიბერ-თავდაცვა, დეზინფორმაციასთან ბრძოლა და ანტი-ტერორიზმი. ის ასევე ინარჩუნებს ძლიერ კავშირებს შეერთებულ შტატებთან, ისრაელთან და ევროპასთან, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთის მონიტორინგისა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის მიმართულებით.

კონტინენტური ევროპის სადაზვერვო საქმიანობა გადანაწილებულია ეროვნულ სპეცსამსახურებზე, სადაც თითოეულს აქვს განსხვავებული შესაძლებლობები, გამჭვირვალობის დონე და სამართლებრივი შეზღუდვების ხარისხი. ევროპულ სადაზვერვო სამსახურებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2015 წელს პარიზსა და ბრიუსელში განხორციელებული ტერაქტების სერიის შემდეგ.

ევროპის ძირითად სადაზვერვო სამსახურებს წარმოადგენს **გერმანიის BND, საფრანგეთის DGSE, იტალიის AISE და შვედეთის MUST**. ეს სააგენტოები ფოკუსირებულები არიან ტერორიზმზე, რუსულ შპიონაჟზე, მიგრაციასა და ჩინეთის გავლენებზე. ევროპის მზარდმა შფოთვამ რუსეთის და ჩინეთის მხრიდან არჩევნებში ჩარევის, ეკონომიკური შპიონაჟის და ჰიბრიდული ომის გამო განსაკუთრებულად გააძლიერა კოორდინაცია ევროპის სპეცსამსახურებს შორის **ევროკავშირის სადაზვერვო და სიტუაციური ცენტრის (INTCEN)** გამოყენებით და გააქტიურა სადაზვერვო ინფორმაციის გაზიარება **ევროპოლისა (EUROPOL)** და ნატოს არხებით. მიუხედავად ამისა, რჩება მნიშვნელოვანი ბარიერები, რაც მოიცავს სუვერენიტეტის შესუსტების საფრთხეს, მონაცემთა დაცვის შესახებ კანონებსა და ერთიანი დაზვერვის სტრატეგიული დოქტრინის არარსებობას. მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიას, ხშირად აქვთ განსხვავებული შეხედულებები

[131] https://www.bbc.com/news/articles/c9dl999d82no

უსაფრთხოების პრიორიტეტებთან დაკავშირებით, თუმცა როდესაც საქმე ეხება კიბერ საფრთხეებს, სატელიტურ დაზვერვასა და უცხოურ ჩარევებს, ამ შემთხვევაში ორივე ქვეყანა ერთსულოვანია.

საფრანგეთში 2015 წელს ისლამური სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა[132] გამოავლინა ხარვეზები ევროპულ სადაზვერვო სამსახურებს შორის კოორდინაციის და ინფორმაციის გაზიარების მიმართულებით. შედეგად, განხორციელდა რეფორმები, რომელმაც გაზარდა კოორდინაცია და ინფორმაციის გაზიარება ევროპოლის, **კონტრ-ტერორიზმის ჯგუფის (CTG)** და ევროკავშირის სადაზვერვო და სიტუაციური ცენტრის (INTCEN) გავლით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოვლინდა 2022-2023 წლებში გერმანიაში, კერძოდ, გერმანიის შესაბამისმა სამსახურებმა **დააკავეს BND-ს რამდენიმე თანამშრომელი**, რომლებსაც ბრალად ედებოდათ რუსეთის სპეცსამსახურისთვის საიდუმლო დოკუმენტების გადაცემა. ამ ფაქტმა გამოავლინა სპეცსამსახურებში შემოწმების ე.წ Vetting-ის სისტემის არაეფექტურობა და ევროპის სხვა სპეცსამსახურებმაც დაიწყეს მეტი ყურადღების გადატანა რუსეთის ინფილტრაციის პრევენციაზე.

გაუმჯობესებული კოორდინაციის მიუხედავად, განსხვავებული პოლიტიკური ხედვები, კონფიდენციალურობის შესახებ კანონები და არაერთგვაროვანი საკანონმდებლო ბაზა აფერხებს სრულ სადაზვერვო ინტეგრაციას ევროპაში. უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და მიმდინარე ომმა კიდევ უფრო გააძლიერა რუსული სპეცსამსახურების ევროპულ სპეცსამსახურებში შეღწევის მცდელობები, ხოლო საპასუხოდ, ევროპის სპეცსამსახურები მნიშვნელოვნად აძლიერებენ თავიანთ კონტრ-სადაზვერვო შესაძლებლობებს რუსული და ჩინური დაზვერვის წინააღმდეგ.

ბოლო წლებში რუსული სპეცსამსახურები გახდა ერთ-ერთი მთავარი საფრთხე დასავლური ცივილიზაციისთვის. რუსეთს გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული და ყოვლისმომცველი სადაზვერვო სისტემა, სადაც დომინირებს 3 ძირითადი სპეცსამსახური: **ფედერალური უსაფრთხოების სამსახური (ФСБ), საგარეო დაზვერვის სამსახური (СВР) და გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო (ГРУ).** დღევანდელი რუსული სპეცსამსახურები ორიენტირებულები არიან სტრატეგიულ ჯაშუშობაზე, ფარული გავლენის ოპერაციებზე, კიბერ დივერსიებზე, სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე საბოტაჟზე და ქვეყნის შიგნით რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნებაზე, რაც მოიცავს სასტიკ რეპრესიებს. იდეოლოგიურად, რუსეთი კვლავ რჩება ცივი ომის დროინდელი პრიორიტეტების ერთგული, თუმცა ახალი

[132] https://www.britannica.com/event/Paris-attacks-of-2015

უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბების ფონზე, ის ადვილად ადაპტირდა ახალ რისკებთან და ტექნოლოგიურ პროგრესთან.

რუსული სპეცსამსახურები ცნობილები არიან არაერთი მასშტაბური ოპერაციების ჩატარებით, მათ შორის საქართველოში, უკრაინაში, სირიასა და დასავლურ დემოკრატიულ ქვეყნებში. რუსეთი ძირითადად იყენებს არატრადიციულ სადაზვერვო საშუალებებს, რაც მოიცავს ადამიანების მოწამლვას, სხვა ქვეყნის არჩევნებში ჩარევას, კიბერ ოპერაციებსა და პროპაგანდას. 2016 წელს ამერიკის არჩევნებში ჩარევა, **2018 წლის სკრიპალების საქმე და 2022 წლის უკრაინასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის კამპანია** კარგად ასახავს რუსული ჰიბრიდული ომის ბუნებას.

რუსეთი დემოკრატიას და ზოგადად დასავლეთს, განსაკუთრებით ნატოს, მთავარ მოწინააღმდეგედ და მტრად განიხილავს. თუმცა, მოსკოვი აქტიურად თანამშრომლობს ჩინეთთან და ირანთან, და იყენებს სპეცსამსახურებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ავტორიტარული რეჟიმების მხარდასაჭერად.

2016 წელს აშშ-ში ჩატარებულ არჩევნებში ჩარევა რუსეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. არსებული ინფორმაციით, **ГРУ** -მ და **IRA-მ (ინტერნეტის კვლევის სააგენტო - Главсеть**) ჩაატარეს ჰაკერული თავდასხმები და გავლენის ოპერაციები სოციალურ მედიაში აშშ-ს არჩევნებზე გავლენის მოხდენისთვის, რაც მიზნად ისახავდა დემოკრატების მიმართ უნდობლობის დათესვას, დონალდ ტრამპის კანდიდატურის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი კატეგორულად უარყოფდა ამერიკის არჩევნებში ჩარევას, **რობერტ მიულერმა თავის ანგარიშში დაადასტურა**[133] ეს ფაქტი თავისი მტკიცებულებებით.

რუსული სპეცსამსახურების ბოლოდროინდელ წარუმატებლობად განიხილება უკრაინაში მიმდინარე ომი. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ისინი შეძლებდნენ უკრაინაზე ეფექტურ თავდასხმას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა კიევზე კონტროლის დამყარებას და ლეგიტიმური მთავრობის ცვლილებას, თუმცა რუსეთის ФСБ -მ *(რუსეთი უკრაინას განიხილავს შიდა ტერიტორიად და შესაბამისად, ამ საკითხს კურირებს ФСБ*) არასწორად შეაფასა უკრაინის წინააღმდეგობის შესაძლებლობები და გადაჭარბებულად შეაფასა ადგილობრივი მხარდაჭერა. მიუხედავად ამისა, GRU, ასევე როგორც FSB აგრძელებს მოქმედებას უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე და იყენებს სადაზვერვო ღონისძიებებს წინააღმდეგობის გასანეიტრალებლად და დივერსიების მოსაწყობად.

[133] https://www.justice.gov/archives/sco/file/1373816/dl

რუსეთი ასევე იყენებს სპეცსამსახურებს აფრიკის კონტინენტზეც. კერძო სამხედრო კომპანია **„ვაგნერი“**[134] გამოიყენებოდა რუსული გავლენის გასავრცელებლად მალიში, ლიბიაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში. მათ ძირითად სადაზვერვო ამოცანას წარმოადგენდა ბუნებრივი რესურსების კონტროლი, არჩევნებში ჩარევა და აშშ-ს გავლენების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.

რუსეთის სპეცსამსახურების მიდგომა არის აგრესიული და ხშირად არღვევს საერთაშორისო ნორმებს, მათ შორის სადაზვერვო ეთიკას. მიუხედავად განვითარებული სადაზვერვო ინფრასტრუქტურისა, რუსულმა სპეცსამსახურებმა ბოლო წლებში განიცადეს არაერთი ჩავარდნა, რაც გამოიხატებოდა ევროპაში რუსი ჯაშუშების გამოვლენით და სადაზვერვო ღონისძიებების ფიასკოთი. ამ ფაქტებმა მნიშვნელოვნად დააზიანეს რუსული სპეცსამსახურების საერთაშორისო იმიჯი და ნდობა.

ჩინეთის სპეცსამსახურები ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სამსახურებია მსოფლიოში. **სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტრო (MSS)** და **სახალხო განმათავისუფლებელი არმიის სტრატეგიული მხარდაჭერის ძალები (PLASSF)** წარმოადგენენ ბურჯს, რომელიც მიმართულია ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ დაზვერვაზე, პოლიტიკური გავლენის ღონისძიებებსა და კიბერ ოპერაციებზე.

ჩინეთის **„ერთიანი სარტყელი და, ერთიანი გზის (BRI)“**[135] ინიციატივას ძირითადად თან ახლავს სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მცდელობებიც, ინფრასტრუქტურის განვითარების, ციფრული სათვალთვალო სისტემებისა და ელიტის წარმომადგენლების გადაბირების გზით. **"ათასი ნიჭიერის პროგრამამ“ (Thousand Talents Program)**[136] და დიასპორის აქტიურმა გამოყენებამ მიიპყრო დასავლეთის ყურადღება, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპაში. ჩინეთი ასევე ახორციელებს ფართო მეთვალყურეობას საკუთარ მოქალაქეებზე და ახორციელებს ავტორიტარული რეჟიმებისთვის თვალთვალის ტექნიკური მოდელის ექსპორტს საზღვარგარეთ.

რუსულ-ჩინური სპეცსამსახურების მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, ჩინეთის სადაზვერვო საზოგადოება მნიშვნელოვნად განსხვავდება და მეტად ორიენტირებულია სტრატეგიულ გეგმებზე. ჩინეთის სპეცსამსახურების ინტერესებს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის, კვანტური კომპიუტერების და კიბერ ინფრასტრუქტურის სფეროებში გრძელვადიან დომინირებას და ქვეყნის შიგნით, კომუნისტური რეჟიმის სტაბილურობისა და მდგრადობის შენარჩუნებას.

ბოლო წლებში, ჩინეთის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული სადაზვერვო ოპერაცია ჩატარდა 2023 წელს, როდესაც **აშშ-ს თავზე გამოჩნდა საჰაერო სათვალთვალო**

[134] https://www.britannica.com/topic/Wagner-Group
[135] https://greenfdc.org/belt-and-road-initiative-about/
[136] https://www.nature.com/articles/d41586-018-00538-z

ბუშტები,[137] რომელიც შემდგომში ჩამოგდებულ იქნა ამერიკის შესაბამისი სამსახურების მიერ. აღნიშნულმა ინციდენტმა გამოიწვია დიპლომატიური კრიზისი ორ ქვეყანას შორის და დაანახა მსოფლიოს ჩინეთის სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების საშუალებების მრავალფეროვანი შესაძლებლობები. ამის გარდა, ჩინური სპეცსამსახურები ეჭვმიტანილები იყვნენ აშშ-ს სილიკონ ველი-ში ეკონომიკურ შპიონაჟის არაერთ ფაქტში, მათ შორის ჩინეთის მოქალაქის მიერ 2018 წელს კომპანია **„Apple"-ის** სავაჭრო საიდუმლოებების მოპარვის მცდელობაში. აშშ-ს ხელისუფლებამ რამდენიმეჯერ გამოავლინა MSS-ის მიერ აშშ-ში არსებული ინოვაციური ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის და ნახევარგამტარების ტექნოლოგიების უკანონოდ დაუფლების მცდელობები.

ჩინეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „რბილი ძალის" ბერკეტია **კონფუცის ინსტიტუტი** და **გაერთიანებული სამუშაო დეპარტამენტი (United Front Work Department).** აღნიშნული ბერკეტები გამოიყენება გავლენის ოპერაციებში, დიასპორის მონიტორინგსა და საზღვარგარეთ, აკადემიურ და მედია საზოგადოებაში ჩინური ნარატივების გავრცელებაში. ჩინეთის სადაზვერვო სამსახურები აერთიანებს სახელმწიფოს, საწარმოებს და სამოქალაქო საზოგადოებას, რომლის სინერგიაც ეფექტურად მუშაობს ყველა დონეზე, რაც დასავლეთისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ისრაელის სადაზვერვო სამსახურები - **მოსადი (Mossad - საგარეო დაზვერვა)**, **შინ ბეტი (Shin-Bet შიდა უსაფრთხოება)** და **ამანი (AMAN - სამხედრო დაზვერვა)** მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სპეცსამსახურებია, განსაკუთრებით მათი

კონტრტერორისტული და HUMINT შესაძლებლობების გათვალისწინებით. ისრაელმა არაერთხელ გამოავლინა პროფესიონალიზმი სადაზვერვო საქმიანობაში, რაც დაგვირგვინდა ისეთი ოპერაციებით, როგორიც იყო ირანელი ბირთვული მეცნიერების განეიტრალება, პრევენციული დარტყმები სირიაში და **2018 წელს თეირანიდან ბირთვულ პროგრამასთან**[138] დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვება.

ისრაელი მჭიდრო სადაზვერვო ურთიერთობებს ინარჩუნებს აშშ-სთან და რამდენიმე ევროპულ და არაბულ ქვეყანასთან. მისმა მოწინავე კიბერ შესაძლებლობებმა და სამხედრო მრეწველობამ ის ღირებულ მოკავშირედ და მნიშვნელოვან მოთამაშედ ჩამოაყალიბა. ისრაელის სახელს უკავშირდება მაღალტექნოლოგიური სამხედრო საწარმოები და პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიები, რომელთა

[137] https://www.nbcnews.com/news/investigations/us-intelligence-officials-determined-chinese-spy-balloon-used-us-inter-rcna131150
[138] https://www.timesofisrael.com/mossad-stole-irans-nuke-archive-and-smuggled-it-back-to-israel-the-same-night/

მიერ წარმოებული ტექნიკა და შემუშავებული პროგრამები აქტიურად გამოიყენება დასავლური სპეცსამსახურების მიერ. განსაკუთრებით პოპულარულია კომპანია **NSO Group,** რომლის წარმოებული პროგრამული უზრუნველყოფა **„Pegasus spyware“**[139] გლობალურად გამოიყენება კანონიერი, ასევე უკანონო ციფრული თვალთვალისთვის.

მიუხედავად მცირე ზომისა, ისრაელი არაპროპორციულად ხელს უწყობს გლობალური დაზვერვის ინოვაციურ მხარდაჭერას და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციას. ისრაელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ირანის აქტივობების მონიტორინგში, რომელიც ხშირად ადრეული გაფრთხილების წყაროა დასავლური სპეცსამსახურებისთვის.

2018 წელს მოსადის ოპერატიულმა თანამშრომლებმა წარმატებით მოახერხეს თეირანიდან, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოპოვება,

რომლებმაც თეირანის საიდუმლო გეგმების გამოაშკარავებას ხელი შეუწყვეს. დასავლურ სპეცსამსახურებთან აღნიშნული ინფორმაციის გაზიარებამ გავლენა მოახდინა ირანის ბირთვულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აშშ-ს და ევროპის პოლიტიკური პოზიციის ფორმირებაზე. ბოლო წლებში, ისრაელის ერთ-ერთი წარმატებული და მასშტაბური ოპერაცია **“Grim Beeper”**[140] განხორციელდა 2024 წელს, რომლის შედეგად ჰეზბოლას საკუთრებაში არსებული ათასობით რაცია და პეიჯერი ერთდროულად აფეთქდა. შედეგად, დაიღუპა და დაშავდა ჰეზბოლას ათასობით წევრი სირიასა და ლიბანში.

ისრაელის სპეცსამსახურების საქმიანობა მოიცავს უახლესი ტექნოლოგიების **(ხელოვნური ინტელექტი, კიბერ ბერკეტები)** და ტრადიციული სადაზვერვო მეთოდების ერთობლიობას. გარკვეული კონკურენციის და დაძაბულობის მიუხედავად, „Mossad“-ს და „Shin Bet“-ს კრიტიკული როლი აკისრიათ გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლისა და ახლო აღმოსავლეთში სადაზვერვო აქტივობების მიმართულებით.

თანამედროვე სადაზვერვო გარემო ხასიათდება კონკურენციის გაძლიერების და პრაგმატული თანამშრომლობის ორმაგი დინამიკით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ევროპის, ისრაელის, რუსეთისა და ჩინეთის სადაზვერვო სააგენტოები ეწევიან აქტიურ დაზვერვას ერთმანეთის წინააღმდეგ, ისინი ასევე აქტიურად აზიარებენ სადაზვერვო ინფორმაციას, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის ტერორიზმთან ბრძოლა, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრანსნაციონალური დანაშაული და გლობალური პანდემიების მიმართ მზაობა.

მაგალითისთვის, **ისლამური სახელმწიფოს (ISIS)**[141] შექმნის ადრეულ პერიოდში, აშშ და რუსეთი ერთმანეთს უზიარებდნენ სადაზვერვო ინფორმაციას. ანალოგიურად,

[139] https://www.britannica.com/topic/Pegasus-spyware
[140] https://telanganatoday.com/operation-grim-beeper-now-we-know-who-pulled-off-pager-blasts-against-hezbollah-fighters
[141] https://www.dni.gov/nctc/terrorist_groups/isis.html

ევროპული და ჩინური სპეცსამსახურები კოორდინირებულად მუშაობენ ისეთი არატრადიციული საფრთხეების წინააღმდეგ, როგორიც არის ორგანიზებული დანაშაული და გარემოს დაცვა. მიუხედავად ამისა, დასავლურ სპეცსამსახურებსა და რუსეთის და ჩინეთის სპეცსამსახურებს შორის სტრატეგიული უნდობლობა მაღალია და დაზვერვაში თანამშრომლობა მკაცრად არის შეზღუდული.

ნათელია, რომ რაც უფრო განვითარდება ხელოვნური ინტელექტი, კიბერ ომები, კვანტური კომპიუტერები და კოსმოსური დაზვერვა, მით უფრო გაძლიერდება სპეცსამსახურებს შორის კონკურენცია. ისეთი საფრთხეების განვითარებამ, როგორიც არის ე.წ დიფ ფეიკები, სინთეტიკური მედია და ბიო-დაზვერვა შესაძლოა მოშალოს ტრადიციული საზღვრები სამოქალაქო და სამხედრო დაზვერვას, შიდა და საგარეო საფრთხეებსა და ომსა და მშვიდობას შორის.

დასკვნა

თანამედროვე დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ მნიშვნელოვანი ისტორიული ევოლუცია განიცადა. ისტორიამ კარგად დაგვანახა, რომ დაზვერვას და კონტრდაზვერვას ყოველთვის კრიტიკული როლი გააჩნდა ეროვნულ უსაფრთხოებაში, როგორც ომის ასევე მშვიდობის დროს. დროთა განმავლობაში იზრდებოდა მოთხოვნა სპეცსამსახურებზე და ნათელი გახდა, რომ ომში გამარჯვება და ქვეყნების სტრატეგიული მიზნების მიღწევა დიდწილად სწორედ სპეცსამსახურების წარმატებაზე იყო დამოკიდებული. თანამედროვე მსოფლიოში, ტექნოლოგიურმა პროგრესმა კიდევ უფრო გაზარდა მოთხოვნა ეფექტურ სპეცსამსახურებზე და მათ განვითარებაზე. ნათელია, რომ მომავალში დიდი ქვეყნების სპეცსამსახურებს შორის კონკურენცია მეტად გაიზრდება და ყოვლისმომცველი გახდება.

მომავალში, სადაზვერვო და კონტრ-სადაზვერვო საქმიანობის გამოწვევები დამოკიდებული იქნება სამ ძირითად ფაქტორზე, რაც მოიცავს ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციას, მრავალგანზომილებიანი საფრთხეების გაძლიერებას და სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის საზღვრების გაქრობას. ამ ვითარებაში სპეცსამსახურების წარმატება მეტწილად დამოკიდებული იქნება ინოვაციებზე, ახალ გარემოსთან სწრაფ ადაპტირებასა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისა და ეთიკური ქცევის დაცვის გათვალისწინებით, სანდო თანამშრომლობაზე.

ახალ უსაფრთხოების გარემოში კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება სტრატეგიული ხედვა, საერთაშორისო თანამშრომლობა და თაობათა ცვლა სპეცსამსახურებში. ამ მხრივ საკვანძო როლი ექნებათ ახალგაზრდა ოფიცრებსა და ანალიტიკოსებს, რომლებიც სრულად ადაპტირებულები იქნებიან თანამედროვე ტექნოლოგიებთან.

იქნება ეს ვაშინგტონში, ლონდონში, ბრიუსელში, მოსკოვში, პეკინში თუ თელ-ავივში, დღევანდელი სპეცსამსახურები საფუძველს უყრიან მომავალს, რომელშიც ძალთა ბალანსს განსაზღვრავს ინფორმაციის ფლობა და მისი მიზნობრივი გამოყენება.

ავტორების შესახებ

შალვა ლომიძე - ანალიტიკურ ცენტრ ჯეოქეისის მრჩეველი, თადარიგის გენერალ-მაიორი, საქართველოს დაზვერვის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი;

შალვა ლომიძის კარიერა ეროვნული უსაფრთხოებისა და დაზვერვის სფეროში 1994 წლიდან იწყება. 1999 წელს მან დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია. იმავე წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურში, სადაც 2005 წლამდე სხვადასხვა პოზიციაზე მსახურობდა. 2005 წელს განაგრძო მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურში და 2012 წლამდე იკავებდა საკვანძო თანამდებობებს. იმავე წელს ის დაინიშნა შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსად.2014 წელს შალვა ლომიძემ დაიწყო მუშაობა საქართველოს დაზვერვის სამსახურში, სადაც სხვადასხვა დროს იკავებდა ხელმძღვანელ თანამდებობებს, მათ შორის: დირექტორატის უფროსის მოადგილე, დირექტორატის უფროსი და სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე. 2020 წლიდან 2021 წლამდე იგი იყო დაზვერვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი. 2021 წლის აპრილს დაინიშნა საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე და ამ პოზიციას იკავებდა 2024 წლის აპრილამდე.

ნიკოლოზ ხატიაშვილი - ანალიტიკურ ცენტრ ჯეოქეისის უფროსი მკვლევარი;

ნიკოლოზ ხატიაშვილი ანალიტიკური ორგანიზაცია „ჯეოქეისის“ საგარეო პოლიტიკის მკვლევარი და საერთაშორისო მდივანია. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების, დიპლომატიის, დემოკრატიის, საერთაშორისო უსაფრთხოების, დაზვერვის და კონტრდაზვერვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ტერორიზმის საკითხები. ნიკოლოზი 18 წელზე მეტია მუშაობს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში, აქედან 6 წელი დიპლომატიურ სამსახურში. ის ეწევა აკადემიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. ასევე, არის 35-მდე სტატიისა და კვლევის ავტორი და სპიკერის სტატუსით მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო კონფერენციაში. ნიკოლოზ ხატიაშვილი წლების განმავლობაში ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში, რომელიც მხარდაჭერილია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI), დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED), გერმანიის მარშალის ფონდის (GMF), ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და მიზნად ისახავს დემოკრატიის გაძლიერებას, დეზინფორმაციასთან ბრძოლას, ტრანსატლანტიკური კავშირების განმტკიცებას, შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებას და საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების ადვოკატირებას. ნიკოლოზ ხატიაშვილი არის მაკკეინის ინსტიტუტის გლობალური ლიდერობის პროგრამის კურსდამთავრებული, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დემოკრატიული თაობის Generation Democracy -ის წევრი, ვარშავის უსაფრთხოების ფორუმის დემოკრატიული ქსელის წევრია და აშშ-ს მთავრობის გაცვლითი პროგრამების საქართველოს მონაწილეთა ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი (EPAG) .